# სარბიელი

სპორტული გაზეთი — სამშაბათი 25 თებერვალი 2003 №31 (1802) — ფასი 50 თეთრი

# მწვანე სიზმარი

## აღარ გვინდა ტალახი, ღმერთო, მოგვეც ბალახი!



ლოკომოტივი — თსუ 1:0. არც ერთს, არც მეორეს თავი არ დაუზოგავს, გამარჯვება კი მაინც „ლოკომოტივს“ დარჩა





წინა კვირაში ჩემპიონთა ლიგა განახლდა, ქართული ფეხბურთიც ნელ-ნელა ილვიძებს ზამთრის ძილის მერე, ერთი ეგაა, თავად ზამთარი არ აპირებს წასვლას...

ერთი სიტყვით, სავსე ტრიბუნების და გამართული თამაშისა რა მოგახსენოთ, ბურთი კი გაგორდა — დავით ყიფიანის თასის მეთექვსმეტედფინალის მატჩებს რვა ქალაქის თერთმეტმა სტადიონმა უმასპინძლა, დანარჩენი ხუთი მატჩიც დღეს და ხვალ გაიმართება.

სათქმელიც, კაცმა რომ თქვას, ბევრი არაფერია. ატალახებულ და გაყინულ მოედნებზე ნამძინარევი გუნდების თამაში რა იქნებოდა, როცა გახურებული ჩემპიონატის დროსაც ძნელად თუ გამოარჩევთ საყურებლად ღირებულ მატჩს.

მაგრამ ავად თუ კარგად, ბურთი ჩვენშიც გაგორდა და რამდენიმე მერვედფინალისტის გამოცნობა ახლავე, საპასუხო მატჩებამდეც შეიძლება.

იხილეთ მესამე-მეოთხე გვერდები

ევროპის ერთა თასი. მეორე ტური

## საქართველო 34:3 ესპანეთი

22 თებერვალი. თბილისი. «ეროვნული»



ერთი ლელო
ბადრი ხეხელაშვილის წილად იყო

# ქართველებმა ესპანელები თოვლივით აჰვეტეს

## პორტუგალიამ რუმინელებიც მოგვაყოლა





# მილანს სცივა, მაგრამ არ კანკალებს

## კახა კალაძე მოსკოვიდან მეოთხედფინალში გაფრენას აპირებს

ინტერვიუ კახა კალაძესთან იხილეთ მეორე გვერდზე



კახა კალაძეს ტურინელმა ტიფოზებმა მატჩის ჩამთავრება არ დააცალეს

# ტურინს გაუეყარე, მოსკოვს შეუეყარე

## კახა კალაძე დღეს მეოთხედფინალში უნდა გავიდეს

სახელოვანი „მილანი" იტალიური ავიაკომპანია „ვოლარეს" თვითმფრინავით მოსკოვს გუშინ, თბილისის დროით საღამოს ექვსის ათ წუთზე ჩაფრინდა. იტალიელები ფეშენებელურ სასტუმრო „ბალჩუგში" დაბინავდნენ.

მოგეხსენებათ, დღეს ჩემპიონთა ლიგის მეოთხე ტურის მატჩებია, „როსონერიც" „ლოკომოტივს" ამად ეწვია. „შავ-წითლებმა" გუშინვე, ჩაფრენიდან ორი საათის მერე ჩერკიზოვოში, „ლოკომოტივის" სტადიონის მოყინულ მოედანზე ივარჯიშეს.

„მილანმა" იტალიის ჩემპიონატის 22-ე ტურის მატჩი შაბათს „ტორინოსთან" ითამაშა... 65-ე წუთზე შეხვედრა შეწყდა. „დელე ალპიზე" „მილანი" 3:0 იგებდა...

კახა კალაძეს, იტალიური სუპერკლუბის ქართველ ლეგიონერს გუშინვე ნავარჯიშევს დავუკავშირდით და თავიდანვე „ტორინოსთან" დაუსრულებელ მატჩზე ვკითხეთ:

— „ტორინოს" 3:0-ს ვუგებდით, მას თამაშის გადარჩენის შანსიც არ ჰქონდა. გულშემატკივრებიც გაგიჟდნენ. არეულობა მეორე გოლამდე დაიწყო, გაავებული ტიფოზები უკვე, მაშინვე სკანდირებდნენ.

**— მიზეზი ალბათ, „ტორინოს" უსუსური თამაში იყო...**

— ეგ, თავისთავად. სხვა მხრივ, ტურინელ ქომაგს უკმაყოფილების არანაირი საბაბი არ ჰქონდა. მეტიც, საკუთარი გუნდის უმწეობა, ისე გამოიყვანა მწყობრიდან მასპინძელთა გულშემატკივრები, რომ მოედანზე შემოჭრაც მოიწადინეს, მაგრამ ამის საშუალება კარაბინიერებმა არ მისცეს.

**— შეხლა-შემოხლისას თქვენი მეკარე დიდა დაზარალდა...**

— წესრიგის დამცველებმა, მასობრივი არეულობის ჩასახშობად, ცრემლსადენი გაზი გამოიყენეს, დიდაც სწორედ ამით მოიწამლა.

**— დღეს ითამაშებ?**

— ჯანზეა, თუმც ზუსტად არ ვიცი. მწვრთნელის გადასაწყვეტია.

**— კარლო ანჩელოტიმ შემადგენლობა დაასახელა?**

— არა, თამაშის დაწყებამდე, როგორც წესი, იტყვის.

**— ვარჯიშზე შენ და ნესტა დაცვის ცენტრში გაგამწესეს, მარცხენა ფლანგზე კი ალესანდრო კოსტაკურტა ვარჯიშობდა...**

— ეგ ჩვეულებრივი ვარჯიში გახლდათ. ვარიანტებს ვამუშავებდით.

**— ესე იგი, ითამაშებ...**

— ალბათ, ეგ ანჩელოტის გადასაწყვეტია.

**— მალდინი?**

— კაპიტანი ჯანზეა. პაოლო დაცვის ცენტრში ითამაშებს.

**— გრიპის ვირუსმა ანდრეა პირლოც მოგაკლოთ.**

— პირლო მოსკოვში არც ჩამოსულა. მის გარდა მილანში ანდრეი შევჩენკო და თომას ჰელვეგიც დარჩნენ, ორივე ტრავმირებულია.

**— გუნდის განწყობა როგორია, რთული თამაში გელით?**

— საშინელებაა. მოედანი მოყინულია, ძლივს ვივარჯიშეთ. ალბათ, არანორმალურ პირობებში მოგვიწევს ბურთაობა, თუმც მოსაგებად თავს არ დავზოგავთ, „მილანი" ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში დღესვე უნდა გავიდეს.

**გიორგი ვაშაძიძე**

### გერმანია

მეორე ბუნდესლიგა
XXII ტური

ფრაიბურგი 2:0 ბრაუნშვაიგი

### ინგლისი

პრემიერლიგა
XXVIII ტური

ტოტენჰემი 1:1 ფულემი

### იტალია

სერია B
XXIII ტური

ტრიესტინა 1:0 ლივორნო

### ჰოლანდია

II დივიზიონი. XXI ტური

ჰელმონდი 1:0 ჰაარლემი

დენ ბოსხი — დენ ჰააგი გადაიდო

### პორტუგალია

პირველი ლიგა
XXIII ტური

ნასიონალი 2:2 ლეირია

მორეირენსე 1:2 სპორტინგი

### ჩეხეთი

XVII ტური

სპარტა 1:0 ბუდეიოვიცე

# შუშაკი ლაზღანდარობის წინააღმდეგ

## გაზაფხული ლადოსია, ასათიანი ჩვენი ბრალი არ არის

*შეკრებამოვლილი თბილისის „დინამოს" მთავარი მწვრთნელი ივო შუშაკი გუშინ დიღმის ბაზაზე ჟურნალისტების წინაშე წარსდგა საპრესკონფერენციოდ. შუშაკმა ჯერ ზოგადად ისაუბრა „დინამოს" შეკრებაზე და მერე კითხვებსაც უპასუხა*

— მოსამზადებელი ეტაპი სამ ნაწილად გავყავით. გუნდმა ჯერ თბილისში დაიწყო ვარჯიში, მერე იყო კვიპროსი, სადაც აქცენტი ფიზიკურ მომზადებაზე გადავიტანეთ. თავის გამოჩენის საშუალება ყველა ფეხბურთელს მივეცით. კუნძულზე კარგი პირობები გვქონდა და კვიპროსული შეკრებით კმაყოფილი დავრჩი. შემდეგ ბოსნია-ჰერცოგოვინასა და ხორვატიაში გავაგრძელეთ მზადება. იქ უკვე გამოიკვეთა, თუ ვინ არის გუნდის ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელი. ბოსნიური და ხორვატიული კლუბები თუ ნაკრებები რეიტინგით საქართველოზე მაღლა დგანან და საინტერესო იყო, თუ როგორ წარმოაჩენდა თავს მათ გუნდებთან თამაშებში „დინამო". იქ ჩატარებულმა მატჩებმა ჩვენი შესაძლებლობები კარგად დაგვანახა.

— ჰერცოგოვინაში და ხორვატიაში მაღალი დონის პირობები გვქონდა. იქაურმა პრესამ „დინამოს" იქ სტუმრობა და თამაშები საკმაოდ ფართოდ გააშუქა. მატჩებში აქცენტი სწრაფ თამაშზე გვქონდა გადატანილი — ამას მეტოქე გუნდებიც გვაიძულებდნენ. ვფიქრობ, წინ გადავხტით და თანაც ხარისხიანად.

— სერიოზული ტრავმები დინამოელებს არ მიუღიათ. რაც შეეხება ლადო ბურდულს, დაჭიმული კუნთის გამო ხორვატიული შეკრება მან ფაქტობრივად ჩააგდო, მაგრამ 7-8 დღეში ასი პროცენტით იქნება მზად. თავისი შესაძლებლობები მან კვიპროსულ შეკრებაზეც დაამტკიცა და ეს ბალკანეთზე „მარიბორთან" შეხვედრაშიც გამოავლინა", საგაზაფხულო ეტაპი მისი იქნება.

— შეკრებაზე დისციპლინის დარღვევა და ფეხბურთელთა დაჯარიმების ფაქტები არ ყოფილა. ეს ჩვენი მოთამაშეების პროფესიონალიზმზე მიუთითებს. სასიხარულოა ისიც, რომ 13 დინამოელი ეროვნულ და ახალგაზრდულ ნაკრებებში გამოიძახეს მოლდოვასთან.

— ახალი ფეხბურთელები რომ დაგვემატებინა, მზად ვიყავით, რამდენიმე მოთამაშე გაგვენათხოვრებინა. რაც შეეხება მალხაზ ასათიანს, ჩვენ ღიად გამოვთქვით მისი „დინამოში" გადმოყვანის სურვილი, მაგრამ ალბათ ჩვენი ბრალი არ არის, ეს ასე რომ არ მოხდა.

— იყო მომენტები, რომ ზოგიერთი დინამოელის თამაშით უკმაყოფილო გახლდით. „შიროკი ბრიაგთან" მატჩში პირველი ტაიმის თერთმეტეულმა უხა-



რისხოდ, მობილიზაციისა და კონცენტრაციის გარეშე ითამაშა, მაგრამ მეორე დღესვე ეს ბიჭები მაქსიმალურად დაიხარჯნენ ვარჯიშზე და მერეც ასე გააგრძელეს. მათ ბოლო სამ თამაშში მივეცი შანსი და კმაყოფილი დავრჩი.

— ფეხბურთელის კარიერაში ჩვეულებრივი ამბავია, როცა ის ხანდახან ცუდად თამაშობს. მაგრამ არავის აქვს უფლება ილაზღანდაროს, როცა „დინამოს" მაისურა აცვია.

— ზაგრების „დინამო" და სპლიტის „ჰაიდუკი" ჯერ კიდევ ყოფილი იუგოსლავიის წამყვანი გუნდები იყვნენ. საერთოდ, ხორვატიაში საქართველოს ჩემპიონატზე უფრო სწრაფ ფეხბურთს თამაშობენ და ამ გუნდებთან მატჩებში ამას მალე ავუღეთ ალღო. „ჰაიდუკთან" ჩვენ საუკეთესოდ ვითამაშეთ. თითქმის ყველას ეგონა, რომ „ჰაიდუკს" ვერ მოვუგებდით, მაგრამ ეს შევძელით, რითაც პატარა სენსაცია მოვახდინეთ და ბევრი გავაკვირვეთ. ამით „დინამომ" თავისი ევროპული იმიჯის სასიკეთოდ პატარა ნაბიჯი გადადგა წინ.

— ახლა „ლიბერეცთან" და საერთოდ საშუალო ევროპული დონის გუნდებთან უფრო ახლოს ვართ, ვიდრე 4-5 თვის წინათ. მაგრამ ისიცაა, რომ ევროპულ დონესთან პირველი რიგში ეროვნული ჩემპიონატში თამაშის ხარჯზე უნდა მივიდეთ.

— რაც შეეხება არჩილ სახვაძის ეროვნულ ნაკრებში მიწვევას, ის შემოდგომაზე „დინამოს" ძირითადში იყო, მაგრამ მერე ორი თამაში ჩააგდო და მისი ადგილი დავით კვირკველიამ დაიკავა, ფეხბურთში კი 12 კაცს არ შეუძლია თამაში. კვიპროსულ შეკრებაზე კვირკველიას ნელმა თამაშმა სახვაძეს თავის გამოჩენის შანსი მისცა და დღეს მას კვირკველიაზე პატარა უპირატესობა აქვს. „დინამოს" ძირითადში კი ადგილი არავის აქვს დაჯავშნული.

— მე და კლუბს ასათიანი კონკრეტულად ერთი სათამაშო პოზიციისთვის არ გვჭირდებოდა — ასათიანი თავისი სპეციფიური შესაძლებლობების ხარჯზე გააძლიერებდა გუნდს. ახალი ფეხბურთელების აყვანისას სწორედ ასეთი პრინციპით ვიხელმძღვანელებთ. სულ უნდა ვეცადოთ, რომ გუნდი ახალი ფეხბურთელებით გაძლიერდეს. თუ პროგრესი გვინდა, არ უნდა შემოვიფარგლოთ და ჩავიკეტოთ — ეს საშიშია. გასაძლიერებლად ფეხბურთელებს საქართველოშიც ვეძებთ და უცხოეთშიც. თუმც ისიცაა, რომ მოთამაშეთა ანაზღაურება ლიმიტირებულია, ცხოვრების დონის სტანდარტი დაბალია, მაგრამ არიან ისეთი ფეხბურთელებიც, რომლებიც საქართველოსნაირ სტანდარტებს შეგუებულნი არიან.

**დავით თავართქილაძე**

# დილას მწვრთნელი საკრებულოში დაუნიშნეს

**უმაღლეს ლიგაში** დასარჩენად მებრძოლი გორის „დილა" საფეხბურთო სეზონს ღლევანდელი სათასო მატჩით განაახლებს და მეტოქე „ვიტ ჯორჯია 2"-ს ახალი მთავარი მწვრთნელით დაუხვდება.

საახალსეზონოდ მოსამზადებელი პერიოდი „დილამ" ვლადიმერ ხაჩიძის ხელში გაიარა, თითქოს შეხმატკბილებულადაც მუშაობდნენ მწვრთნელი და კლუბის თავკაცები, მაგრამ გასულ



ზურაბ ხორგუაშვილი (მარჯვნივ) ფეხბურთელობას ალბათ მწვრთნელობას ამჯობინებს

უქმეებზე მათი გზები მაინც გაიყარა. „დილას" გაწვრთნა კლუბის ხელმძღვანელებმა გუნდის ვეტერანს, 33 წლის ზურაბ ხორგუაშვილს დააკისრეს. „პავლოვიჩი", როგორც ახალგამომცხვარ მწვრთნელს მიმართავენ თანაგუნდელები, „დილაში" 1990 წლიდან თამაშობდა. 13-წლიანი კარიერის მანძილზე თბილისურ „დინამოში" და „ლოკომოტივში", სარატოვის „სოკოლში" და ასტანას „ჟენისშიც" უბურთავია.

ზურაბ ხორგუაშვილი ბოლო დროს ფეხბურთის თამაშს გორის საკრებულოს წევრობას და საკრებულოს ფინანსური კომისიის ხელმძღვანელობასაც უთავსებდა. ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში 66, ხოლო პირველ ლიგაში 16 გოლი გაუტანია.

კლუბის თავკაცები გადაჭრით ამტკიცებენ, ხორგუაშვილი „დილას" ახალი მთავარი მწვრთნელიაო, მაგრამ თავად ფეხბურთელს საბოლოო გადაწყვეტილება ჯერაც არ მიუღია.

— პასუხს ხელმძღვანელებს სათასო მატჩის დასრულების შემდეგ მოვახსენებ, მანამდე კი ერთი რამის თქმა შემიძლია, თუ მწვრთნელობას დავთანხმდები, მოთამაშის კარიერას დავასრულებ.

„დილას" სამომავლო პერსპექტივებზე კი მერე ვილაპარაკოთო, გვითხრა გუშინ ხორგუაშვილმა, რომელმაც ყოფილი თანაგუნდელები ავარჯიშა და დღესაც თუ ძალიანაც არ დაიჟინა, სათადარიგოების კიდესთან ჩამომდგარი შეეცდება პირველი სამწვრთნელო გამარჯვების მონაგრებას.

**მამუკა ძმანტალიანი**

# დავით ყიფიანის თასი

მეთექვსმეტედფინალი. პირველი მატჩები

## რკინიგზელებმა სტუდენტებს კარი აშტალახეს

### ცაკარიასის შეცვლებმა ლოკომოტივი შეცვალა



თსუ-ს კართან ასეთი მომენტები ხშირი იყო

თბილისი. 24 თებერვალი. 14.05 საათი. ლოკომოტივი. 200 მაყურებელი

## ლოკომოტივი 1:0 თსუ

1:0 სოსელია (90)

ლოკომოტივი: ლომაია, ბალაშვილი, ორბელაძე, სალუქვაძე, რ. ონიანი, გ. კვარაცხელია, ზ. ლაცაბიძე (რუხაა 29), მ. ბურნაძე (ძოძუაშვილი 46), გალიარდო, სირაძე, კაიდარაშვილი (სოსელია 67)
სათადარიგონი: ივარდავა; გოგინაშვილი
მწვრთნელი: ლუის ცაკარიასი

თსუ: ჭრიკიშვილი (ძამუნაშვილი 83), კუპრეიშვილი, აფშილავა, ლ. კვარაცხელია, ქუხილავა, ბუჯიაშვილი, ჯოჯუა, ა. კოჭლაშვილი, ელოშვილი, ბარბაქაძე, სახოკია (ბესთაევი 86)
სათადარიგონი: წიქარიშვილი, კუხალეიშვილი, გულბათაშვილი
მწვრთნელი: მერაბ კოჭლაშვილი

გაფრთხილება: ჯოჯუა (40), ელოშვილი (53), სირაძე (54), ა. კოჭლაშვილი (68), სახოკია (86)

მსაჯები: მ. მაისურაძე (თბილისი); ლ. მიქელაძე, გ. ხიგოგიძე (ორივე სამტრედია); გ. ცირდავა (გულრიფში)

სფფ-ის ინსპექტორი: გ. ძამუკაშვილი

ჯარიმა: 17-28; კუთხური: 11-0; კარისკენ დარტყმა: 7-0; კარში დარტყმა: 7-1; თამაშგარე: 3-2

კახა შალამბერიძე

დაუპატიჟებელი სტუმარი რომ ერთხელ გეწვევა და მერე კარს აგიტალახებს, არა მარტო ჩვენს ცხოვრებაში, ფეხბურთშიც დაუწერელი კანონივით ყოფილა. 2003 წლის პირველი ოფიციალური მატჩის უმეტესი დრო „ლოკომოტივმა" სწორედ თსუ-ს საჯარიმოს სიახლოვეს იყურყუტა, თუმც სტუდენტები მომხვდურთ „ზღურბლს" იქით ცოცხალი თავით არ უშვებდნენ.

თავიდანვე გეტყვით, რომ ეს სათასო მატჩი „ლოკომოტივზე" უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ უჟმური ამინდის შემხედვარე რკინიგზელები მოედანს მოუფრთხილდნენ და სათადარიგო სტადიონზე დაუხვდნენ მეტოქეს.

მატჩიც დაიწყო და ლუის ცაკარიასის შეგირდები თსუ-ს კარს მიაწყდნენ. „ლოკომოტივი" ტერიტორიულ უპირატესობას კი ფლობდა, მაგრამ, როგორც ზემოთ გითხარით, სახიფათო მომენტების შექმნა უჭირდა. მოედანიც მალე ატალახდა და რკინიგზელებს სწრაფი გოლის გატანის იმედი მალევე გადაეწურათ.

თსუ-ს საჯარიმოს მისადგომებთან ბურთის გორება რომ გაჭირდა, რკინიგზელებმა საჯარიმოში ჩაწოდებებს მოუხშირეს და ერთი-ორჯერ კარშიც დაარტყეს, თუმც ჭრიკიშვილი მედგრად იდგა. სტუდენტთა კარის დარაჯი, რომელსაც მატჩის მიწურულს ძოძუაშვილთან შეჯახებისას წარბი გაუსკდა და შესაცვლელი შეიქმნა, გამოსვლებზეც უნაკლოდ გაისარჯა.

ტაიმის შუაგულს დავით სირაძეს შეეძლო გოლის გატანა, მაგრამ მისი სახიფათო თავური სტუმართა მცველმა თავითვე კუთხურზე მოიგერია.

შესვენებამდე „ლოკომოტივს" კიდევ მიეცა შანსი, თუმც სერგო ორბელაძესაც მცველი აეფარა წინ.

თსუ ყველა ხერხით ცდილობდა, დრო გაეყვანა და, შეიძლება ითქვას, პირველ 45 წუთში ეს შეძლო კიდეც.

მეორე ნახევარში ლუის ცაკარიასმა ჯერ მერაბ ძოძუაშვილი შეიყვანა მოედანზე, მოგვიანებით მას მიხეილ სოსელიაც მიაშველა.

„ვიტ ჯორჯიას" ფორმაში გამოწყობილ სტუდენტთა კართან ხიფათმაც ერთიორად იმატა. ამას ისიც დაემატა, რომ „ლოკომოტივი" უკვე სხვა კარისკენ უტევდა. მოედნის ეს ნახევარი კი პირველ ტაიმში თავადვე „შეინახა" საგულდაგულოდ.

ძოძუაშვილის აქტიურმა თამაშმა დავით სირაძესაც გაუხსნა ხელ-ფეხი. თუმც რკინიგზელთა მეოცე ნომერი გუშინ ნაღდად არ იყო იშტაზე და რამდენიმე ხელსაყრელი მომენტიც გაანიავა.

თსუ-მ მთელი ძალებით დაიხია უკან. მერაბ კოჭლაშვილის ბიჭები ბურთის დაუფლებისთანავე სწრაფ, ეულ თავდამსხმელ ზაზა სახოკიას ამარაგებდნენ, თუმც მასპინძლებმა მისი გაუვნებლება მოახერხეს. ერთ-ერთი ასეთი კონტრშეტევისას სახოკიას როინ ონიანმა დაასწრო და მოედნის ცენტრიდან მეკარე ლომაიას ოდნავ ძლიერად დაუგორა. ამაზე „ლოკომოტივის" ერთ-ერთმა გულშემატკივარმა ირონიულად მიაძახა, ეს დღეს ჩვენს კარში ყველაზე სახიფათო დარტყმა იყოო. ამ ნათქვამში სიმართლის მარცვლები სანთლით საძებარი ნაღდად არ იყო, მაგრამ სტუდენტთა თავდაცვლები და ყინიან თამაშზეც ვერ დავხუჭავთ თვალს.

სტუმრებმა მაქსიმუმი გაიღეს და ფრესაც ალალად იმსახურებდნენ, მაგრამ მიზნის მისაღწევად წამები დააკლდათ. კუთხურიდან ნაწოდებულ ბურთს როინ ონიანმა თავი დაუხვედრა, ბადეში მდგომმა მიხეილ სოსელიამაც თავითვე წამატა და — 1:0.



ნანა ემონი „ლოკომოტივს" ჯერ ვერაფრით ეხმარება, გერმანიიდან სატრანსფერო ფურცელს ელის

# დიდი ყმაწვილები

პაატა კვანტალიანი გურჯაანიდან

ერთგვარი გამოცდილება მიიღეს უმაღლესლიგელ „მილანთან" გაჯიბრებით რევაზ გაგუას დინამოელებმა. მიუხედავად სადებიუტო შებოჭილობისა, მთლიანობაში ღირსეულად და თავდადებით იბრძოლეს 16-17 წლის ბიჭებმა და კარგი შთაბეჭდილება დატოვეს სიცოცხლის არშეპუებულ ოთხასამდე მოსეირეზე.

მთლიანობაში „მილანმა" გამოცდილების ხარჯზე მოიგო, არადა მატჩის მსვლელობიდან გამომდინარე ფრე უფრო ლოგიკური შედეგი იქნებოდა.

ფაქტობრივად შეკრებაგაუვლელი და საკონტროლო მატჩუთამაშებელი დაუხვდა „მილანი" თბილისელ სტუმარს. სატრანსფერო ციებცხელებაში ბოლო წამს ფეხაგამოჩენილმა წნორელებმა რჩეული ახალწვეულები ვერ დაახვედრეს მომხდურებს.

იოლ გამარჯვებაში დარწმუნებულმა წნორელებმა ახლადნაწვევი სიდამონიძის, გოდერძიშვილის, ცქიფურიშვილისა და ბაჯელიძის გარეშე ითამაშეს, მაგრამ მატჩის მსვლელობიდან გამომდინარე მოგებაც სათუო გაუხდათ. „მილანმა" მთლიანობაში გამოცდილი სოსო ბარამიძის და მირზა სამხარაძის წყალობით მოიგო. ბარამიძე ლამის შვილის ტოლ ბიჭებში ჯარასავით ტრიალებდა. სამხარაძე კი სისწრაფის და ტექნიკის ხარჯზე შეტევის მარცხენა ფრთაზე ბატონობდა. გოლიც მისი ძალისხმევით გავიდა — საჯარიმოში მეურვე მოტოვებულმა აულებელი დარტყა ზვიად ჩალაძეს.

ცალკე სათქმელია „ნორ დინამოელზე". რევაზ გაგუას ცოდნა და მარიფათი აქამდეც ცნობილი იყო ჩვენში, მის აღსაზრდელ დღევანდელ ნორჩ დინამოელებს ალღოიანი მწვრთნელის ხელი აშკარად ეტყობათ. ეს გუნდი უპირველეს ყოვლისა სათამაშო დისციპლინითაა გამორჩეული და რაც მთავარია, ამ 16-17 წლის ბიჭებში დიდი პოტენციალი იგრძნობა.

თქვენ უმაღლესი ლიგის გუნდს ეთამაშებით, ეს თამაში ერთ-ერთი გამორჩეულია თქვენს კარიერაში, გადით და თავი დადეთ — ასეთი იყო გაგუას წინასამატჩო რეცეპტი. შეგირდებმა ასი პროცენტით შეასრულეს ალღოიანი მწვრთნელის დავალება. მჭიდრო პრესინგი, ეფექტური ფლანგური შეტევები, ორთაბრძოლებში სიყოჩაღე და თავგანწირვა, ასეთი იყო „ნორჩი დინამოელი" გურჯაანულ მატჩში და უფრო უიღბლობის ბრალია, თბილისელებმა უგოლოდ რომ დატოვეს მოედანი. მარტო 70-ე წუთზე შექმნილი ეპიზოდი რად ღირს, შორეული 30-მეტრიანი პასის მერე საჯარიმოში შეჭრილ ლუჭაშვილს სასწაულებრივ რომ აული ახალგაზრდა მამალაძემ. ამის გარდა სტუმრებს 3-4 საგოლე მომენტიც ჰქონდათ.

რევაზ გაგუას გუნდიდან განსაკუთრებით შთამბეჭდავად ნოდარ ლევიძემ და ნიკა ნიკოლაიშვილმა ითამაშეს. ამ უკანასკნელს მალე „დინამოშიც" ვიხილავთ. დევიძის დარი ნახევარმცველი კი მის ასაკში თითით საძებნელია საქართველოში. ამ ყმაწვილის ტაქტიკური განსწავლულობა და ტექნიკა გამორჩეული იყო გუშინდელ შეხვედრაში. გურჯაანულ მატჩს რამდენიმე სელექციონერი ესწრებოდა და საეჭვოა ეს ფეხბურთელი დიდხანს შემორჩეს „ნორჩ დინამოელს".

საპასუხო მატჩი 28 თებერვალს ავჭალურ ოლროხოლროზე გაიმართება და ნუ გაიკვირვებთ თუ წამყვან ახალწვეულთა დახმარებითაც კი „მილანი" სათასო მერვედფინალს მიღმა აღმოჩნდეს.

გურჯაანი. 24 თებერვალი. 14 საათი. დავით ყიფიანი. 300 (ტევადობა 3 000)

## მილანი 1:0 ნორჩი დინამოელი

1:0 სამხარაძე (23)

მილანი: შამალაძე, ჯაფარიძე, რობაქიძე, მეტონიძე, ბარამიძე, ეგაძე, ხაჩიძე, მ. სამხარაძე, ნ. მელაძე, ლუღუნაძე, ლამბაშიძე (ეცადეიშვილი 62)
სათადარიგონი: გიორბელიძე; გიორგაძე
მწვრთნელი: ზურაბ ბოჭორიშვილი

ნორჩი დინამოელი: ჩალაძე, ელიზბარაშვილი, აბაშიძე, ბერიანიძე, ხურციძე, დევიძე, ხურგულაძე (კუხრაშვილი 35, ზურიკაშვილი 64), კანთელაძე, ნიკოლაიშვილი, ალავიძე (გულუა 61), ლუჭაშვილი
სათადარიგონი: ლატარია; კეკოშვილი, ღიბრაძე, ბუბუტეიშვილი
მწვრთნელი: რევაზ გაგუა

გაფრთხილება: ალავიძე (62)

მსაჯები: ი. კახიანი; ბ. ჭიჭინაძე (ორივე თბილისი), ი. აფციაური (დუშეთი); გ. ვადაჭკორია (თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: გ. როსტომაშვილი

ჯარიმა: 19-17; კუთხური: 4-5; კარისკენ დარტყმა: 3-4; კარში დარტყმა: 3-4; თამაშგარე: 1-4

ქუთაისი. ტორპედო. 24 თებერვალი. 14.00 საათი

## ტორპედო 5:1 სამგურალი

თბილისი. დიღმის ბაზა. 24 თებერვალი. 14.00 საათი

## დინამო 2 2:1 ივერია

თბილისი. შევარდენი. 24 თებერვალი. 14.00 საათი

## ვიტ ჯორჯია 7:1 ჩიხურა

ფოთი. ფაზისი. 24 თებერვალი

## კოლხეთი 6:0 სამტრედია

რუსთავი. ფოლადი. 24 თებერვალი. 14.00 საათი

## გორდა 0:3 სპარტაკი

ხობი. ცენტრალური. 24 თებერვალი. 14.00 საათი

## ლაზიკა 1:2 გურია

გორი. ქართლი. 24 თებერვალი. 14.00 საათი

## ცხინვალი 1:1 ჭაბუკთა ნაკრები

ზესტაფონი. ცენტრალური. 24 თებერვალი. 14.00 საათი

## მეტალურგი 0:3 ქობულეთი

*საპასუხო მატჩები 28 თებერვალს და 1 მარტს გაიმართება*



ვაჟა ლორთქიფანიძის ფოტო

ბოლნისელებმა გურჯაანელთა კარი მოაოხრეს

# შოკოლადის კარაქი
## მოდი, ფიგურულად გავსრიალდეთ

თბილისი. 24 თებერვალი. 14 საათი. სინათლე. 50 (ტევადობა 3 000)

### სიონი 7:1 ალაზანი

1:0 ბურნაძე (3), 2:0 გაბისკირია (24), 3:0 დაუშვილი (26), 4:0, 5:0 დათვაძე (393, 43), 6:0 გაბისკირია (45), 7:0 წივწივაძე (79), 7:1 ი. ყალაბეგაშვილი (833)

**სიონი:** ვოლკოვი, ა. ბურნაძე, ხუჯაძე (სვანიძე 46), სვანაძე, ფანჩულიძე, დაუშვილი, ისიანი, გაბისკირია (გოგიტაძე 46), დათვაძე, შავგულიძე, წივწივაძე
*სათადარიგონი:* ბათიაშვილი; ბაქრაძე
**მწვრთნელი:** თემურ მახარაძე

**ალაზანი:** თოდუა, ხატიაშვილი, კუპრაშვილი, დ. ბურდული, ამონაშვილი, ი. ყალაბეგაშვილი, კაციაშვილი, თურქიაშვილი, გიგნაძე, სხირტალძე, თათულიშვილი
*სათადარიგონი:* დ. ყალაბეგაშვილი; ე. ალადაშვილი, ძამაშვილი, ნათობიძე, ქადაგიძე
**მწვრთნელი:** ვასილ სეფაშვილი

**გაფრთხილება:** ბურნაძე (65), ფანჩულიძე (78)

**მსაჯები:** ა. შილაკაძე; ლ. თოდრია (ორივე თბილისი), ზ. ფიფია (გალი); მ. მალალურაძე (თბილისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ი. მჭედლიშვილი

**ჯარიმა:** 14-9; კუთხური: 8-3; კარისკენ დარტყმა: 4-2; კარში დარტყმა: 8-2; თამაშგარე: 6:3

**ვაჟა ხუციშვილი**

**ბოლნისის „სიონის"** მშობლიურ „თემურ სტეფანიაზე" ბალახი ახალდათესილია და ქვემოქართლელები გურჯაანელებს ნაქირავებ „სინათლეზე" დაუხვდნენ. რადგან „სიონი" მასპინძელი იყო, წესრიგის დასაცავადაც სტადიონს ბოლნისელი ფორმიანები ეწვივნენ.

თემურ მახარაძემ ზამთრის შესვენებისას დამატებულ ფეხბურთელებს გუნდში ადგილი მიუჩინა და ძირითად შემადგენლობაშიც ათამაშა. ბურნაძემ, ხუჯაძემ, სვანაძემ, ფანჩულიძემ და წივწივაძემ „სიონის" მაისურები მოირგეს.

გურჯაანის „ალაზანში" სრულიად საპირისპირო ვითარებაა. კახელებს არ ულხინთ. უფულობით გატანჯულნი ინერციით და ენთუზიაზმით სულდგმულობენ. ძირითადი შემადგენლობის ექვს ფეხბურთელს გრიპი შეჰყრია და მწვრთნელმა თერთმეტ მოთამაშეს ვაი-ვაგლახით მოუყარა თავი. გუნდის უფროსის თქმით, საშეჯიბრო კომიტეტს ერთი კვირით ადრე აცნობეს, ფეხბურთელები ავად გვყავს, ეგებ მატჩი მოგვიანებით გავმართოთო, მაგრამ უარი მიიღეს. „ალაზანის" სათადარიგოებში ექვსი გვარი კი შეიტანეს, თუმც მხოლოდ ფორმალურად.

გვარიანად გაწელილ ზამთარში „სინათლე" ატალახებული დაუხვდა მატჩს. ბოლნისელებმა საქმე მეორე ტაიმისთვის არ გადადეს და დასუსტებულ მეტოქეს მარწუხები თავიდანვე მოუჭირეს. შეკოწიწებულმა სტუმრებმა შეხვედრის უმეტესი ნაწილი საკუთარ საჯარიმოსთან გაატარეს, მაგრამ შვიდი გოლი მაინც გაუშვეს. პირობითმა მასპინძლებმა პირველივე კუთხურზე იხეირეს. დაუშვილის ჩაწოდებული ბურთი შორეულ ძელთან ტალახში ჩაერჭო. მცველები და მეკარე ერთმანეთის ცქერით გაერთნენ, რითაც ბურნაძემ ისარგებლა და ფეხის წარტყმით ანგარიში გახსნა.

„სიონი" ხან სირბილით, ხან სრიალსრიალით უტევდა. საგოლე მომენტები სიხშირის გამო ძნელად დასათვლელი გახდა. ბოლნისელთა მეკარე მოწყენილობისა და უსაქმურობისგან თავს შეძახილებით ირთობდა, მისი თანაგუნდელები კი მეტოქის კართან ხიფათს ახვავებდნენ.

„სინათლეზე" რონალდოც გამოჩნდა. ფანჩულიძის თეთრ თავზე ტალახიანი ბურთის შეხებამ იმ ვარცხნილობის ანალოგი შექმნა, ბრაზილიელმა მსოფლიოს ჩემპიონატისთვის რომ შეუკვეთა.

მართლა ბრაზილიელივით იური გაბისკირიამ ითამაშა. ცენტრიდან ბურთიანად ირბინა, ხუთ-ექვს მცველს ზედაც არ შეხედა, მეკარეც მოიტოვა და სხვაობა ორამდე გაზარდა.

ორიოდ წუთში ჰამლეტ წივწივაძემ კარის წინ ეულად დარჩენილ დაუშვილს ბურთი მიჰგვარა და — 3:0.

იტყვიან ხოლმე, ისეთი თამაში იყო, ბურთი ცენტრში არ ჩერდებოდაო. გუშინ სწორედაც რომ ცენტრში ჩერდებოდა, რადგან ტალახი გამუდმებით გულში იხუტებდა, ალბათ ფეხბურთელებისთვის არ ემეტებოდა.

მალე დათვაძემ გაბისკირიაობა მოიწადინა, გამოუვიდა კიდეც ოღონდ ბოლოს მეკარემ დასცა. მსაჯმა თერთმეტმეტრიანისკენ თითი გაიშვირა. თემურ მახარაძემ „იურა" დაიძახა, გაბისკირიამ დაარტყასო. მავანმა ქომაგმა, რომელმაც ქორიძის მიერ „ტორპედოსთან" შესრულებული პენალტის ამბავი იცოდა, შეჰყვირა, ქორიძეს დაარტყმევინეთო. ბურთთან „იურა" მივიდა და 3:0 არ შეცვალა. თან იმ დროისთვის „ალაზანი" ათი კაცით დარჩა. თურქიაშვილმა ტრავმის გამო მოედანი დატოვა და რაკი სათადარიგოები არ იყვნენ, გუნდმაც კაცნაკლულმა გააგრძელა თამაში.

წუთში ახლა უკვე გაბისკირიას წაქცევისთვის დაინიშნა თერთმეტმეტრიანი, რომელიც დათვაძემ ზუსტად შეასრულა — 4:0. მანვე მალე ლამაზად ჩაუშვა ბურთი მეკარის ზურგს უკან — 5:0, ტაიმის ბოლო წუთზე კი გაბისკირიამ საჯარიმო დარტყმით გააექვსა.

შესვენების შემდეგ ტალახი კარაქივით გახდა და ფიგურული სრიალის ელემენტებმა იმატა, მოთამაშეები წარამარა ყირაობდნენ. ძირს დაცემული ფეხბურთელები ხელებიდან მიწის მოშორებას კარგა ხანს უნდებოდნენ, ბუცები კი ციგურებად გადაიქცა. მეშვიდე გოლი ისიანის პასით ჰამლეტ წივწივაძემ თავურით შეაგდო. მატჩის მიწურულს „ალაზანმაც" მოისურვა ერთი გოლის გატანა და რამდენიმე სახიფათო მომენტიც შექმნა. ბოლოს გურჯაანელებსაც დაუფასდათ. თერთმეტმეტრიანი ილია ყალაბეგაშვილმა უზადოდ შეასრულა და იქვე მსაჯმაც დამთავრებისა დაუსტვინა.



„სიონის" მწვრთნელი თემურ მახარაძე და ბოლნისის გამგებელი ზურაბ ჯაფარიძე 7:1-ით კმაყოფილები არიან

# სანგარე გზაშია, ამაევი ქუთაისში, ტორპედო მოლოდინში

**გუშინ** საქართველოს თასის მეთექვსმეტედფინალის პირველ მატჩში ქუთაისის „ტორპედომ" მეზობელ წყალტუბოს „სამგურალს" 5:1 მოუგო და, ფაქტობრივად, შემდეგ ეტაპზე გასვლა გაინაღდა.

ქუთათურები რამდენიმე დღის წინ დაბრუნდნენ თურქეთიდან, სადაც ორი კვირის განმავლობაში ემზადებოდნენ. მოგეხსენებათ, ქვეყნის სამგზის ჩემპიონებმა საზამთრო შესვენებისას გვარიანი ძალა დაკარგეს დიდავა-ქემოკლიძე-ასათიანის სახით და ახლა ყველა ელის, როგორი იქნება სახეცვლილი „ტორპედო". ალექსანდრ შტელინმა მათ ნაცვლად რამდენიმე ფეხბურთელით კი გააძლიერა გუნდი, მაგრამ ეს რომ საკმარისი არ არის, უკრაინელის თანაშემწე სოსო ფრუიძემაც დაგვიდასტურა. რიონისპირელთა მწვრთნელს გუშინ, წყალტუბოს „სამგურალთან" მატჩის შემდეგ შევეხმიანეთ.

**— „სამგურალი" იოლად დაამარცხეთ და ალბათ გუნდის თამაშით კმაყოფილი ხართ...**

— სხვათა შორის, პირველ ტაიმში 0:1 ვაგებდით, მაგრამ მერე სიტუაციის გამოსწორება შევძელით და მეტოქე დიდი ანგარიშითაც დავამარცხეთ.

**— პირველ ტაიმში ასე რატომ გაგიჭირდათ?**

— ბიჭებმა მძიმე გრუნტზე მოძრაობას თავიდანვე ვერ აუღეს ალღო, მერე კი ამოძრავდნენ და „სამგურალიც" დაჩაგრეს.

**— თურქულ შეკრებაზე რას იტყვით?**

— თურქეთში საკმაოდ ნორმალური პირობები გვქონდა. რამდენიმე ამხანაგური მატჩიც ჩავატარეთ და ფიზიკურადაც კარგად მოვემზადეთ. ამან დღევანდელ მატჩშიც დიდი სამსახური გაგვიწია. შესვენების შემდეგ ბიჭებმა ტემპს მოუმატეს და საკმაოდ ბევრი იმოძრავეს. ასე რომ, ფიზიკური მომზადების მხრივ ჯერჯერობით არაფერს ვუჩივით.

**— ესე იგი, კმაყოფილი ხართ...**

— შეიძლება ითქვას, რომ ამ ეტაპზე გუნდის მიმართ სასაყვედურო არაფერი გვაქვს.

**— ქუთაისში ნიგერიელი მცველი მამადი სანგარე უნდა ჩამოსულიყო...**

— სანგარე ჯერჯერობით არ ჩამოსულა, თუმც მისი ტრანსფერი თითქმის გადაწყვეტილია. ალბათ, მალე შემოგვიერთდება.

**— ამაევის გატორპედოელება საბოლოოდ გადაწყდა?**

— არა. ამაევი ჩვენთან კი ვარჯიშობს, მაგრამ სანამ მისი სატრანსფერო ფურცელი არ ჩამოგვივა თურქმენეთიდან, ვერ ვათამაშებთ. იმედი მაქვს, ეს საკითხიც მალე მოგვარდება.

**— რუსეთიდან სევასტი თოდუაც დაიბრუნეთ. ის უკვე „ტორპედოშია"?**

— თოდუა „ტორპედოსთან" ერთად ემზადება. ის ძალიან დაგვეხმარება.

**— შეგიძლიათ თქვათ, რომ ამით ასათიან-დიდავა-ქემოკლიძის წასვლით დარჩენილ სიცარიელეს ამოავსებთ?**

— არა, ამის თქმა არ შეიძლება. ასათიანი, დიდავა და ქემოკლიძე „ტორპედოსთვის" ძალიან დიდი ძალა იყვნენ. მათი შემცვლელების პოვნა ასე იოლი არ არის, ალბათ გაგვიჭირდება.

**— ესე იგი, „ტორპედოს" საჩემპიონო შანსები შემცირდა?**

— შანსებზე რა გითხრათ, მაგრამ ჩვენ უბრძოლველად არაფერს დავთმობთ. მართალია, სერიოზული ძალა დავკარგეთ, მაგრამ უკან დახევას არ ვაპირებთ, თუმც ჩემპიონობის მოპოვება მაინც ძალიან ძნელი იქნება.

**ქახა შალამბერიძე**



სოსო ფრუიძე და ალექსანდრ შტელინი

# ბათუმს ბულგარული შეკრება

**ორი დღეა,** ბულგარული ტრიავნიდან შინ დაბრუნდა „ბათუმი". ასლან ბალაძეს გუნდი თითქმის დაუკომპლექტებია და სახვალიოდ სათასო თამაშში „ხობის" დასახვედრად ემზადება.

ბათუმელები ტრიავნული პირობებით კმაყოფილები არიან, ერთი ეგაა, ცოტათი ამინდმა შეგვაშინა, თუმც მაინც ნაყოფიერად მოვემზადეთო. ბალაძის ბიჭებმა ბულგარეთში 6 საკონტროლო მატჩი ჩაატარეს, 3 მოიგეს, 2 წააგეს და ერთიც ფრედ დაასრულეს.

პირველ თამაშში „ბათუმი" იქაური მეორე ლიგის „ცარიოვას" დაუპირისპირდა და 3:2 დამარცხდა. ბათუმელთაგან გოლები ფირცხალაიშვილმა და ირაკლი შენგელიამ გაიტანეს. მომდევნო მატჩში ბალაძის გუნდი პირველლიგელ „დუნავის" 0:0 დაუზავდა. „ბათუმმა" გამარჯვებას მეორე ლიგის „აეტთან" მიაღწია, რომელიც შენგელიას და ფურცხვანიძის გოლებით დაამარცხა.

მეოთხე მატჩში ჩვენებურები უკვე ნაცნობ „დუნავის" გადაიბრებიან და 2:0 წაუგიათ, ხოლო დარჩენილ ორ მატჩში ტრიავნის „ვალექსთან" და დრიანოვოს „ლოკომოტივთან" შესაბამისად 3:1 და 2:0 უმარჯვიათ. გოლები კი ფურცხვანიძეს 3, ფირცხალაიშვილს და დუმბაძეს გაუტანიათ.

ნაბულგარეთევს ბალაძემ იმ ახალწვეულთა ვინაობაც გაამხილა, რომელთაც თავისი გუნდის მაისურას მოარგებს. დღეიდან ბათუმელები არიან გურეშიძე, გუშარაშვილი, ირაკლი შენგელია, ფირცხალაიშვილი და მეკარე ქვაჩახია. „ბათუმში" დაბრუნდა აწ უკვე ყოფილი ვიტელი ბესიკ თედორაძე, ვინც ბალაძის გუნდს შეკრებაზე არ ხლებია და სადღეისოდაც ძველ ტრავმას იშუშებს.

„ბათუმიდან" წავიდა მცველი გოდერძი ჩიჩუა, რომელიც, მწვრთნელის თქმით, შემადგენლობაში ვერ ხვდებოდა და გაცლა ამჯობინა.

**მამუკა ქვანტალიანი**

REUTERS



სიტი — არსენალი. სილვენ ვილტორდი მასპინძელთა მეკარე კარლო ნეშს კი გასცდა, მაგრამ ლონდონელთა ხუთი გოლიდან მისი ერთიც არ იყო

# არ მაინტერესებს

## ინგლისი

### პრემიერლიგა. XXVIII ტური

**სანდერლენდი 1:3 მიდლსბრო**

0:1, 0:2 რიგოტი (21, 28), 1:2 ფილიპსი (56), 1:3 კრისტი (59)
**სანდერლენდი:** სორენსენი, ს. რაიტი, კრადოკი, ელ კარკური, გრეი (არკა 72), ბელიონი (პიპერი 46), მაკატირი, გ. მაკანი, კილბეინი (პროქტორი 84), ფილიპსი, ფლო
მწვრთნელი: ჰოვარდ უილკინსონი
**მიდლსბრო:** შვარცერი, კუპერი, საუთგეიტი, რიგოტი, პარნაბი, ბოატენგი, გრინინგი, ჯერემი, კედრუ (დევიდ მერფი 76), რიკეტსი, კრისტი (ნემეტი 82)
მწვრთნელი: სტივ მაკლარენი
გაფრთხილება: რაიტი, კილბეინი, კედრუ
მსაჯი: ჰალსი
42 134 მაყურებელი

**სიტი 1:5 არსენალი**

0:1 ბერხკამპი (4), 0:2 პირესი (12), 0:3 ანრი (15), 0:4 კემპბელი (19), 0:5 ვიეირა (53), 1:5 ანელკა (87)
**სიტი:** ნეში, რ. დანი (რაიტ-ფილიპსი 46), ჰაუი, სომეილი, ჟიხაი, ბერკოვიჩი, ფოე, ბელმადი (ბენარბია 65), ნ. იენსენი, ანელკა, ფაულერი
მწვრთნელი: კევინ კიგანი
**არსენალი:** ს. ტეილორი, ლორენი, კიოუნი, ს. კემპბელი, ვან ბრონკჰორსტი, ვილტორდი (ჯეფერსი 74), ჟილბერტო სილვა, ვიეირა, პირესი (ედუ 74), ბერხკამპი (პარლოუ 64), ანრი
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
მსაჯი: დარკინი
34 960 მაყურებელი

**ლიდსი 0:3 ნიუკასლი**

0:1, 0:2 დაიერი (17, 48), 0:3 შირერი (54)
**ლიდსი:** პ. რობინსონი, მილსი, რადებე (ლუკიჩი 72), დაბერი, რაულ ბრავო, გ. კელი, ოკონი (ბარმბი 70), ს. ჯონსონი, უილკოქსი (მილნერი 46), კიუელი, ა. სმიტი
მწვრთნელი: ტერი ვენეიბლზი
**ნიუკასლი:** გივენი, გრიფინი (დაბიზასი 86), ობრაიენი, ბრემბლი, ა. ჰიუზი, კერი (ამეობი 81), დაიერი (აკუნია 81), სპიდი, რობერი, შირერი, ბელამი
მწვრთნელი: ბობი რობსონი
მსაჯი: ვაილი
40 025 მაყურებელი

**ევერტონი 2:1 საუთჰემპტონი**

0:1 ბიტი (33), 1:1, 2:1 რაძინსკი (83, 90)
**ევერტონი:** რ. რაიტი, პისტონე, ვეირი, სტაბსი, ანსუორთი, უოტსონი, ტიე (გრავესენი 59), ჯემილი, ნეისმიტი (რუნი 64), მაკბრაიდი (კ. კემპბელი 59), რაძინსკი
მწვრთნელი: დევიდ მოიესი
**საუთჰემპტონი:** ნიემი, ტელფერი, მიხაელ სვენსონი, ლუნდეკვამი, ჰიგინბოთემი, ფერნანდესი (დოდი 70), ა. სვენსონი (კ. დევისი 88), ოკლი, პრატონი, ბიტი, ორმეროდი (ტესემი 61)
მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი
გაფრთხილება: პრატონი
მსაჯი: ელერეი
36 569 მაყურებელი

**ჩელსი 1:2 ბლეკბერნი**

0:1 იორკი (86), 0:2 დანი (90), 1:2 ჰასელბაინკი (90)
**ჩელსი:** კუდიჩინი, მელხიოტი, გალასი, ტერი, ლე სო (ბაბაიარო 18), სტანიჩი (ზენდენი 65), ჯ. მორისი, ლამპარდი, გრონკიაერი (ძოლა 46), ჰასელბაინკი, გუდიონსენი
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
**ბლეკბერნი:** ფრიდელი, ნაილი, შორტი, ბერგი, ნ. იოჰანსონი (გილესპი 65), დ. დანი, თუგაი, ფლიტკროფტი, გრეშკო, ენდი კოული (ოსტენსტადი 83), გრაბი (იორკი 57)
მწვრთნელი: გრემ სუნესი
გაფრთხილება: სტანიჩი, გალასი, გრეშკო
მსაჯი: პოლი
40 850 მაყურებელი

**ჩარლტონი 3:0 ასტონ ვილა**

1:0 იუელი (51), 2:0, 3:0 იოჰანსონი (87, 90)
**ჩარლტონი:** დ. კელი, იანგი, ფორტუნი, ელ ხალეჯი, კ. პაუელი, კიშიშევი, პარკერი (ბარტ-უილიამსი 89), იუელი, კ. იენსენი, ბარტლეტი (მ. სვენსონი 88), ლისბი (ჯ. იოჰანსონი 83)
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
**ასტონ ვილა:** ენკელმანი, მელბერგი, ალფაი, იონსენი, დე ლა კრუზი (მ. ჰაჯი 60), კინსელა, გუდიონსენი, ბერი, ა. რაიტი (ჯ. სამუელი 60), კრუში, ვასელი (ოლბოკი 65)
მწვრთნელი: გრემ ტეილორი
გაფრთხილება: ბარტლეტი, კიშიშევი, კინსელა, კრუში
მსაჯი: დოუდი
26 257 მაყურებელი

**ბოლტონი 1:1 მანჩესტერი**

1:0 ნგოტი (61), 1:1 სოლსკიაერი (90)
**ბოლტონი:** იასკელაინენი, ნგოტი, ბერგსონი, ლავილი, ჩარლტონი, ოკოჩა, კამპო, რ. გარდნერი, მენდი (ბერნესი 82), პედერსენი (სალვა 57), ჯორკაეფი (ნოლანი 85)
მწვრთნელი: სემ ალარდაისი
**მანჩესტერი:** ბარტეზი, გ. ნევილი, რ. ფერდინანდი, უესლი ბრაუნი (ფ. ნევილი 74), ოში, ბექემი, როი კინი, ვერონი (ბათი 80), გიგზი (ფორლანი 57), ვან ნისტელროი, სოლსკიაერი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
გაფრთხილება: კამპო, კინი
მსაჯი: დურსო
27 409 მაყურებელი

**ვესტ ბრომვიჩი 1:2 ვესტ ჰემი**

0:1 სინკლერი (45), 1:1 დიჩიო (50), 1:2 სინკლერი (67)
**ვესტ ბრომვიჩი:** ჰოულტი, დ. მური, ჯილკრისტი, გრეგანი, ა. ჩემბერსი, კუმასი, უოლვორკი (სიგურდსონი 74), მაკინესი (დობი 74), უდეზე, დიჩიო, მაქს ჰიუზი
მწვრთნელი: გარი მეგსონი
**ვესტ ჰემი:** ჯეიმსი, მ. ჯონსონი, რეეპკა, ი. პირსი, ბრევეტი, ბოიერი (ბრინი 85), კარიკი, ლომასი, ტ. სინკლერი, ლ. ფერდინანდი (ჰათჩისონი 81), დი კანიო (დეფო 49)
მწვრთნელი: გლენ როიდერი
გაფრთხილება: გრეგანი, კარიკი
მსაჯი: დინი
27 042 მაყურებელი

**ბირმინგემი 2:1 ლივერპული**

1:0 კლემენსი (34), 2:0 მორისონი (66), 2:1 ოუენი (77)
**ბირმინგემი:** ვესენი, კენა, კანინგემი, აპსონი, კლეპამი, სევიჯი, კლემენსი (კარტერი 79), ლაზარიდისი, მორისონი (დევლინი 88), დიუგარი (ჰორსფილდი 81), დ. ჯონსონი
მწვრთნელი: სტივ ბრიუსი
**ლივერპული:** დუდეკი, კარაგერი (ოუენი 63), ჰიიპია, ტრაორე, ჰამანი, შეირუ (მელორი 84), რიისე, დენი მერფი, ბაროში, ჰესკი, დიაო
მწვრთნელი: ჟერარ ულიე
გაფრთხილება: დიუგარი, აპსონი, დიაო
მსაჯი: უილკისი
29 449 მაყურებელი

**ტოტენჰემი — ფულემი**

*ნუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

„მე აღარ მაინტერესებს, რას იზამს დარჩენილ თერთმეტ ტურში „მანჩესტერ იუნაიტედი", ამიტომ ამას ნუ მკითხავთ". ასე თქვა „არსენალის" მენეჯერმა არსენ ვენგერმა მას შემდეგ, რაც მისმა გუნდმა „მეინ როუდზე" 5:1 მოუგო „მანჩესტერ სიტის", ხოლო „მანჩესტერ იუნაიტედმა" ბოლო წუთზე იხსნა ქულა ბოლტონში.

ახლა ლიდერსა და მდევარს შორის სხვაობა ხუთი ქულაა და ფერგიუსონის გუნდის საჩემპიონო შანსები მთლიანად „არსენალის" წაფორხილებაზეა დამოკიდებული.

„მეთოფეებს" იმგვარი წარმოდგენა გამოუვიდათ „მეინ როუდზე", რომ მეოცე წუთისთვის 4:0-ს უგებდნენ საბრალო მასპინძლებს. ვისაც ჩვეულებრივ თითო გამარჯვების გოლი გააქვს ხოლმე იმათ ყველამ პირველ ოც წუთში გაიტანეს და გაშტერებულ „სიტის" რაღა უნდა ექნა? კევინ კიგანის აზრით, მისმა სათამაშო ტაქტიკამ არ გაამართლა.

„ბოლტონმა" კი ნამდვილი გამოცდა მოუწყო „მანჩესტერს", რომლისთვისაც ბოლო სამი შეყრიდან ორი მოგებული ჰქონდა. სემ ალარდაისის გუნდი ამჯერადაც იგებდა ივან კამპოს შეჩხერილი ბურთით და ღია თამაშშიც ტოლს არ უდებდა სტუმრებს: ჯეიჯეი ოკოჩას და იური ჯორკაეფს დიახაც უნდა გაეტანათ. სერ ალექსის თქმით, „მანჩესტერი" მრავალწლიანმა გამოცდილებამ გადაარჩინა: ბექემის პასმა და სოლსკიაერის რთულმა გოლმა 90-ე წუთზე შედეგი შეცვალა.

ფერგიმ კი თავი იმართლა: „ბოლო ორ კვირაში ჩვენ ოთხჯერ ვითამაშეთ, „ბოლტონმა" კი ერთხელ".

ამასობაში „ლივერპულმა" წააგო ბირმინგემში, „სიტისთან". მაიკლ ოუენმა რვატურიანი გვალვის შემდეგ ჩაიწერა გოლი, თუმცა, იმ დროისთვის უკვე 0:2-ს აგებდა და წაგებულადვე დარჩა. ბირმინგემელთა მენეჯერმა სტივ ბრიუსმა თქვა, 2 თამაშის მოგებაა გვინდა და ლიგაში ვრჩებითო. „ნიუკასლმა" 3:0 მოიგო ლიდსში, სადაც გრაჰამ ტერი ვენეიბლზი წაექცია, მწვრთნელი თამაშს ვერ დაესწრო და კიდევ კარგი, თორემ სიცხე კიდევ მეტად აუწევდა. სხვაფრივ კი, ეს თამაში აღინიშნა კირონ დაიერის გამოღვიძებით, ორი გოლით და ალან შირერის კიდევ ერთი გოლით, ხოლო „ნიუკასლი" დაკარგული ქულებით „მანჩესტერს" წამოეწია.

„ვესტ ჰემმა" სტუმრად მოუგო „ვესტ ბრომვიჩს", ამ მატჩის მთავარი ამბავი კი ის გამოვიდა, რომ მენეჯერმა გლენ როიდერმა 49-ე წუთზე პაოლო დი კანიო შეცვალა, რომელიც სათადარიგოთა სკამიდანაც კი ჩვეული გიჟმაჟობით იყო ჩართული თამაშში.

ამ ოცდამერვე ტურში გამოვიდა ორი ბრწყინვალე თამაში, რომელთაგან ერთი „სტემფორდ ბრიჯზე" გაიმართა, მეორე ლივერპულის „გუდისონ პარკზე".

„ჩელსიმ" „ბლეკბერნს" უმასპინძლა და თამაშის ბოლო ხუთ წუთში სამი გოლი გავიდა. ვაგლახ, რომ მასპინძლები წაგებულნი დარჩნენ. ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკს ადრეც უნდა გაეტანა, მაგრამ მხოლოდ მაშინ შეაგდო, როცა მისი გუნდი უკვე 0:2-ს აგებდა. მანამდე დუაიტ იორკმა დამიზნებული თავურით დასაჯა მასპინძლები, რასაც დევიდ დანის გოლი მოჰყვა. იორკმაც დანის პასით გაიტანა, გახარებულმა მენეჯერმა გრემ სუნესმა კი დაინ ხოტბა უძღვნა, ბევრს ვაკრიტიკებდი ცხოვრების სტილის გამო, მაგრამ ბრწყინვალე ფეხბურთელიაო. ეს თამაში მესამასე გამოდგა ჯანფრანკო ძოლასთვის „ჩელსის" შემადგენლობაში.

„გუდისონ პარკზე" კი „საუთჰემპტონის" ჯეიმს ბიტიმ მოხდენილად გაჭრა ხელოვნური თამაშგარესთვის გამზადებული „ევერტონის" დაცვა და პირველ ტაიმშივე დააწინაურა სტუმრები. თამაში თავის გზით წავიდა და მასპინძლები, ცხადია, არ მოდუნდნენ. მერე მოედანზე შევიდა უეინ რუნი, რომელსაც გოლი არ გაუტანია, მაგრამ საგოლე კროსი კი დაასვა თავზე ტომაშ რაძინსკის. რაძინსკის შეჩერება იმ ბოლო ხუთ წუთში ძნელი გამოდგა. მის პირველ და მეორე გოლებს შორის რუნიმ ძელსაც წაუცაცუნა ბურთი. საბოლოოდ კი, 2:1 მასპინძელთა სასარგებლოდ.

„სანდერლენდმა" კვლავ წააგო. „მიდლსბრო" ძალიან იშვიათად იგებს სტუმრად, თუმცა, ახლა საუცხოო ახალწვეულები ჰყავს: პირველი დივიზიონის „დერბიდან" გადმოყვანილი კრის რიგოტი და მალკოლმ კრისტი. სანდერლენდში ორივემ გაიტანა, მასპინძელთა მენეჯერმა ჰოვარდ ვილკინსონმა კი წინა კვირაში ნათქვამი გაიმეორა: „არ გავვარდებით, თუმცა, ამისა მგონი მხოლოდ მე მჯერა."

**ირაკლი გამყრელიძე**

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 არსენალი | 28 | 18 | 6 | 4 | 62:30 | 32 | 60 | 14 | 12 | 1 | 1 | 33:13 | 20 | 37 | 14 | 6 | 5 | 3 | 29:17 | 12 | 23 |
| 2 მანჩესტერი | 28 | 16 | 7 | 5 | 45:26 | 19 | 55 | 14 | 11 | 2 | 1 | 26:9 | 17 | 35 | 14 | 5 | 5 | 4 | 19:17 | 2 | 20 |
| 3 ნიუკასლი | 27 | 16 | 4 | 7 | 45:32 | 13 | 52 | 14 | 12 | 1 | 1 | 25:8 | 17 | 37 | 13 | 4 | 3 | 6 | 20:24 | -4 | 15 |
| 4 ჩელსი | 28 | 13 | 9 | 6 | 49:29 | 20 | 48 | 14 | 8 | 4 | 2 | 28:12 | 16 | 28 | 14 | 5 | 5 | 4 | 21:17 | 4 | 20 |
| 5 ევერტონი | 28 | 14 | 6 | 8 | 37:33 | 4 | 48 | 14 | 9 | 4 | 1 | 22:13 | 9 | 31 | 14 | 5 | 2 | 7 | 15:20 | -5 | 17 |
| 6 ჩარლტონი | 28 | 13 | 6 | 9 | 39:34 | 5 | 45 | 14 | 7 | 3 | 4 | 23:18 | 5 | 24 | 14 | 6 | 3 | 5 | 16:16 | 0 | 21 |
| 7 ლივერპული | 28 | 11 | 10 | 7 | 39:28 | 11 | 43 | 14 | 5 | 8 | 1 | 20:12 | 8 | 23 | 14 | 6 | 2 | 6 | 19:16 | 3 | 20 |
| 8 ტოტენჰემი | 27 | 12 | 6 | 9 | 40:37 | 3 | 42 | 13 | 8 | 3 | 2 | 25:16 | 9 | 27 | 14 | 4 | 3 | 7 | 15:21 | -6 | 15 |
| 9 ბლეკბერნი | 28 | 10 | 10 | 8 | 34:32 | 2 | 40 | 14 | 6 | 5 | 3 | 19:14 | 5 | 23 | 14 | 4 | 5 | 5 | 15:18 | -3 | 17 |
| 10 საუთჰემპტონი | 28 | 10 | 9 | 9 | 29:28 | 1 | 39 | 14 | 7 | 5 | 2 | 18:11 | 7 | 26 | 14 | 3 | 4 | 7 | 11:17 | -6 | 13 |
| 11 სიტი | 28 | 11 | 5 | 12 | 39:43 | -4 | 38 | 14 | 7 | 1 | 6 | 24:24 | 0 | 22 | 14 | 4 | 4 | 6 | 15:19 | -4 | 16 |
| 12 ასტონ ვილა | 28 | 10 | 5 | 13 | 31:32 | -1 | 35 | 14 | 9 | 1 | 4 | 21:9 | 12 | 28 | 14 | 1 | 4 | 9 | 10:23 | -13 | 7 |
| 13 მიდლსბრო | 27 | 9 | 7 | 11 | 33:31 | 2 | 34 | 13 | 7 | 5 | 1 | 25:16 | 9 | 26 | 14 | 2 | 2 | 10 | 8:15 | -7 | 8 |
| 14 ლიდსი | 28 | 10 | 4 | 14 | 34:37 | -3 | 34 | 14 | 5 | 2 | 7 | 14:17 | -3 | 17 | 14 | 5 | 2 | 7 | 20:20 | 0 | 17 |
| 15 ფულემი | 27 | 9 | 6 | 12 | 31:34 | -3 | 33 | 14 | 8 | 2 | 4 | 19:11 | 8 | 26 | 13 | 1 | 4 | 8 | 12:23 | -11 | 7 |
| 16 ბირმინგემი | 28 | 7 | 8 | 13 | 25:40 | -15 | 29 | 14 | 4 | 4 | 6 | 14:19 | -5 | 16 | 14 | 3 | 4 | 7 | 11:21 | -10 | 13 |
| 17 ბოლტონი | 28 | 5 | 11 | 12 | 30:45 | -15 | 26 | 14 | 3 | 7 | 4 | 18:21 | -3 | 16 | 14 | 2 | 4 | 8 | 12:24 | -12 | 10 |
| 18 ვესტ ჰემი | 28 | 5 | 8 | 15 | 30:53 | -23 | 23 | 14 | 1 | 6 | 7 | 13:22 | -9 | 9 | 14 | 4 | 2 | 8 | 17:31 | -14 | 14 |
| 19 ვესტ ბრომვიჩი | 28 | 5 | 6 | 17 | 21:43 | -22 | 21 | 14 | 3 | 4 | 7 | 12:19 | -7 | 13 | 14 | 2 | 2 | 10 | 9:24 | -15 | 8 |
| 20 სანდერლენდი | 28 | 4 | 7 | 17 | 19:45 | -26 | 19 | 14 | 3 | 2 | 9 | 9:20 | -11 | 11 | 14 | 1 | 5 | 8 | 10:25 | -15 | 8 |

**XXIX ტური**

1 მარტი

| | | |
|---|---|---|
| არსენალი | — | ჩარლტონი |
| ვესტ ჰემი | — | ტოტენჰემი |
| ასტონ ვილა | — | ბირმინგემი |
| ბლეკბერნი | — | მანჩესტერ სიტი |
| ფულემი | — | სანდერლენდი |
| ლივერპული | — | ბოლტონი |
| მანჩესტერი | — | ლიდსი |
| მიდლსბრო | — | ევერტონი |
| ნიუკასლი | — | ჩელსი |
| საუთჰემპტონი | — | ვესტ ბრომვიჩი |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ანრი (არსენალი) | 19 |
| ბიტი (საუთჰემპტონი) | 17 |
| შირერი (ნიუკასლი) | 15 |
| ვან ნისტელროი (მანჩესტერი) | 12 |
| ანელკა (მანჩესტერ სიტი) | 12 |
| ძოლა (ჩელსი) | 11 |
| რაძინსკი (ევერტონი) | 11 |

## პირველი დივიზიონი

### XXXIII ტური

**ბარნსლი 2:0 დერბი ქაუნთი**

1:0 ი. მური (8), 2:0 ტეილორი (23)
**დერბი ქაუნთი:** გრანტი, ჯექსონი, უ. ბარტონი, რ. ელიოტი, ზავანო, ბოერტიენი, ლი (მიურეი 46), ბოლდერი, ქინქლაძე, რავანელი, ლ. მორისი
მწვრთნელი: ჯონ გრეგორი
15 063 მაყურებელი

**ბრაიტონი 1:0 მილუოლი**

1:0 რუფე (65)

**ქოვენთრი 0:2 ბრედფორდი**

0:1 გრეი (22), 0:2 იორგენსენი (83)

**კრისტალ პალასი 0:0 შეფილდ უენზდი**

**იფსვიჩი 2:2 გრიმსბი**

0:1 გროვსი (8), 1:1 მ. ბენტი (12), 1:2 ბულდინგი (24), 2:2 მ. ბენტი (89)

**ლესტერი 4:0 უიმბლდონი**

1:0, 2:0 დიკოვი (34, 41), 3:0 ბენჯამინი (48), 4:0 დიკოვი (90)

**ნოტინგემი 6:0 სტოკი**

1:0, 2:0, 3:0, 4:0 ჰერვუდი (13, 24, 28, 45), 5:0 ჯონსონი (53), 6:0 ჯესი (85)

**პორტსმუთი 1:0 ჯილინგემი**

1:0 დე ზიუვი (58)

**პრესტონი 0:2 ვულვერჰემპტონი**

0:1 ნდა (53), 0:2 მილერი (83)

**რედინგი 3:0 როტერჰემი**

1:0 ჰარპერი (15), 2:0 ჰიუზი (32), 3:0 ფორსტერი (40)

**შეფილდ იუნაიტედი 0:1 ნორვიჩი**

0:1 მაკვეიგი (69)

**უოლსოლი 2:0 უოტფორდი**

1:0 ხუნიორი (25), 2:0 ლეიტაუ (86)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტსმუთი | 33 | 20 | 10 | 3 | 67:32 | 70 |
| ლესტერი | 33 | 20 | 8 | 5 | 56:30 | 68 |
| რედინგი | 33 | 18 | 4 | 11 | 44:31 | 58 |
| ნოტინგემი | 32 | 15 | 9 | 8 | 55:32 | 54 |
| შეფილდი | 31 | 15 | 7 | 9 | 45:34 | 52 |
| ვულვზი | 32 | 14 | 9 | 9 | 56:36 | 51 |
| ნორვიჩი | 31 | 13 | 10 | 8 | 44:30 | 49 |
| როტერჰემი | 33 | 13 | 8 | 12 | 51:46 | 47 |
| იფსვიჩი | 32 | 12 | 9 | 11 | 51:44 | 45 |
| უოტფორდი | 32 | 13 | 6 | 13 | 37:49 | 45 |
| ბარნსლი | 31 | 12 | 8 | 11 | 46:55 | 44 |
| კრ. პალასი | 31 | 10 | 13 | 8 | 43:33 | 43 |
| ქოვენთრი | 33 | 11 | 10 | 12 | 36:37 | 43 |
| მილუოლი | 33 | 12 | 7 | 14 | 39:48 | 43 |
| ჯილინგემი | 31 | 11 | 9 | 11 | 40:42 | 42 |
| დერბი | 33 | 12 | 6 | 15 | 42:49 | 42 |
| უიმბლდონი | 31 | 10 | 9 | 12 | 50:54 | 39 |
| პრესტონი | 32 | 9 | 11 | 12 | 47:52 | 38 |
| ბრედფორდი | 32 | 10 | 8 | 14 | 39:52 | 38 |
| უოლსოლი | 32 | 10 | 6 | 16 | 44:50 | 36 |
| ბრაიტონი | 33 | 7 | 8 | 18 | 34:51 | 29 |
| გრიმსბი | 33 | 7 | 8 | 18 | 38:64 | 29 |
| უენსდი | 33 | 5 | 11 | 17 | 31:56 | 26 |
| სტოკი | 32 | 5 | 10 | 17 | 34:62 | 25 |

## მეორე დივიზიონი

33-ე ტური: ბარნსლი — ჰადერსფილდი 0:1; ჩელტენემი — კოლჩესტერი 1:1; ჩესტერფილდი — ქრიუ 0:2; ლუტონი — ბრენტფორდი 0:1; ნორთჰემპტონი — ბრისტოლი 1:2; ოლდემი — ნოტსი 1:1; პიტერბრო — სტოკპორტი 2:0; პორტ ვეილი — სუინდონი 1:1; ქუინზ პარკი — მენსფილდი 2:2; ტრანმერი — ბლეკპული 2:1; უიკომბი — უიგანი 0:2

## მესამე დივიზიონი

33-ე ტური: ბოსტონი — კიდერმინსტერი 3:0; ბორნმუთი — ექსეტერი 2:0; როჩდეილი — მაკლსფილდი 1:1; ჰარტლპული — სუონსი 4:0; ჰალი — კემბრიჯი 1:1; ლეიტონი — შრუსბერი 0:2; როჩდეილი — კარლაილი 0:1; სკანთორპი — ლინკოლნი 0:0; საუთენდი — რაშდენი 2:1; ტორკი — ოქსფორდი 2:3; იორკი — ბერი 1:1; რექსემი — დარლინგტონი 0:0

# აყლაყუდას იდაყვი

## ლევერკუზენს გაზაფხული თებერვალში დაეწყო

### გერმანია

**ბუნდესლიგა. XXII ტური**

**ბაიერნი 2:0 ნიურნბერგი**

1:0 ლიზარაზუ (17), 2:0 ელბერი (59)
ბაიერნი: კანი, ჰარგრივსი (სანიოლი 68), რ. კოვაჩი, თ. ლინკე, ლიზარაზუ, იერემისი, ბალაკი, შოლი (ციკლერი 86), ზე რობერტო (დაისლერი 77), ელბერი, კ. პიზარო
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
ნიურნბერგი: კამპა, პეტკოვიჩი, ვოლფი, ნიკლი (კრჟინოვეკი 46), შტელე, ლარსენი, ჟუნიორი, იაროლიმი, ლ. მიულერი, დრილერი (მიხალკე 79), ს. ჩირიჩი (კაკაუ 18)
მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი
გაფრთხილება: კოვაჩი, პიზარო, შტელე, კაკაუ
მსაჯი: იანსენი
45 000 მაყურებელი

**შალკე 2:2 დორტმუნდი**

1:0 ვერმანტი (13), 2:0 ვან კერკჰოვენი (16), 2:1 კოლერი (52), 2:2 ევერტონი (58)
შალკე: ფ. როსტი, ჰაიტო, ვალდოხი, უდე კამპუისი, ვან კერკჰოვენი, ვერმანტი, პოულსენი, მიოლერი (ვან ჰოოგდალემი 46), ბიომე (გ. ვარელა 46), აგალი, ე. მპენზა (სანდი 87)
მწვრთნელი: ფრანკ ნოიბარტი
დორტმუნდი: ლემანი, ვიორნსი, მადუნი (ამოროზო 46; ვაიდენფელერი 82), მეცელდერი, ფრინგსი, კელი, შ. როიტერი, დედე, როსიცკი, კოლერი, ევერტონი (რიკენი 79)
მწვრთნელი: მათიას ზამერი
გაფრთხილება: ვან კერკჰოვენი, ლემანი, უდე კამპუისი, ბიომე, ჰაიტო, ფრინგსი, ლემანი, მეცელდერი
გაძევება: აგალი (37), ლემანი (80)
მსაჯი: ფანდელი
60 878 მაყურებელი

**შტუტგარტი 4:0 მიონხენგლადბახი**

1:0 კურანი (8), 2:0 ამანატიდისი (24), 3:0 განია (86), 4:0 კურანი (88)
შტუტგარტი: ჰილდებრანდი, ჰინკელი, დანგელმაირი, ბორდონი, გერბერი (ვენცელი 46), სოლდო, მეირა, გლები (ჰელდტი 78), ბალაკოვი (განია 46), ამანატიდისი, კურანი
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
მიონხენგლადბახი: შტილი, პლეტჩი, ემბერსი (ჰაუსვაილერი 46), ებერლი, კორელი, მიუნხი, კლუგე, ულიხი, დემო (ვან ლენტი 46), ფორსელი, აიდოო (შტრასერი 55)
მწვრთნელი: ჰანს მაიერი
გაფრთხილება: ემბერსი, ჰაუსვაილერი
გაძევება: კორელი (49)
მსაჯი: ვაინერი
25 500 მაყურებელი

**ჰერტა 0:0 არმინია**

ჰერტა: კირალი, ფრიდრიხი, ვან ბურიკი, სიმუნიჩი, ჰარტმანი, მარქსი, დარდაი, ბაინლიხი (გოორი 67), მარსელინიო, ალვეში (კარვანი 71), პრეეცი
მწვრთნელი: ჰუუბ სტევენსი
არმინია: ჰაინი, ლენსე, რაინჰარდტი, ჰანსენი, ბორგესი, კაუფი, დაბროვსკი, რაუვი, ბრინკმანი (ჩა 78), დიაბარგი (პორკელიო 90), ვიშნიარეკი (ჰაინცი 81)
მწვრთნელი: ბენო მიოლმანი
გაფრთხილება: ბაინლიხი, ჰარტმანი, გოორი
მსაჯი: ვაგნერი
30 987 მაყურებელი

**ვერდერი 0:1 კოტბუსი**

0:1 ტოპიჩი (5)
ვერდერი: ვიერხოვსკი, სტალტერი, ვერლაატი, სკრიპნიკი (ბოროვსკი 73), ტიკუზუ, ფ. ერნსტი, შულცი (შედო-ვალდესი 82), ბანოვიჩი (რაიხი 65), ლისტეში, აილტონი, ხარისტიასი
მწვრთნელი: თომას შააფი
კოტბუსი: ლენცი, შრიოტერი, და სილვა, ბერჰალტერი, ლიოვი, კობილანსკი, ტ. როსტი, ლატუნდი, გებჰარდტი (იუნგნიკელი 81), ტოპიჩი (რინკი 57), ვაგნერი (რაიხენბერგერი 70)
მწვრთნელი: ედუარდ გაიერი
გაფრთხილება: ტიკუზუ, ვაგნერი
მსაჯი: შტაინბორნი
29 700 მაყურებელი

**კაიზერსლაუტერნი 2:0 ჰამბურგი**

1:0 ლოკვენცი (51), 2:0 კლოზე (58)
კაიზერსლაუტერნი: ვიზე, გრამოცისი, ჰ. რამზი, კნავსი, ზატო, სფორცა (მ. კოხი 89), ანფანგი (ბიელიცა 84), ლინკოლნი (ტებერი 78), დომინგუში, კლოზე, ლოკვენცი
მწვრთნელი: ერიკ გერეტსი
ჰამბურგი: პიკენჰაგენი, ფუკალი, ჰოოგმა, იუჟფალუში, ჰოლერბახი (კრისტენსენი 75), ბენჟამინი, მალტრიცი (ვიკი 25), კარდოზო (მეიერი 58), მაჰდავიკია, ტაკაჰარა, ბარბარესი
მწვრთნელი: კურტ იარა
გაფრთხილება: სფორცა, ბარბარესი, ჰოლერბახი
მსაჯი: კესლერი
34 882 მაყურებელი

**ვოლფსბურგი 1:1 მიუნხენი**

0:1 ლაუტი (51), 1:1 კლიმოვიჩი (71)
ვოლფსბურგი: რაიტმაიერი, ბილიშკოვი, შნოორი, კვატროკი, ს. მიულერი (მადსენი 60), კარჰანი, შარპეი, ვაიზერი, ეფენბერგი (მ. პეტროვი 64), ტ. მარიჩი, კლიმოვიჩი (პრეგერი 79)
მწვრთნელი: ვოლფგანგ ვოლფი
მიუნხენი: იენჩი, როდრიგო კოშტა, ვოტავა, შტრანცლი, ჰოფმანი, ჩერნი (მაქსი 87), ბორიმიროვი, კურცი, ვაისენბერგერი (რ. მაიერი 80), ლაუტი, შროტი
მწვრთნელი: პეტერ პაკულტი
გაფრთხილება: შნოორი, ვაიზერი, პრეგერი, შტრანცლი, ვოტავა, კურცი
გაძევება: პეტროვი (84), შარპეი (86)
მსაჯი: მერკი
15 326 მაყურებელი

**ჰანოვერი 1:2 ლევერკუზენი**

1:0 პოპესკუ (14), 1:1 შუფი (80), 1:2 შიმაკი (90)
ჰანოვერი: ტრემელი, ჩერუნდოლო, კონსტანტინიდისი, ვინიციუსი, შულერი, პოპესკუ, ლალა, დე გუზმანი, სტაინერი, კაუფმანი (კასპე 64), იდრისუ
მწვრთნელი: რალფ რანგნიკი
ლევერკუზენი: ჰ. ბუტი, ბალიტჩი, კალუჟნი, ჟივკოვიჩი, პლასენტე (ნოივილე 46), რამელო, ბაბიჩი, შიმაკი, ბ. შნაიდერი, ფრანცა (შუფი 61), ბრდარიჩი (პროისი 89)
მწვრთნელი: თომას ჰიორსტერი
გაფრთხილება: ტრემელი, ჩერუნდოლო, შულერი, პოპესკუ, ლალა, ბრდარიჩი
მსაჯი: კირხერი
35 879 მაყურებელი



REUTERS გელზენკირხენიდან

შალკე — დორტმუნდი. გელზენკირხენელ ვიქტორ აგალის (მარცხნივ) მსაჯმა 37 წუთი აცალა თამაში

**ჰანზა 1:1 ბოხუმი**

1:0 დი სალვო (31), 1:1 ჰაშემიანი (61)
ჰანზა: შობერი, ლანგე, იაკობსონი, ჰილი, მაული, ვიბრანი (ადუბე 78), ლანცი, პერსონი, მეგლე, სალუ, დი სალვო (არვიდსონი 71)
მწვრთნელი: არმინ ვეჰი
ბოხუმი: ვან დუინოვენი, კოლდინგი, ვრიზდე, ფარენჰორსტი, რაისი, ბემბენი (კრისტიანსენი 60), ტაპალოვიჩი, გუდიონსონი, ბაკლი (მანდრეკო 85), ჰაშემიანი, ფიშერი (ფაილი 71)
მწვრთნელი: პეტერ ნოირურერი
გაფრთხილება: ლანცი
მსაჯი: შტარკი
14 800 მაყურებელი

**ტურის** მთავარი მატჩი ბრემენში სულაც არ იყო, მაგრამ ყველაზე სენსაციური ტორტი იქ გამოცხვა და მოირთო — ზამთრის შესვენების აქეთ გაგულისებულმა „კოტბუსმა“ სტუმრად სძლია „ვერდერს“ — ბოსნიელმა შემტევმა მარკო ტოპიჩმა მატჩის მე-5 წუთზე 16-17 მეტრიდან გამარჯვებისა შეაგდო. თომას შააფის გუნდმა ზედიზედ მეორე მატჩი წააგო არგავარდნისთვის მებრძოლებთან — წინა ტურში ამავე ანგარიშით „ნიურნბერგთან“ ჭამა სირცხვილი, ხოლო ამ წაგებით ერთი ადგილით ჩამოქვეითდა. ედუარდ გაიერი კი მართლაც სულ სხვა ედუარდი გამოდგა — კოტბუსის „ენერგის“ ენერგიული მოძღვარი.

ვესტფალიურ დერბიში ვერავინ მოიგო. „აუფშალკეზე“ პირველი ტაიმი პირწმინდად მასპინძლებისა გახლდათ — 16 წუთის შემდეგ სვენ ვერმანტის და ბელგიელი ნიკო ვან კერკჰოვენის გოლებით გელზენკირხენელები კი იგებდნენ, მაგრამ „ხუმარები“ აწოწილმა ვიქტორ აგილიმ დაალალატა — მან იდაყვი ჩაარტყა დორტმუნდელ დედეს და გააძევეს.

ჰოდა, რიცხობრივი უპირატესობით ფრთაშესხმულმა ზამერელებმა მეორე ტაიმში ძალა მოიკრიბეს და გაათანაბრეს. „შალკემ“ ისღა შესძლო, ურუგვაელ გუსტავო ვარელას თამაშგარედან გაეტანა არჩათვლილი თავურით. მსაჯის ამ გადაწყვეტილებით შალკელები აღშფოთდნენ, საქმის გარჩევაში დორტმუნდელთა მეკარე იენს ლემანმაც ჩაყო ცხვირი და არბიტრს მეორე ყვითელი ბარათი ანუ გაძევება გამოსტყუა. ათი-ათზე კი რურელებმა გოლები ველარ გაიტანეს.

ლიდერმა „ბაიერნმა“ ათ ქულამდე გაზარდა „დორტმუნდის“ ჩამორჩენა. ბიქსენტ ლიზარაზუმ თავით გაიტანა, ჯოვანი ელბერმა კი ჩვეულ სტილში, მეტოქის საჯარიმო მოედნიდან.

იყოჩაღა მეორე მიუნხენურმა გუნდმაც — „1860“-მა „ვოლფსბურგს“ არაფერი დაუთმო და დამსახურებულ ფრესაც გამორჩა. „ვოლფსბურგს“ ამ მატჩამდე ზედიზედ ორი შეხვედრა წაეგო და გამარჯვება სწყუროდა, თუმც მატჩის მიწურულს მიუნხენელებს მიეცათ მოგების დიდებული შანსი — ბოლო ოთხი წუთი 9-კაციან მეტოქეს ეთამაშებოდნენ, მაგრამ ვერ ივარგეს. მარტინ პეტროვი და ჰანს შარპეი მეტოქე ფეხბურთელებთან უხეშობისთვის გააგდეს.

ძალიან იოლად მოიგო „შტუტგარტმა“. ფელიქს მაგათის გუნდმა ბოლო ხუთი მატჩიდან ოთხი მოიგო და მეორეადგილოსან „დორტმუნდსაც“ ოდენ ქულით ჩამორჩება, გლადბახელთა ასეთი უსუსური, უჯიგრო თამაში კი მოულოდნელი გახლდათ — ჰანს მაიერის გუნდი უკვე ბოლოდან მეორე ადგილზეა.

ბოლოადგილოსანმა „კაიზერსლაუტერნმა“ კი მართლაც შთამბეჭდავად ითამაშა — ერიკ გერეტსის ბიჭებმა დამაჯერებლად მოუგეს „ჰამბურგს“ — ახლა გერმანიაში ყველას სჯერა, რომ ლაუტერნელები არგავარდნისთვის ძალიან შმაგად იბრძოლებენ, თანაც ბოლო დროს მიროსლავ კლოზეც ათამაშდა.

პირველი გამარჯვება მოიპოვა თომას ჰიორსტერის „ლევერკუზენმა“. ჰანოვერელებმა თავი გეორგე პოპესკუს გოლით დაიარხეინეს, „ბაიერმა“ კი მებრძოლი სული გამოანათა და ბოლო ათ წუთში შემოაბრუნა თამაში — თინეიჯერმა სებასტიან შუფმა გაათანაბრა, ხოლო ჩეხმა შუახაზელმა იან შიმაკმა მსაჯის მიერ დამატებულ დროში შეაგდო სამქულიანი. სეზონის დაწყების წინ შიმაკს ლევერკუზენელები მიხაელ ბალაკის შემცვლელად მიიჩნევდნენ. ჩეხმა ბალაკი სრულფასოვნად ნაღდად ვერ შეცვალა, მაგრამ ამ გოლით პატარა საქმე როდი გააკეთა. ზამთრის შესვენების შემდეგ „ლევერკუზენმა“ ბუნდესლიგაში პირველად მოიგო.

ორი ტურის წინ „ლევერკუზენთან“ ნაყოჩაღარი ირანელი სომეხი ვაჰიდ ჰაშემიანი ერთხელაც გამოტყვრა — მან როსტოკიდან ქულა წამოაღებინა „ბოხუმს“.

უღიმღამოდ ითამაშა ბერლინში „ჰერტამ“, მაგრამ უგოლო ფრის შემწეობით მეშვიდედან მეექვსე ადგილზე ალზევდა. რომ არა ბერლინელთა უნგრელი მეკარე გაბორ კირალი, „არმინია“ ნაღდად მოიგებდა, თუმც მატჩის მიწურულს უკვე „ჰერტას“ უნდა გაეტანა — მიხაელ პრეეცმა ახლოდან თავური ააცდინა.

ასეთი გახლდათ უიქენდური ცნობები გერმანიიდან.

**დავით თამარაშვილაძე**



REUTERS ჰანოვერიდან

თომას ჰიორსტერი

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ბაიერნი | 22 | 15 | 5 | 2 | 47:15 | 32 | 50 | 12 | 9 | 3 | 0 | 30:10 | 20 | 30 | 10 | 6 | 2 | 2 | 17:5 | 12 | 20 |
| 2 დორტმუნდი | 22 | 11 | 7 | 4 | 37:19 | 18 | 40 | 10 | 6 | 4 | 0 | 18:7 | 11 | 22 | 12 | 5 | 3 | 4 | 19:12 | 7 | 18 |
| 3 შტუტგარტი | 22 | 11 | 6 | 5 | 37:26 | 11 | 39 | 11 | 7 | 3 | 1 | 23:9 | 14 | 24 | 11 | 4 | 3 | 4 | 14:17 | -3 | 15 |
| 4 შალკე | 22 | 9 | 9 | 4 | 31:23 | 8 | 36 | 11 | 4 | 6 | 1 | 16:10 | 6 | 18 | 11 | 5 | 3 | 3 | 15:13 | 2 | 18 |
| 5 ვერდერი | 22 | 10 | 4 | 8 | 37:34 | 3 | 34 | 12 | 7 | 2 | 3 | 25:17 | 8 | 23 | 10 | 3 | 2 | 5 | 12:17 | -5 | 11 |
| 6 ჰერტა | 22 | 9 | 6 | 7 | 28:25 | 3 | 33 | 11 | 5 | 4 | 2 | 18:12 | 6 | 19 | 11 | 4 | 2 | 5 | 10:13 | -3 | 14 |
| 7 ჰამბურგი | 22 | 9 | 6 | 7 | 27:28 | -1 | 33 | 10 | 7 | 2 | 1 | 14:8 | 6 | 23 | 12 | 2 | 4 | 6 | 13:20 | -7 | 10 |
| 8 მიუნხენი | 22 | 9 | 5 | 8 | 32:33 | -1 | 32 | 10 | 4 | 2 | 4 | 14:16 | -2 | 14 | 12 | 5 | 3 | 4 | 18:17 | 1 | 18 |
| 9 ბოხუმი | 22 | 8 | 6 | 8 | 38:37 | 1 | 30 | 11 | 5 | 2 | 4 | 18:15 | 3 | 17 | 11 | 3 | 4 | 4 | 20:22 | -2 | 13 |
| 10 ჰანზა | 22 | 7 | 7 | 8 | 25:26 | -1 | 28 | 12 | 2 | 5 | 5 | 12:16 | -4 | 11 | 10 | 5 | 2 | 3 | 13:10 | 3 | 17 |
| 11 ვოლფსბურგი | 22 | 8 | 3 | 11 | 24:29 | -5 | 27 | 11 | 7 | 1 | 3 | 16:9 | 7 | 22 | 11 | 1 | 2 | 8 | 8:20 | -12 | 5 |
| 12 არმინია | 22 | 6 | 8 | 8 | 24:29 | -5 | 26 | 10 | 5 | 3 | 2 | 14:7 | 7 | 18 | 12 | 1 | 5 | 6 | 10:22 | -12 | 8 |
| 13 ნიურნბერგი | 22 | 7 | 3 | 12 | 27:36 | -9 | 24 | 11 | 4 | 1 | 6 | 14:17 | -3 | 13 | 11 | 3 | 2 | 6 | 13:19 | -6 | 11 |
| 14 ლევერკუზენი | 22 | 6 | 5 | 11 | 28:37 | -9 | 23 | 11 | 2 | 2 | 7 | 12:22 | -10 | 8 | 11 | 4 | 3 | 4 | 16:15 | 1 | 15 |
| 15 ჰანოვერი | 22 | 6 | 5 | 11 | 30:42 | -12 | 23 | 12 | 2 | 4 | 6 | 18:25 | -7 | 10 | 10 | 4 | 1 | 5 | 12:17 | -5 | 13 |
| 16 კოტბუსი | 22 | 6 | 5 | 11 | 22:39 | -17 | 23 | 11 | 3 | 1 | 7 | 11:20 | -9 | 10 | 11 | 3 | 4 | 4 | 11:19 | -8 | 13 |
| 17 გლადბახი | 22 | 6 | 4 | 12 | 22:30 | -8 | 22 | 10 | 5 | 3 | 2 | 15:6 | 9 | 18 | 12 | 1 | 1 | 10 | 7:24 | -17 | 4 |
| 18 ლაუტერნი | 22 | 5 | 6 | 11 | 25:33 | -8 | 21 | 12 | 5 | 2 | 5 | 15:12 | 3 | 17 | 10 | 0 | 4 | 6 | 10:21 | -11 | 4 |

**XXIII ტური**

2 მარტი

| | | |
|---|---|---|
| ჰამბურგი | — | ჰერტა |
| ნიურნბერგი | — | ვოლფსბურგი |
| კოტბუსი | — | ბაიერნი |
| ლევერკუზენი | — | ვერდერი |
| ბოხუმი | — | ჰანოვერი |
| დორტმუნდი | — | ჰანზა |
| გლადბახი | — | შალკე |
| არმინია | — | შტუტგარტი |
| მიუნხენ 1860 | — | ლაუტერნი |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| აილტონი (ვერდერი) | 14 |
| კრისტიანსენი (ბოხუმი) | 12 |
| ელბერი (ბაიერნი) | 12 |
| კურანი (შტუტგარტი) | 12 |
| შროტი (მიუნხენი) | 11 |
| ს. ჩირიჩი (ნიურნბერგი) | 11 |
| ევერტონი (დორტმუნდი) | 11 |
| ლაუტი (მიუნხენი) | 11 |
| კოლერი (დორტმუნდი) | 11 |

### მეორე ბუნდესლიგა

**XXII ტური**

**ფიურტი 2:1 ლიუბეკი**

1:0 როსლერი (24), 2:0 რაიზინგერი (29), 2:1 კრუპკე (55)
ფიურტი: ნოიჰაუსი, ვესტერმანი, ბოი, შლიკე, სურმანი, ვებერი, რაიხელი, რუმანი (ბირლიკი 81), ბურხარდტი (კაილასი 69), რაიზინგერი (ДЕКАНОСИДЗЕ 78), როსლერი
მწვრთნელი: ჰოიგენ ჰახი
4 409 მაყურებელი

**კიოლნი 2:1 ალენი**

1:0 შპრინგერი (3), 1:1 რატი (29), 2:1 ლოტნერი (90პ)

*კიოლნელი არჩილ არველაძე ტრავმირებულია*

**კარლსრუე 1:2 ალემანია**

1:0 ლაბადია (39), 1:1 როსინი (47), 1:2 მბვანდო (60)

**ობერჰაუზენი 0:1 ვალდჰოფი**

0:1 კერნი (27)

**ბურგჰაუზენი 3:3 აინტრახტი**

1:0 ორუმი (10), 1:1 შკელა (33), 2:1 ტავკარი (37), 3:1 ოსლისლო (54), 3:2 ტავკარი (60ს.კ.), 3:3 მონტერო (73)

**დუისბურგი 2:4 ტრირი**

0:1 ბრაჰამი (17), 0:2 დრსეკი (31), 0:3 ბრაჰამი (40), 1:3 ცაიერი (64პ), 1:4 ვაგნერი (85), 2:4 გომისი (87)

**როიტლინგენი 1:2 მაინცი**

0:1 მორინასი (69), 0:2 აუერი (78), 1:2 ნოვაჩიჩი (86)

**ზანკტ პაული 2:2 უნიონი**

1:0 ბლანკი (47), 2:0 ნდიაიე (70), 2:1 კეიტა (87), 2:2 ვაიტი (90)

**ფრაიბურგი — ბრაუნშვაიგი**

*წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კიოლნი | 21 | 12 | 9 | 0 | 44:23 | 45 |
| მაინცი | 22 | 13 | 3 | 6 | 38:21 | 42 |
| აინტრახტი | 22 | 11 | 7 | 4 | 34:19 | 40 |
| ფრაიბურგი | 20 | 11 | 4 | 5 | 31:18 | 37 |
| ტრირი | 22 | 10 | 6 | 6 | 40:29 | 36 |
| ალემანია | 21 | 9 | 7 | 5 | 39:30 | 34 |
| ფიურტი | 22 | 8 | 9 | 5 | 28:23 | 33 |
| დუისბურგი | 21 | 8 | 7 | 6 | 31:29 | 31 |
| ობერჰაუზენი | 21 | 8 | 6 | 7 | 25:24 | 30 |
| ბურგჰაუზენი | 22 | 6 | 9 | 7 | 34:30 | 27 |
| ლიუბეკი | 22 | 8 | 2 | 12 | 33:35 | 26 |
| როიტლინგენი | 21 | 7 | 4 | 10 | 28:33 | 25 |
| უნიონი | 21 | 5 | 9 | 7 | 26:39 | 24 |
| ალენი | 22 | 6 | 4 | 12 | 27:38 | 22 |
| კარლსრუე | 22 | 4 | 9 | 9 | 20:33 | 21 |
| ვალდჰოფი | 22 | 5 | 5 | 12 | 26:44 | 20 |
| ზტ. პაული | 22 | 4 | 5 | 13 | 31:48 | 17 |
| ბრაუნშვაიგი | 20 | 3 | 5 | 12 | 20:39 | 14 |

## ესპანეთი

### პრიმერადივიზიონი XXIII ტური

**სოსიედადი 2:0 ოსასუნა**

1:0 კოვაჩევიჩი (43), 2:0 მიკელ ალონსო (63)
სოსიედადი: ვესტერველდი, კვარმე, არანსაბალი, ლოპეს რეკარტე, ბორისი, ხაბი ალონსო (მიკელ ალონსო 57), ბარკერო (გაბილონდო 89), არანბურუ, კარპინი, კოვაჩევიჩი, ნიჰათი (ხოხლოვი 83)
მწვრთნელი: რეინალდ დენიო
ოსასუნა: სანსოლი, მატეო, კრუჩაგა, ხოსეჩო, ანტონიო ლოპესი, კ. მანფრედინი (ბრიტი 73), ალფრედო, პუნიალი, მუნიოსი (ვალდო 55), ივან როსადო, ალოიზი (მორალესი 72)
მწვრთნელი: ხავიერ აგირე
გაფრთხილება: ხოსეჩო, კოვაჩევიჩი, არანბურუ, მანფრედინი, ნიჰათი, ანტონიო ლოპესი
მსაჯი: რუბინოს პერესი
29 000 მაყურებელი

**რეალი 3:1 ვალიადოლიდი**

0:1 სალესი (10), 1:1 რობერტო კარლოსი (18), 2:1 რონალდო (21), 3:1 პორტილიო (89)
რეალი: კასილიასი, სალგადო, პავონი, ი. ელგერა, რობერტო კარლოსი, მაკმანამანი (მინამბრესი 60), მაკელელე, კამბიასო, გუტი (სოლარი 73), რაული, რონალდო (პორტილიო 86)
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
ვალიადოლიდი: ბიზარი, პენია, ტორეს გომესი, მუსტაფა, ოსკარ სანჩესი, კოლსა, ჩემა, ხესუსი (კამინერო 70), ფ. სალესი, ოსკარი (ოლივერა 76), პაჩონი (დ. ჩირიჩი 70)
მწვრთნელი: პეპე მორე
გაფრთხილება: გუტი, მაკელელე, პაჩონი, ჩემა, ოსკარ სანჩესი
მსაჯი: ლოპეს ნიეტო
60 000 მაყურებელი

**რაიო ვალეკანო 0:4 ვალენსია**

0:1 ანგულო (10), 0:2 ონოპკო (34ს.კ.), 0:3 ბარახა (43), 0:4 მისტა (58)
რაიო ვალეკანო: ი. ეჩებერია, კორინო, გრაფი (დორადო 18), პაბლო სანსი (ხულიო ალვარესი 35), ონოპკო, მარიო, მიჩელი, ირინეი, ასკოიტია (ლუის ხემბრანოსი 54), პერაგონი, ბოლიჩი
მწვრთნელი: გუსტავო ბენიტესი
ვალენსია: კანისარესი, აიალა, მარჩენა, კარბონი, ეველიერი (დოროთე 61), ბარახა (პელეგრინო 73), ანგულო, კილი გონსალესი (ფ. აურელიო 82), დე ლოს სანტოსი, ხუან სანჩესი, მისტა
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
გაფრთხილება: კილი გონსალესი, აიალა, მისტა, მარჩენა, ირინეი
მსაჯი: გონსალეს ვასკესი
14 000 მაყურებელი

**დეპორტივო 6:0 ალავესი**

1:0, 2:0 ტრისტანი (15, 20), 3:0, 4:0 მაკაი (34, 52), 5:0 ტრისტანი (60), 6:0 ლუკე (62)
დეპორტივო: ხუანმი, ნაიბეტი, ჟორჟე ანდრადე, კაპდევილა, ვქტორი (მანუელ პაბლო 75), სკალონი, სერხიო, დუშერი, ამავისკა, ტრისტანი (ლუკე 59), მაკაი (ვალერონი 54)
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
ალავესი: დუტრუელი, კარმონა, ჟელი, ლორენსი, აბელარდო, ი. ტომიჩი, ედუ ალონსო, ლ. ელგერა (დესიო 64), მაგნო, რუბენ ნავარო (მარა 62), კრუიფი (ივან ალონსო 46)
მწვრთნელი: ხოსე მანუელ ესნალ პარდო
გაფრთხილება: აბელარდო, ელგერა
მსაჯი: კარმონა მენდესი
26 000 მაყურებელი

**ბარსელონა 4:0 ბეტისი**

1:0 სავიოლა (1), 2:0 კოკუ (5), 3:0, 4:0 სავიოლა (40, 54)
ბარსელონა: ბონანო, რაიციგერი, პუიოლი, ფ. დე ბური, სორინი, ოვერმარსი (ლუის ენრიკე 41), ხავი, კოკუ, მენდიეტა (რიკელმე 67), კლუივერტი, სავიოლა (დანი გარსია 79)
მწვრთნელი: რადომირ ანტიჩი
ბეტისი: პრატსი, მინგო (სეზარი 67), ფ. ვარელა, ფერნანდო, კანიასი, კაპი (კალადუ 55), ფილიპესკუ (რივასი 46), არზუ, მელი, დენილსონი, ხოაკინი
მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი
გაფრთხილება: მელი, ფილიპესკუ, ლუის ენრიკე
მსაჯი: პუენტეს ლეირა
67 128 მაყურებელი

# რაც არ მომხდარა ბერნაბეუზე

## ბარსელონამ ასი პროცენტი გაიტანა



REUTERS ბარსელონიდან

ბარსელონა — ბეტისი. ხავიერ სავიოლამ (მარჯვნივ) ნაღდი დუბლი საეჭვო გოლით ჰეთ თრიქად აქცია

**უელვა 3:0 ატლეტიკო**

1:0 რომერო (66), 2:0 ხისკო (81), 3:0 ბენიტესი (83)
უელვა: ლუკე, მერინო, პერნია, ხავი გარსია (რომერო 64), იკერ ბეგონია, ბენიტესი (არპონი 86), ლორენი, ვიკეირა, კამაჩო, რაულ მოლინა, ჟაოზინიო (ხისკო 56)
მწვრთნელი: ლუკას ალკარასი
ატლეტიკო: ესტებანი, კონტრა, კოლოჩინი, პიბიჩი, სერხი, ნაგორე, მოვილია, ხორხე (ი. სტანკოვიჩი 60), ლუის გარსია (ხავი მორენო 52), ფ. ტორესი (დანი კარვალიუ 76), ხოსე მარი
მწვრთნელი: ლუის არაგონესი
გაფრთხილება: ხოსე მარი, ხორხე, ნაგორე, კოლოჩინი, ნაგორე, სერხი, მერინო, ხისკო
გაძევება: ნაგორე (63), რაულ მოლინა (76)
მსაჯი: პინო სამორანო
19 000 მაყურებელი

**მალიორკა 1:1 ბილბაო**

0:1 ესკერო (5), 1:1 რობლესი (22)
მალიორკა: ლეო ფრანკო, ფ. ნინიო (მიგელ სოლერი 46), პოლი, კამპანო, იბაგასა, ნოვო, მარკოსი, ვისენტე, რობლესი (ტურუ ფლორესი 75), ეტოო (ლეო ბიაჯინი 81), პანდიანი
მწვრთნელი: გრეგორიო მანსანო
ბილბაო: არანსუბია, ოსკარ ვალესი, ლუის პრიეტო, აიტორ ოსიო, ხავი გონსალესი, ალკისა, დელ ორნო, ტიკო (ფელიპე 82), ესკერო (სესარი 89), ხ. ეჩებერია, არიაგა (ადურიცი 62)
მწვრთნელი: იუპ ჰაინკესი
გაფრთხილება: ეტოო, აიტორ ოსიო, ლუის პრიეტო
მსაჯი: როდრიგეს სანტიაგო
17 000 მაყურებელი

**მალაგა 1:1 სელტა**

0:1 ხოსე იგნასიო (4), 1:1 კოკე (88)
მალაგა: კონტრერასი, როტეტა, ისნატა (სანდრო 74), ფ. სანსი, ხერარდო, ხოსემი, რომერო, მანუ, ნაჩო (კოკე 58), დელი ვალდეს, კანაბალი (ლეკო 64)
მწვრთნელი: ხოაკინ პეირო ლუკასი
სელტა: კავალიერო, ველასკო (სილვინიო 67), კასერესი, ანხელი, ხუანფრანი, სერხიო (ბერიზო 50), მოსტოვოი, ხოსე იგნასიო, ედუ, ლუქსენი, გუსტავო ლოპესი (ხესული 74)
მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა
გაფრთხილება: ხერარდო, მოსტოვოი, კანაბალი, მოსტოვოი, ხუანფრანი
გაძევება: მოსტოვოი (76)
მსაჯი: მეხუტო გონსალესი
13 000 მაყურებელი

**სევილია 1:0 ესპანიოლი**

1:0 სოლდევილა (12ს.კ.)
სევილია: ნოტარიო, ხავი ნავარო, ხუანმი, პაბლო ალფარო, ნიეგუსი, გალიარდო (დანიელ ალვესი 77), ფრედი, კასკერო, ტორადო, რეიესი (ვ. სალასი 89), ტოედტლი (მახლასი 66)
მწვრთნელი: ხოაკინ კაპაროსი
ესპანიოლი: ტ. ხიმენესი, დავიდ გარსია, სოლდევილა, ამაია (დე ლა პენია 64), ტორიჩელი, დომორო, მორალესი (მარტინ პოსე 46), როხერი, მაქსი (ოსკარი 83), მილოშევიჩი, ტამუდო
მწვრთნელი: ხავიერ კლემენტე
გაფრთხილება: მორალესი, ამაია, ხუანმი, ნიეგუსი, პაბლო ალფარო, კასკერო, ტორიჩელი, ტორიჩელი, ხუანმი, ხიმენესი
გაძევება: ტორიჩელი (74), ხუანმი (87)
მსაჯი: პერეს ბურული
35 000 მაყურებელი

**ვილიარეალი 0:3 რასინგი**

0:1 მორა (72), 0:2 ბოდიპო (89), 0:3 რეგუერო (90)
ვილიარეალი: რეინა, არუაბარენა, გალვანი (კალეხა 65), კიკე ალვარესი, ბალესტეროსი, ხორხე ლოპესი, ხოსიკო (ხისკო 84), ფარინოსი, პალერმო, ვიქტორი, გიარე (ხავი ვენტა 58)
მწვრთნელი: ბენიტო ფლორო
რასინგი: ლემენსი, კორომინა, ნერუ, მორა, ხუანმა, ისმაელი, მატეო (მატაბუენა 81), ბენაიუნი (ბოდიპო 42), ჩიკი (რეგუერო 57), ხ. გერერო, მუნიტისი
მწვრთნელი: ჩუჩი კოსი
გაფრთხილება: ფარინოსი, მატეო, კიკე ალვარესი, არუაბარენა, ნერუ, ვიქტორი
მსაჯი: პერეს ლასა
15 000 მაყურებელი

**ამ უქმეებზე** სტატისტიკოსებმა ერთხელაც გაიხსენეს ლუის ვან გაალი. დაუთვლიათ, რომ ჰოლანდიელის დროს „ბარსელონას" მეტოქის კარში ათი დარტყმიდან ერთი გოლი გაჰქონდა. შაბათს, „ბეტისთან" შეხვედრისას კი რა მოხდა: პირველ ტაიმში მასპინძლებმა სულ სამჯერ დაარტყეს ტონი პრატსის კარში და სამჯერვე გაიტანეს.

პირველი წუთი: მიხაელ რაიციგერმა აუტიდან უგრძესი პასი ჩააწოდა პატრიკ კლუივერტს, რომელმაც თავის მხრივ ხავიერ სავიოლა მოძებნა, არგენტინელს კი ბურთისთვის ფეხის დახვედრება დარჩენოდა.

მეხუთე წუთი: ხავიმ კუთხური ჩააწოდა და სევილიელთა საჯარიმოში ტორპედოსავით შეჭრილმა კოკუმ მეორე გაიტანა.

თითქოს ყველაფერი გაირკვა, მაგრამ არა — „ბეტისმა", რომელსაც პირველ წრეში „ბარსასთვის" 3:0 მოეგო, ამგვარი დასაწყისი იწყინა და ბონანოს კარს მიეძალა. კატალონიელთა არგენტინელი მეკარე საზიზღრად თამაშობდა და საპასუხო გოლსაც აღარაფერი უკლდა, ერთ ეპიზოდში ბურთი ჯერ „ბარსას" კარის ხარიხამ აისხლიტა, წამში კი ძელმაც. მაგრამ რადომირ ანტიჩი ხშირად ამბობს, იღბლიანი კაცი ვარო და იღბალი ახლაც მისი გუნდის მხარეს იყო. „ბეტისის" უშედეგო იერიშებმა მთელი 20 წუთი გასტანა.

ტაიმის მიწურულს კი „ბარსელონამ" მესამეც გაიტანა. ხავიმ საჯარიმო დაარტყა, პრატსმა მოიგერია, მაგრამ სავიოლამ ყველას დაასწრო და დამატებაზე ივარგა. ჭადრაკში მსოფლიოს პირველ ჩემპიონს, ჩეხ ვილჰელმ სტეინეცს რომ დავესესხოთ, „ბარსელონას" თამაში ასე შეგვიძლია შევაფასოთ: „პატარ-პატარა უპირატესობების ეფექტურად გამოყენებას, მნიშვნელოვან უპირატესობამდე მივყევართ".

მეოთხე გოლისას, ეს უკვე მეორე ტაიმში მოხდა, „ბარსას" მსაჯიც წაეხმარა, რაკი მენდიეტას საგოლე პასისას სავიოლა ოფსაიდში იყო. თუმც ამას უკვე რაღა მნიშვნელობა აქვს. და ისევ სტატისტიკა: რადომირ ანტიჩის მისვლის შემდეგ „ბარსელონამ" ოთხ მატჩში 11 გოლი გაიტანა, ბოლო სამ შეხვედრაში კი ერთიც არ გაუშვია. სულ ახლახან მე-15 ადგილზე მყოფი გუნდი დღეს მერვეა.

შაბათს საღამოსვე პრიმერადივიზიონს ახალი ლიდერი გაუჩნდა — მადრიდის „რეალი" — ოღონდ მხოლოდ ერთი დღით, რადგან კვირას „სოსიედადმაც" მოიგო და პირველობა დაიბრუნა.

„რეალმა" ტრადიციულად პირველი გოლი გაუშვა, თუმც ქომაგები დიდხანს არ ანერვიულა. ფერნანდო სალესის გოლიდან (იკერ კასილიასს რეაქცია დაუგვიანდა) რვა წუთში რობერტო კარლოსმა საჯარიმო დარტყმა ითავა და როგორც შეასრულებდა, მოგეხსენებათ — ალბანო ბიზარი, „რეალის" ყოფილი მეკარე, არც განძრეულა.

სამი წუთიც და, გუტის პასით რონალდომ თავისიანები წინ გაიყვანა. აი, ამის მერე კი „სანტიაგო ბერნაბეუმ" უფრო დიდხანს ინერვიულა, რადგან სტუმრები მადრიდელებს თავზე წამოაჯდნენ და ხან [illegible] ბდნენ, ხანაც ცარიელ კარს აცილებდნენ. საინტერესო ფაქტი: „რეალმა" პირველი კუთხური მხოლოდ 65-ე წუთზე ჩააწოდა. საბოლოოდ ხავიერ პორტილიომ მაინც შეძლო კიდევ ერთი ბურთის გატანა, მაგრამ ნამატჩევს ვისენტე დელ ბოსკემ თქვა, „ბერნაბეუზე" ჩვენი უცუდესი თამაში იყოო.

შაბათსვე „დეპორტივომ" ქვა ქვაზე არ დატოვა „ალავესისგან", ლიდერობის ამბავი კი მეორე დღეს გაირკვა.

„რეალ სოსიედადმა" მეორე წრეში პირველად მოიგო, თუმც თავიდან, დარკო კოვაჩევიჩის გოლამდე, გაუჭირდა, „ოსასუნა" ყოჩაღად იცავდა თავს. კოვაჩევიჩმა კი ტაიმის მიწურულს გაიტანა — ხოსე ხავიერ ბარკეროს კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი სლავს მუხლზე მოხვდა და ბადეში გაეხვა.

მეორე ტაიმში პამპლონელები ისე კარგად აღარ გამოიყურებოდნენ და მასპინძლებიც მეტად გააქტიურდნენ, თუმც ერთ გოლზე მეტს ვერ გამორჩნენ, მაგრამ ლიდერობის დასაბრუნებლად ესეც სავსებით საკმარისი იყო.

„სოსიედადს" და „რეალს" კვლავაც კვალში უდგას „ვალენსია", რომელმაც შავი დღე აყარა „რაიო ვალეკანოს" და ბოლო ექვსი თამაშიდან მეხუთე მოიგო — ჩემპიონთა ლიგაში „რომასთან" გამარჯვებასაც თუ დავუმატებთ, შვიდიდან ექვსი მოგება გამოვა.

გვარიანად ალხეცა „რასინგიც", აგერ ზედიზედ მესამე შეხვედრა მოიგო, ამჯერად ვილიარეალში. ბოლოლებთან ჩინებულად მოთამაშე „ატლეტიკო" კი უელვაში შერცხვა. მადრიდელთა კარში გოლთაცვენა ჩომინ ნაგორეს გაძევების მერე დაიწყო, თუმც ამ გამარჯვებით „უელვა" ბოლო ადგილს ვერ ასცდა და გასავარდნთა ზონიდან თავის დასაღწევად კიდევ ბევრი მოგება სჭირდება.

**გიორგი დარჯანია**

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 სოსიედადი | 23 | 13 | 8 | 2 | 40:27 | 13 | 47 | 11 | 7 | 4 | 0 | 21:12 | 9 | 25 | 12 | 6 | 4 | 2 | 19:15 | 4 | 22 |
| 2 რეალი | 23 | 12 | 9 | 2 | 49:24 | 25 | 45 | 11 | 8 | 3 | 0 | 32:11 | 21 | 27 | 12 | 4 | 6 | 2 | 17:13 | 4 | 18 |
| 3 ვალენსია | 23 | 13 | 6 | 4 | 40:17 | 23 | 45 | 12 | 8 | 2 | 2 | 22:6 | 16 | 26 | 11 | 5 | 4 | 2 | 18:11 | 7 | 19 |
| 4 დეპორტივო | 23 | 12 | 6 | 5 | 37:25 | 12 | 42 | 11 | 6 | 3 | 2 | 21:10 | 11 | 21 | 12 | 6 | 3 | 3 | 16:15 | 1 | 21 |
| 5 სელტა | 23 | 11 | 4 | 8 | 29:21 | 8 | 37 | 12 | 6 | 3 | 3 | 17:9 | 8 | 21 | 11 | 5 | 1 | 5 | 12:12 | 0 | 16 |
| 6 ბეტისი | 23 | 10 | 6 | 7 | 34:33 | 1 | 36 | 12 | 7 | 2 | 3 | 18:11 | 7 | 23 | 11 | 3 | 4 | 4 | 16:22 | -6 | 13 |
| 7 ატლეტიკო | 23 | 8 | 8 | 7 | 35:31 | 4 | 32 | 12 | 6 | 4 | 2 | 20:12 | 8 | 22 | 11 | 2 | 4 | 5 | 15:19 | -4 | 10 |
| 8 ბარსელონა | 23 | 8 | 6 | 9 | 35:30 | 5 | 30 | 11 | 5 | 4 | 2 | 24:14 | 10 | 19 | 12 | 3 | 2 | 7 | 11:16 | -5 | 11 |
| 9 ბილბაო | 23 | 8 | 6 | 9 | 35:38 | -3 | 30 | 12 | 6 | 2 | 4 | 18:13 | 5 | 20 | 11 | 2 | 4 | 5 | 17:25 | -8 | 10 |
| 10 რასინგი | 23 | 9 | 2 | 12 | 29:29 | 0 | 29 | 11 | 5 | 2 | 4 | 16:10 | 6 | 17 | 12 | 4 | 0 | 8 | 13:19 | -6 | 12 |
| 11 სევილია | 23 | 7 | 8 | 8 | 18:18 | 0 | 29 | 11 | 4 | 5 | 2 | 11:7 | 4 | 17 | 12 | 3 | 3 | 6 | 7:11 | -4 | 12 |
| 12 მალაგა | 23 | 6 | 10 | 7 | 29:29 | 0 | 28 | 12 | 5 | 5 | 2 | 20:13 | 7 | 20 | 11 | 1 | 5 | 5 | 9:16 | -7 | 8 |
| 13 ვილიარეალი | 23 | 7 | 7 | 9 | 21:26 | -5 | 28 | 11 | 5 | 2 | 4 | 12:13 | -1 | 17 | 12 | 2 | 5 | 5 | 9:13 | -4 | 11 |
| 14 ალავესი | 23 | 7 | 7 | 9 | 27:39 | -12 | 28 | 11 | 5 | 4 | 2 | 14:8 | 6 | 19 | 12 | 2 | 3 | 7 | 13:31 | -18 | 9 |
| 15 მალიორკა | 23 | 8 | 4 | 11 | 26:38 | -12 | 28 | 11 | 3 | 3 | 5 | 11:21 | -10 | 12 | 12 | 5 | 1 | 6 | 15:17 | -2 | 16 |
| 16 ოსასუნა | 23 | 7 | 6 | 10 | 24:29 | -5 | 27 | 12 | 6 | 1 | 5 | 13:11 | 2 | 19 | 11 | 1 | 5 | 5 | 11:18 | -7 | 8 |
| 17 ვალიადოლიდი | 23 | 8 | 3 | 12 | 22:28 | -6 | 27 | 11 | 5 | 2 | 4 | 13:12 | 1 | 17 | 12 | 3 | 1 | 8 | 9:16 | -7 | 10 |
| 18 ესპანიოლი | 23 | 6 | 4 | 13 | 24:34 | -10 | 22 | 12 | 5 | 2 | 5 | 18:16 | 2 | 17 | 11 | 1 | 2 | 8 | 6:18 | -12 | 5 |
| 19 რაიო ვალეკანო | 23 | 6 | 4 | 13 | 22:36 | -14 | 22 | 12 | 3 | 3 | 6 | 14:19 | -5 | 12 | 11 | 3 | 1 | 7 | 8:17 | -9 | 10 |
| 20 უელვა | 23 | 4 | 6 | 13 | 21:45 | -24 | 18 | 12 | 3 | 4 | 5 | 15:19 | -4 | 13 | 11 | 1 | 2 | 8 | 6:26 | -20 | 5 |

**XXIV ტური**

2 მარტი

სელტა — ვალენსია
ატლეტიკო — მალაგა
ბილბაო — უელვა
ესპანიოლი — მალიორკა
ბეტისი — სევილია
ოსასუნა — ბარსელონა
ვალიადოლიდი — სოსიედადი
ალავესი — რეალი
რასინგი — დეპორტივო
ვილიარეალი — რაიო ვალეკანო

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| მაკაი (დეპორტივო) | 18 |
| ნიჰათი (სოსიედადი) | 12 |
| კოვაჩევიჩი (სოსიედადი) | 12 |
| კლუივერტი (ბარსელონა) | 11 |
| პანდიანი (მალიორკა) | 10 |
| ფ. ტორესი (ატლეტიკო) | 10 |
| რონალდო (რეალი) | 10 |

### სეგუნდადივიზიონი

**XXIV ტური**

**სპორტინგი 1:1 ხერესი**

0:1 მენა (60), 1:1 ტასევსკი (66)

**მურსია 2:0 სარაგოსა**

1:0 ისმაელი (2), 2:0 დ. კარანკა (51)

**ლეგანესი 2:2 ელჩე**

1:0 ბენზა (26ს.კ.), 1:1 მელგარი (31ვ), 2:1 მიგელ ანხელი (62ვ), 2:2 რაულ ივარსი (87)

**ფეროლი 1:1 ოვიედო**

0:1 ლოსადა (41), 1:1 იკეზუკუ (73)

**პოლი ეხიდო 1:0 ბადახოსი**

1:0 პოშნერი (93)

**კორდობა 0:0 ეიბარი**

**სალამანკა 1:2 ტერასა**

0:1 კეკო (31ვ), 1:1 რაულ სანჩესი (78), 1:2 კეკო (89)

**ალბასეტე 3:1 ნუმანსია**

0:1 მარინი (27), 1:1 ხანდრო (42), 2:1, 3:1 დურე (77, 89)

**კომპოსტელა 0:2 ლას პალმასი**

0:1 ალვარო (57), 0:2 კარმელო (63), 0:3 ბაიანო (84)

**ლევანტე 2:1 ალმერია**

1:0 ამატო (35), 1:1 პატრი (75), 2:1 დესკარგა (86)

**ტენერიფე 0:1 ხეტაფე**

0:1 რივასი (77)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მურსია | 24 | 12 | 6 | 6 | 32:12 | 42 |
| ალბასეტე | 24 | 10 | 12 | 2 | 33:18 | 42 |
| ლევანტე | 24 | 11 | 9 | 4 | 34:23 | 42 |
| სარაგოსა | 24 | 11 | 8 | 5 | 25:20 | 41 |
| ლას პალმასი | 24 | 9 | 9 | 6 | 34:26 | 36 |
| ტენერიფე | 24 | 7 | 13 | 4 | 30:20 | 34 |
| ტერასა | 24 | 7 | 13 | 4 | 25:22 | 34 |
| ეხიდო | 24 | 8 | 10 | 6 | 21:20 | 34 |
| ხერესი | 24 | 9 | 7 | 8 | 26:28 | 34 |
| ელჩე | 24 | 7 | 11 | 6 | 30:22 | 32 |
| სპორტინგი | 24 | 7 | 11 | 6 | 23:21 | 32 |
| სალამანკა | 24 | 7 | 9 | 8 | 16:16 | 30 |
| ნუმანსია | 24 | 7 | 8 | 9 | 25:30 | 29 |
| ლეგანესი | 24 | 5 | 12 | 7 | 26:28 | 27 |
| ხეტაფე | 24 | 7 | 6 | 11 | 30:33 | 27 |
| ეიბარი | 24 | 5 | 11 | 8 | 16:21 | 26 |
| ალმერია | 24 | 6 | 8 | 10 | 26:39 | 26 |
| კორდობა | 24 | 5 | 10 | 9 | 18:21 | 25 |
| კომპოსტელა | 24 | 5 | 10 | 9 | 24:31 | 25 |
| ფეროლი | 24 | 5 | 10 | 9 | 20:32 | 25 |
| ბადახოსი | 24 | 7 | 4 | 13 | 16:35 | 25 |
| ოვიედო | 24 | 5 | 7 | 12 | 20:32 | 22 |

# ხანდახან ლაციოსაც შეუტიეთ

## იტალია

### სერია A. XXIII ტური

**ტორინო — მილანი**

*მატჩი 66-ე წუთზე შეწყდა*

0:1 ინძაგი (2), 0:2, 0:3 ზეედორფი (43, 45)
ტორინო: მანინგერი, კომოტო, დელი კარი, ფატორი (დონატი 62), მეცანო, დე აშენტისი, ვერგასოლა, კონტიკიო (სომეზე 46), პ. კასტელინი, მარინელი, ფრანკო
მწვრთნელი: რენცო ულივიერი
მილანი: დიდა, შიმიჩი, კოსტაკურტა, მალდინი, კალაძე, გატუზო, რედონდო, ზეედორფი, რუი კოშტა, სერჟინიო (ბროკი 61), ფ. ინძაგი
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
გაფრთხილება: დელი კარი
მსაჯი: პალანკა
21 000 მაყურებელი

**კომო 1:3 იუვენტუსი**

0:1 ჟუარესი (11ს.კ.), 0:2 დი ვაიო (22), 0:3 კამორანეზი (43), 1:3 პეკია (79)
*ზალაიეტამ ვერ გაიტანა პენალტი (6, ააცილა)*
კომო: ბრუნერი, ჟუარესი, ტარანტინო (პეკია 46), ტომაში (ალეგრეტი 62), სტელინი, ბინოტო (ანაკლერიო 46), კოე, მუსიჩი, მ. როსი, კარბონე, ნ. ამორუზო
მწვრთნელი: ეუჯენიო ფაშეტი
იუვენტუსი: კიმენტი, ბირინდელი, ფერარა (იულიანო 68), მონტერო, პესოტო, კონტე, ტაკინარდი, კამორანეზი (ფრეზი 81), ნედვედი, დი ვაიო (კ. ძენონი 56), ზალაიეტა
მწვრთნელი: მარჩელო ლიპი
გაფრთხილება: პეკია, როსი
მსაჯი: დატილო
12 500 მაყურებელი

**ინტერი 3:1 პიაჩენცა**

1:0 ბატისტუტა (64), 2:0, 3:0 ვიერი (65, 67), 3:1 უბნერი (89)
*კალონმა ვერ გაიტანა პენალტი (81, ააცილა)*
ინტერი: ტოლდო, ხ. ძანეტი, ფ. კანავარო, გამარა, პასკუალე (კოკო 87), დალმა, დი ბიაჯო (გულიელმინპიეტრო 59), კ. ძანეტი, მორფეო, ვიერი (კალონი 68), ბატისტუტა
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი
პიაჩენცა: ორლანდონი, კრისტანტე, ლამაკი, მანგონე, ტოსტო, მარკიონი, მარესკა (ფერარეზე 77), ბაიოკო, გურენკო (კოისი 77), დე ჩეზარე (პატრასკუ 70), უბნერი
მწვრთნელი: ლუიჯი კანი
გაფრთხილება: მორფეო, მანგონე, კრისტანტე
მსაჯი: გაბრიელე
56 000 მაყურებელი

**ლაციო 0:0 ატალანტა**

ლაციო: პერუცი (მარკეჯანი 46), სტამი, ნეგრო, მიხაილოვიჩი, ფავალი, ლაზეტიჩი (ფიორე 68), სიმეონე, ჯანიკედა, სეზარი (კიეზა 87), კ. ლოპესი, კორადი
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
ატალანტა: ტაიბი, სიჟილია, ნატალი, სალა, ძაური, დ. ძენონი, ბერეტა, დაბო, დონი, როსინი, პინარდი (ვუგრინეცი 55)
მწვრთნელი: ჯოვანი ვავასორი
გაფრთხილება: ძაური, ჯანიკედა, ბერეტა
მსაჯი: ტომბოლინი
40 000 მაყურებელი

**მოდენა 1:0 კიევო**

1:0 სკული (75)
მოდენა: ბალოტა, მ. მაიერი (მაური 68), ჩევოლი, უნგარი, პონცო, მარასკო, მილანეტო, ბალესტრი, ჯ. კოლუჩი (სკული 68), დ. კამარა, ვინიაროლი (ფაბრინი 68)
მწვრთნელი: ჯოვანი დე ბიაზი
კიევო: ლუპატელი, ფ. მორო (მენსა 75), ლეგროტალიე, დანა, ს. ლანა, ლუსიანო (ბირშოფი 46), პეროტა, დ. ანდერსონი, დ. ფრანჩესკინი, ფ. კოსატო, პელისიერი (დელა მორტე 51)
მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი
გაფრთხილება: მაიერი, მარასკო, დანა, ფაბრინი, ფრანჩესკინი, მორო, პეროტა
მსაჯი: როზეტი
15 000 მაყურებელი

**უდინეზე 2:1 რომა**

1:0 სენსინი (35), 1:1 მონტელა (54), 2:1 იაკინტა (72)
უდინეზე: დე სანქტისი, კროლდრუპი, სენსინი, ბერტოტო, ალბერტო (ჯემიტი 65), პინცი, დ. პიზარო, პიერი, მუცი (ვარლეი 82), იაკინტა (როსიტო 86), იანკულოვსკი
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი

REUTERS რომიდან



ლაციო — ატალანტა. რომაელმა ფოტორეპორტიორმა იაპ სტამისა და ბერგამოელი ლუჩანო ძაურის (№9) დუელი ეფექტურად ჩააჩხაკუნა

რომა: პელიცოლი, პანუჩი, ვ. სამუელი, ძებინა, კანდელა, კაფუ, ემერსონი, დაკური (ტომაზი 69), ფ. ლიმა (ბომბარდინი 84), მონტელა, მარაცინა (ა. კასანო 46)
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
გაფრთხილება: დაკური, ძებინა, კაფუ, ძებინა
გაძევება: ძებინა (89)
მსაჯი: პიერი
15 000 მაყურებელი

**პერუჯა 1:2 პარმა**

0:1 ადრიანო (30), 1:1 გროსო (61), 1:2 ფერარი (72)
პერუჯა: კალაჩი, სოლიანო (ბერეტონი 77), დი ლორეტო, მილანეზე, ზე მარია, ტედესკო, ფუზანი (ობოდო 46), ბლაზი (ლ. პალიუკა 67), გროსო, მიკოლი, ვრიზასი
მწვრთნელი: სერსე კოზმი

პარმა: ფრეი, კარდონე, ბონერა, ფერარი, ჟუნიორი, ლამუში, ბარონე, ე. ფილიპინი, ნაკატა (ბრეშიანო 71), ადრიანო (ჯილარდინო 84), მუტუ
მწვრთნელი: ჩეზარე პრანდელი
გაფრთხილება: ბონერა, სოლიანო, ობოდო
მსაჯი: ბერტინი
10 000 მაყურებელი

**ბოლონია 2:0 ემპოლი**

1:0 ბელუჩი (14), 2:0 ვანოლი (68)
ბოლონია: ჯ. პალიუკა, პარამატი, ძანკი, ფალკონე (ძაკარდო 55), მ. კასტელინი, ნერვო (ვანოლი 57), ოლივე (კ. ამორუზო 76), ლ. კოლუჩი, ბელუჩი, ლოკატელი, ხ. კრუზი
მწვრთნელი: ფრანჩესკო გვიდოლინი

ემპოლი: ბერტი, ბელერი, კრიბარი, პრატალი, კუპი, ჯამპიერეტი, გრელა, დი ნატალე, ვანუკი (როკი 67), კარპარელი (ბუშე 62), ბორიელო
მწვრთნელი: სილვიო ბალდინი
გაფრთხილება: კრიბარი, ჯამპიერეტი, გრელა, პარამატი, კოლუჩი, ნერვო, ვანოლი
მსაჯი: მესინა
20 000 მაყურებელი

**ბრეშა 2:1 რეჯინა**

1:0 ბაჯო (60), 1:1 დი მიკელე (69), 2:1 პეტრუცი (86)
*ბაჯომ ვერ გაიტანა პენალტი (60, მეკარე)*
ბრეშა: სერენი, ჟ. მარტინესი, პეტრუცი, ბილიკა, სერიჩი (მარეკო 89), ა. ფილიპინი, აპია, მატუზალემი, ბაკინი (ტარე 32), რ. ბაჯო, ტონი (პიზანო 64)
მწვრთნელი: კარლო მაცონე
რეჯინა: ბელარდი, ჟინარეკი, ვარგასი (ტორიზი 73), ი. ფრანჩესკინი (სავოლდი 87), დიანა, პარედესი, კოცა, ნაკამურა, ფალზინი, დი მიკელე, ბონაცოლი
მწვრთნელი: ლუიჯი დე კანიო
გაფრთხილება: ფრანჩესკინი, ბაჯო, ვარგასი, ნაკამურა
მსაჯი: დონდარინი
18 000 მაყურებელი

**სამ წუთში** სამი გოლი, რომელთაგან ორი კრისტიან ვიერიმ გაიტანა და... „ინტერი“, „იუვენტუსთან“ ერთად სერია A-ს ლიდერია.

უნდა აღინიშნოს, რომ პირველ ტაიმში „შავ-ლურჯების“ თამაში უფრო მაღაროელთა შრომას ჰგავდა, ვიდრე ფეხბურთის თამაშს, თუმცა, შესვენების შემდეგ მათი შესრულებით ნაპერწკალი და ფანტაზიაც ვიხილეთ. მილანელები არგენტინელმა გაბრიელ ბატისტუტამ დააწინაურა. ეს გახლდათ მისი პირველი გოლი „ინტერის“ შემადგენლობაში. დაბალი დარტყმისთვის ბატისტუტას პასი სტეფან დალმამ მიაწოდა.

ამ ამბიდან ერთ წუთში კრისტიან ვიერიმ „პიაჩენცას“ მცველთა შეცდომით ისარგებლა და საჯარიმო მოედნის კიდიდან ზუსტად დაარტყა, ხოლო კიდევ ორი წუთი რომ გავიდა, დომენიკო მორფეომ ითამაშა კარგად და კრისტიან ვიერის ახლოდან მორიგი გოლის გატანის საშუალება მისცა. ცნობისთვის: კრისტიან ვიერის უკვე 21 გოლი აქვს ამ სეზონში გატანილი.

ანგარიში თავის სასარგებლოდ რომ დაიგულა „შავ-ლურჯების“ თავკაცმა ექტორ რაულ კუპერმა ვიერი მოჰამედ კალონით შეცვალა. მიზეზი: ოთხშაბათს „ინტერი“ ჩემპიონთა ლიგაში „ბარსელონას“ მასპინძლობს და ერთი კვირის წინ ნაწვნევი 0:3 რამენაირად უნდა გამოასწორონ. კალონმა კი, საფინალო სასტვენამდე 9 წუთით ადრე, პენალტი ააცილა. სხვათა შორის ეს პენალტი მანვე დაიმსახურა, როდესაც ფილიპო კრისტანტემ საჯარიმოში წააქცია.

„პიაჩენცამ“ თავისი ერთადერთი გოლი ზუსტად მატჩის დამთავრების წინ გაიტანა. იგი დარიო უბნერმა შეაგდო.

მატჩის შემდეგ „ინტერის“ მწვრთნელმა განაცხადა:

„პირველ ტაიმში ძალიან გაგვიჭირდა, რადგან „პიაჩენცა“ კარგად თამაშობდა, ნახევარდაცვაში გვიშლიდა ხელს და ამის გამო ბატისტუტასა და ვიერის საგოლე სიტუაციებს ველარ ვუქმნიდით. გამარჯვების ტალღაზე მოგვიანებით მოვიმართეთ და გამარჯვებაც მოვიპოვეთ. ყოველთვის ჩქარი თამაში არ გამოდის. ხანდახან სხვა ხერხს უნდა მიმართო, მაგალითად, მოწინააღმდეგის შეცდომები უნდა გამოიყენო“.

„ლაციო“ კი „ატალანტას“ სჯობდა, მაგრამ კლაუდიო ლოპესისა და ბერნარდო კორადისათვის ხელსაყრელი მომენტების შექმნა ვერ შეძლო, ამიტომაც ზედიზედ მეოთხე ფრე ითამაშა.

რაც შეეხება „ატალანტას“, ბერგამოელებმა აგერ უკვე ცხრა თამაშია წაგება არ იციან.

„ძნელია, როდესაც გუნდები მოდიან და ყრუ დაცვის მეტზე არაფერზე ფიქრობენ. მგონი კარისკენ ერთხელაც არ დაურტყამთ. ჩვენ ყველა ღონე ვიხმარეთ, რათა მოგვეგო და, მინდა გითხრათ, ამ მონდომებით კმაყოფილი დავრჩი“.

„რომას“ ძალიან უნდოდა უდინედან ქულა მაინც წაეღო, მაგრამ ახლა უეფას თასზე გამსვლელი ადგილიც კი მეტად შორს და ბუნდოვნად ჩანს.

ანგარიში „ლაციოს“ ყოფილმა მცველმა, არგენტინელმა ვეტერანმა ნესტორ სენსინიმ გახსნა, მას მერე, რაც „რომას“ მეკარემ ივან პელიცოლიმ მარეკ იანკულოვსკის მიერ კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს ვერაფერი მოუხერხა და მას კარში შეგდების საშუალება მიეცა.

ეს გოლი რვა წუთის შემდეგ ვინჩენცო მონტელამ გაქვითა. მონტელას ასისტენტობა ფრანგმა მცველმა, ჯონათან ძებინამ გაუწია, თან დიდებულად, როდესაც მოწინააღმდეგის ოთხ მცველს საუცხოო დრიბლინგით გასცდა, მაგრამ 72-ე წუთზე რობერტო მუცის დაბლა ჩაწოდებულს ვინჩენცო იაკინტამ საგოლედ ჰკრა და „უდინეზეს“ გამარჯვება მოუტანა.

89-ე წუთზე ზემოთ ნაქები ძებინა მეორე ყვითელი ბარათის გამო მოედნიდან გააძევეს.

„პარმამ“ „პერუჯას“ წინააღმდეგ მწვავედ ითამაშა და 2:1 მოიგო. მარცხენა ფეხით, „პარმას“ ბრაზილიელმა თავდამსხმელმა ადრიანომ გახსნა ანგარიში, თუმცა შესვენების შემდეგ, ექვს წუთში, ფაბიო გროსომ გაათანაბრა, ხოლო მცველმა, მატეო ფერარიმ ერთი ხნის შემდეგ თავით შეაგდო გამარჯვების გოლი.

ნუ გაგიკვირდებათ, რომ წააგო „კიევომ“. იგი „მოდენამ“ 76-ე წუთზე ჯუზეპე სკულის მიერ გატანილი გოლით დაამარცხა, ხოლო „ბოლონიამ“ ზედიზედ ექვსი მატჩი რომ არ ჰქონდა მოგებული, „ემპოლი“ დაამარცხა 2:0.

**ბაჩუნა ქედია**

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 იუვენტუსი | 22 | 14 | 6 | 2 | 41:16 | 25 | 48 | 10 | 6 | 3 | 1 | 19:7 | 12 | 21 | 12 | 8 | 3 | 1 | 22:9 | 13 | 27 |
| 2 ინტერი | 22 | 15 | 3 | 4 | 45:23 | 22 | 48 | 11 | 9 | 1 | 1 | 23:5 | 18 | 28 | 11 | 6 | 2 | 3 | 22:18 | 4 | 20 |
| 3 მილანი | 21 | 13 | 4 | 4 | 38:16 | 22 | 43 | 11 | 9 | 2 | 0 | 22:5 | 17 | 29 | 10 | 4 | 2 | 4 | 16:11 | 5 | 14 |
| 4 ლაციო | 22 | 10 | 10 | 2 | 37:21 | 16 | 40 | 12 | 3 | 7 | 2 | 19:13 | 6 | 16 | 10 | 7 | 3 | 0 | 18:8 | 10 | 24 |
| 5 კიევო | 22 | 11 | 4 | 7 | 31:21 | 10 | 37 | 11 | 7 | 2 | 2 | 20:11 | 9 | 23 | 11 | 4 | 2 | 5 | 11:10 | 1 | 14 |
| 6 უდინეზე | 22 | 10 | 6 | 6 | 23:21 | 2 | 36 | 11 | 7 | 4 | 0 | 13:6 | 7 | 25 | 11 | 3 | 2 | 6 | 10:15 | -5 | 11 |
| 7 პარმა | 22 | 9 | 7 | 6 | 38:27 | 11 | 34 | 11 | 7 | 1 | 3 | 22:13 | 9 | 22 | 11 | 2 | 6 | 3 | 16:14 | 2 | 12 |
| 8 ბოლონია | 22 | 8 | 7 | 7 | 27:25 | 2 | 31 | 11 | 8 | 1 | 2 | 20:10 | 10 | 25 | 11 | 0 | 6 | 5 | 7:15 | -8 | 6 |
| 9 პერუჯა | 22 | 8 | 5 | 9 | 27:29 | -2 | 29 | 11 | 7 | 1 | 3 | 17:7 | 10 | 22 | 11 | 1 | 4 | 6 | 10:22 | -12 | 7 |
| 10 რომა | 22 | 7 | 7 | 8 | 33:31 | 2 | 28 | 10 | 4 | 4 | 2 | 19:12 | 7 | 16 | 12 | 3 | 3 | 6 | 14:19 | -5 | 12 |
| 11 ბრეშა | 22 | 6 | 9 | 7 | 26:29 | -3 | 27 | 11 | 3 | 5 | 3 | 13:12 | 1 | 14 | 11 | 3 | 4 | 4 | 13:17 | -4 | 13 |
| 12 მოდენა | 22 | 7 | 4 | 11 | 16:30 | -14 | 25 | 11 | 4 | 3 | 4 | 8:11 | -3 | 15 | 11 | 3 | 1 | 7 | 8:19 | -11 | 10 |
| 13 ემპოლი | 22 | 6 | 6 | 10 | 25:31 | -6 | 24 | 11 | 2 | 5 | 4 | 13:16 | -3 | 11 | 11 | 4 | 1 | 6 | 12:15 | -3 | 13 |
| 14 ატალანტა | 22 | 5 | 8 | 9 | 23:32 | -9 | 23 | 11 | 3 | 4 | 4 | 13:16 | -3 | 13 | 11 | 2 | 4 | 5 | 10:16 | -6 | 10 |
| 15 რეჯინა | 22 | 6 | 4 | 12 | 23:39 | -16 | 22 | 11 | 5 | 3 | 3 | 18:14 | 4 | 18 | 11 | 1 | 1 | 9 | 5:25 | -20 | 4 |
| 16 პიაჩენცა | 22 | 4 | 4 | 14 | 20:38 | -18 | 16 | 11 | 3 | 2 | 6 | 13:20 | -7 | 11 | 11 | 1 | 2 | 8 | 7:18 | -11 | 5 |
| 17 ტორინო | 21 | 2 | 7 | 12 | 13:36 | -23 | 13 | 11 | 2 | 3 | 6 | 5:17 | -12 | 9 | 10 | 0 | 4 | 6 | 8:19 | -11 | 4 |
| 18 კომო | 22 | 1 | 9 | 12 | 15:36 | -21 | 12 | 11 | 1 | 4 | 6 | 10:19 | -9 | 7 | 11 | 0 | 5 | 6 | 5:17 | -12 | 5 |

**XXIII ტური**

23 თებერვალი

| | |
|---|---|
| მილანი | ატალანტა |
| ბრეშა | ბოლონია |
| პიაჩენცა | კომო |
| რომა | ემპოლი |
| იუვენტუსი | ინტერი |
| პერუჯა | ლაციო |
| პარმა | მოდენა |
| კიევო | ტორინო |
| რეჯინა | უდინეზე |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ვიერი (ინტერი) | 21 |
| დელ პიერო (იუვენტუსი) | 12 |
| ტოტი (რომა) | 11 |
| კ. ლოპესი (ლაციო) | 11 |
| მუტუ (პარმა) | 11 |
| ფ. ინძაგი (მილანი) | 10 |
| ადრიანო (პარმა) | 10 |

### სერია B

### XXIII ტური

**ანკონა 3:1 ვიჩენცა**

1:0 ბოლიჩი (10), 1:1 მარკოლინი (36), 2:1 გრაფიედი (54), 3:1 მაგონი (56)

**ბარი 2:1 ჯენოა**

0:1 მიჰალჩია (36), 1:1 სპინეზი (60პ), 2:1 ცვიტანოვიჩი (78ს.კ.)

**კალიარი 1:1 ტერნანა**

0:1 ბორგობელო (38), 1:1 ესპოზიტო (61)

**კატანია 1:1 მესინა**

0:1 კამპოლო (70), 1:1 ჯაკობო (74ს.კ.)

**კოზენცა 1:0 ნაპოლი**

1:0 ედუსეი (30)

**სალერნიტანა 2:1 ლეჩე**

1:0 კამაროტა (49), 1:1 ჩევანტონი (79), 2:1 ბაჯო (81)

**სამპდორია 3:0 ასკოლი**

1:0 ბეტარინი (17), 2:0 კოლომბო (22), 3:0 ბაცანი (55)

**სიენა 2:1 პალერმო**

1:0 რუბინო (3), 2:0 ჟირარდელო (32პ), 2:1 კონტეპი (64)

**ვერონა 1:0 ვენეცია**

1:0 მ. ვიერი (31)

**ტრიესტინა — ლივორნო**

*წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ანკონა | 23 | 11 | 8 | 4 | 35:26 | 41 |
| სიენა | 23 | 10 | 10 | 3 | 26:17 | 40 |
| სამპდორია | 23 | 10 | 9 | 4 | 32:19 | 39 |
| ვიჩენცა | 23 | 10 | 8 | 5 | 35:28 | 38 |
| ტრიესტინა | 22 | 10 | 6 | 6 | 33:24 | 36 |
| ლივორნო | 22 | 10 | 5 | 7 | 27:18 | 35 |
| ლეჩე | 23 | 8 | 11 | 4 | 26:21 | 35 |
| ტერნანა | 23 | 8 | 7 | 8 | 27:25 | 31 |
| მესინა | 23 | 7 | 9 | 7 | 32:29 | 30 |
| ვერონა | 23 | 7 | 9 | 7 | 27:24 | 30 |
| ასკოლი | 23 | 8 | 6 | 9 | 27:29 | 30 |
| პალერმო | 23 | 8 | 6 | 9 | 22:25 | 30 |
| ვენეცია | 23 | 8 | 6 | 9 | 23:28 | 30 |
| კალიარი | 23 | 8 | 6 | 9 | 21:28 | 30 |
| ჯენოა | 23 | 7 | 7 | 9 | 29:27 | 28 |
| კატანია | 23 | 7 | 4 | 12 | 26:36 | 25 |
| ნაპოლი | 23 | 5 | 9 | 9 | 25:32 | 24 |
| ბარი | 23 | 4 | 11 | 8 | 20:24 | 23 |
| კოზენცა | 23 | 6 | 5 | 12 | 19:28 | 23 |
| სალერნიტანა | 23 | 4 | 4 | 15 | 16:40 | 16 |

### სერია C1/B

**გადადებული მატჩი:** ლანჩანო — ჯულიანოვა 0:0

# იტალიის ჩემპიონატი
## ოცდამეორე ტურის მატჩი
## ტორინო — მილანი
მატჩი 65-ე წუთზე შეწყდა

ახალ ქალაქი: 65 წუთი



არბიტრმა თამაშის გაგრძელება შეუძლებლად მიიჩნია...

# ეძებეთ დამფარული!
## გიჟები მხოლოდ იტალიაში დარჩნენ

**იტალიურ** ფეხბურთში ხულიგნობა უკვე მეტისმეტად სერიოზულ პრობლემად იქცა. ამ სეზონში, სერია A-ში აგერ უკვე მეორე თამაში ჩაიშალა — „ტორინოსა" და „მილანის" შეხვედრაზე მოგახსენებთ. „დელე ალპიზე" 64-ე წუთი მიმდინარეობდა (ანგარიში 3:0 იყო მილანელთა სასარგებლოდ), როდესაც „ტორინოს" ცხელთავიანმა ქომაგებმა მოედანზე შევარდნა, პოლიციელებთან ჩხუბი და ათასი სისულელე მოიფიქრეს.

შეგახსენებთ: დეკემბერში „კომოსა" და „უდინეზეს" მატჩი ჩაიშალა.

მაშინ „კომოს" სტადიონი ოთხი თამაშით დასაჯეს, „ტორინოს" კი ვინ იცის, გაცილებით მკაცრად მოექცნენ. რატომ? იმიტომ, რომ ტურინელი ცხელთავიანები კომოელ დოსტებზე მოხერხებულნი აღმოჩნდნენ და უფრო შორს წავიდნენ პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით.

მაგრამ აქ კითხვა სხვანაირად ჟღერს: ეს დისკვალიფიკაციები საკმარისია?

პარასკევს იტალიის პარლამენტმა იმსჯელა და დაადგინა, რომ პოლიციას ინციდენტიდან 36 საათის მერეც ექნება მოძიებული გიჟმაჟის დაპატიმრების უფლება. აქამდე სამართალდამცველებს ვიდეო და ფოტომხილებების გამოყენება ეკრძალებოდათ.

„მილანის" ვიცე-პრეზიდენტი და იმავდროულად იტალიის საფეხბურთო ლიგის პრეზიდენტი ადრიანო გალიანი ტურინში საკუთარი თვალით ნანახმა გადარია:

„ასეთი რაღაცეები მხოლოდ იტალიაში ხდება. ესპანეთში მსგავსი არაფერი ყოფილა, ინგლისში ლიგიდან გავარდნილ გუნდებს ქომაგები ტაშით აცილებენ..."

„ტორინო" სერია A-ს ძირში, ბოლოსწინა ადგილზეა და ამით გაღიზიანებული გულშემატკივრები რაღაცის დამტვრევას ცდილობენ. მაგალითად, „მილანთან" თამაშის წინ ისინი ქალაქში, კლუბის ოფისისკენ ცდილობდნენ გზის „ხმლით" გაკაფვას.

და, იცით, ცხელთავიანთა ერთმა ანონიმურმა წარმომადგენელმა სააგენტო ANSA-ს რა უთხრა? ისეთი არაფერი, ჩვენი ძალის წარმოჩენა გვინდოდაო.

ისე კი, გალიანის ამ აურზაურმა ფილოსოფიური ჭვრეტის უნარი გაუხსნა. მოუსმინეთ, რას ამბობს:

„იქნებ, საკუთრივ კლუბები ვისჯებით ცოდვებისთვის? იქნებ, ვნებებს კლუბების დირექტორები და ხელმძღვანელები აღვივებენ? მოთამაშეთა და მწვრთნელთა უმრავლესობის შეურაცხყოფა არ მსურს, მაგრამ კვირა ისე არ გავა კამათი რომ არ ატყდეს, იყო თუ არა პენალტი, ან რაიმე ასეთი. ჰოდა, შედეგიც შესაბამისი გვაქვს."

მართლაც, იტალიის ტელევიზია არასდროს ერიდება ცხარე კამათს ასეთი საკითხების გარშემო, ხშირია კამათი ჟურნალისტებსა და კლუბთა წარმომადგენლებს შორის.

„ტორინოს" პრეზიდენტი ატილიო რომერო:

„აქ იტალიაში, საიდუმლოებათა კულტი გვაქვს. ყველა მოქმედების უკან ვიღაცის ინტერესებს ვეძებთ, თითქოს ჩვეულებრივად არაფერი ხდებოდეს".

იტალიის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ჯანი პეტრუჩი:

„ჩვენ ეთიკა გვაკლია. გინახავთ, წაგების შემდეგ იტალიელს ეთქვას მეტოქე გვჯობდაო? ყოველთვის რაღაცას თუ ვიღაცას ეძებენ".

„მილანის" ჰოლანდიელ ნახევარმცველს, კლარენს ზეედორფს ჩაშლილი თამაშის სამი გოლიდან ორი ჰქონდა გატანილი:

„შვიდი წლის წინ, იტალიაში რომ ჩამოვედი, ქომაგების ერთგულება და ემოცია ძალიან მომწონდა, ახლა კი ყველაფერი შეიცვალა, ასეთი რაღაცები იტალიის გარეთ აღარ ხდება. ალბათ იმიტომ, რომ სხვა ქვეყნებში უფრო მკაცრი კანონებია და დიდია შანსი ესა თუ ის სტადიონი მთელი წლით დახურონ. იტალიაში უფრო იოლია: ერთ სტადიონს დახურავენ? მეორეზე გადახვალ. მერე, არ მინდა ეს ხულიგნობა ჟურნალისტებს დავაბრალო, მაგრამ მთელი კვირის განმავლობაში გაზეთებში კითხულობ და ტელევიზიით უცქერ დაუსრულებელ კამათსა და დაპირისპირებას, რაც, საბოლოოდ ქომაგთა ქცევაზე აისახება".

„დელე ალპის" დისკვალიფიკაციამდე კი „ტორინომ" საკუთარი მწვრთნელი დასაჯა — რენცო ოლივიერი გუშინ სალამოს ცუდი შედეგისთვის მოხსნეს. ტურინელებს დროებით ახალგაზრდული გუნდის მწვრთნელები რენატო ძაკარელი და ჯაკომო ფერი უხელმძღვანელებენ.

**ბაგუნა ძიდია**


...თან მილანელთა მეკარე დიდასაც ცრემლსადენმა გაზმა თვალი დაუშავა. კახა კალაძე კი ექიმის მუშაობას დაუინტერესებია

# ნემსის წვერი მწარე არის
## გიორგის კენწეროში ასვლა მოუნდა

## შოტლანდია
### ასოციაციის თასი მეოთხედფინალი

**დანდი 2:0 აბერდინი**

1:0 ლოველი (22), 2:0 ნოვო (41)

**დანდი:** სპერონი, მაკეი, უილკი, ხიზანიშვილი, მაირი, სმიტი, რაე, ნემსაძე, ლოველი (ბერჩილი 84), კაბალიერო (მილნი 78), ნოვო

მწვრთნელი: ჯიმ დაფი

7 549 მაყურებელი

**ეარი 0:1 რეინჯერსი**

0:1 დე ბური (79)

**რეინჯერსი:** შ. კლოსი, მუსკატი, კ. მური, ლ. ამორუზო, ნუმანი, არტეტა (ს. ჰიუზი 21), მალკოლმი (ტომპსონი 62), ბ. ფერგიუსონი, ნ. მაკკანი (კანიჯა 73), რ. დე ბური, შ. არველაძე

მწვრთნელი: ალექს მაკლიში

9 608 მაყურებელი

**სელტიკი 3:0 სენტ ჯონსტონი**

1:0 ჰართსონი (32პ), 2:0 ჯ. სმიტი (77), 3:0 ჰართსონი (86პ)

**ალოა 0:2 ფოლკირკი**

0:1 კოილი (52), 0:2 კ. სამუელი (65)

**კლაიდი 0:2 მოზერუელი**

0:1, 0:2 მაკფადენი (41, 77)

**დანფერმლაინი 1:1 ჰიბერნიანი**

0:1 მიურეი (42), 1:1 ნიკოლსონი (58)

**ინვერნესი 6:1 ჰამილტონი**

0:1 ბონარი (2), 1:1 ვინსი (8), 2:1 რობსონი (31), 3:1 რიჩი (49), 4:1 რობსონი (50), 5:1 ვინსი (68), 6:1 მაკკაფრი (72)

**მორტონი 0:2 სტრანრარი**

0:1, 0:2 ბართი (32, 52პ)

**ასოციაციის თასის** მეოთხე ეტაპზე „დანდის" გამარჯვება იმითაცაა სასიხარულო, რომ გიორგი ნემსაძე დანდელებმა მატჩის საუკეთესო მოთამაშედ სცნეს.

ქართველთა გუნდის, მეტოქე ოდესღაც მგრგვინავი „აბერდინი" გახლდათ. თავდასხმაში სტივ ლოველის და ნაჩო ნოვოს ჩინებული თამაშით, ფაბიან კაბალიეროს ფინტებით და გიორგი ნემსაძის ვირტუოზული წარმოდგენით „დანდი" თასის მეოთხედფინალში გაშლიგინდა — აი, ასე იწყებს მატჩის მიმოხილვას „დანდის" ვებ-გვერდი.

შეტევაში თავის გამოჩენის შანსი ზურაბ ხიზანეიშვილსაც ჰქონდა, რომელმაც 16 იარდიდან ააცდინა „აბერდინის" კარს.

ლოველმა კაბალიეროს კარგი პასით გაიტანა — მეკარეს პირისპირ შეეყარა და არც სიზუსტემ უღალატა.

მერე თავად კაბალიეროს უნდა გაეტანა, მაგრამ ნემსაძის ჩაწოდებულს ოდნავ არაზუსტი თავური მიაყოლა.

სამაგიეროდ, ნოვო გამოდგა ნაყოფიერი — ლოველის გრძელი პასი შეიშნო და დაბალ კუთხეში გაიტანა.

„აბერდინი" პირველ ტაიმში და შესვენების შემდეგაც როლი თვლემდა, მაგრამ ჯულიან სპერონიმ ერთი-ორი მკვდარი ბურთი მოიგერია. თუმც მოავარი კაცი მინდორზე მაინც ნემსაძე გახლდათ.

„თასის გათამაშება ახლა ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანი გახდა, ვიდრე ჩემპიონატი. კარგა ხანია, „დანდის" თასი არ მოუგია და ეს ჩვენთვის საუკეთესო საშუალებაა, ევროტურნირებზე მოსახვედრად. ჩემპიონატში კი ისეთ სიტუაციაში ვართ, რომ ოთხეულში შესვლა გაცილებით რთულია. ჩვენ სულ უფრო და უფრო გვჯერა, რომ თასის მოგება შეგვიძლია. რა თქმა უნდა, კარგი იქნება თუ წილისყრის შედეგად „სელტიკი" და „რეინჯერსი" ერთმანეთს გადაეყრებიან — ამით „დანდის" შანსები მოიმატებს. რაც შეეხება სპერონის, მან წარმოუდგენელი ბურთი მოიგერია. ის შოტლანდიაში სამ საუკეთესო მეკარეთა შორისაა შტეფან კლოსისა და რობ დუგლასის გასწვრივ" — უთქვამს ნამატჩევს ნემსაძეს.

თავი მოუგიჟიანებია „ეარის" გოლკიპერ კრეიგ ნელსონსაც, მაგრამ „რეინჯერსმა" მაინც მოიგო. ნელსონმა შოთა არველაძესაც არ დაანება გატანა — ქართველის აკრობატულ ნახტომში დარტყმულს გადაეფარა. არველაძემ ერთხელაც სცადა ბედი, მაგრამ ბურთი ხარიხას გაარტყა.

**დავით თაგართქილაძე**

### პრემიერლიგა
### გადადებული მატჩი

**კილმარნოკი 1:0 პარტიკი**

1:0 კანერო (45)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 28 | 24 | 3 | 1 | 76:20 | 75 |
| სელტიკი | 27 | 22 | 3 | 2 | 69:17 | 69 |
| ჰართსი | 28 | 13 | 7 | 8 | 47:42 | 46 |
| კილმარნოკი | 28 | 12 | 6 | 10 | 32:39 | 42 |
| დანფერმლაინი | 28 | 12 | 3 | 13 | 44:51 | 39 |
| ჰიბერნიანი | 27 | 10 | 4 | 13 | 38:43 | 34 |
| დანდი | 26 | 7 | 8 | 11 | 30:40 | 29 |
| პარტიკ თისლი | 28 | 6 | 9 | 13 | 27:43 | 27 |
| აბერდინი | 28 | 6 | 9 | 13 | 25:42 | 27 |
| ლივინგსტონი | 27 | 7 | 5 | 15 | 35:43 | 26 |
| მოზერუელი | 27 | 6 | 6 | 15 | 33:46 | 24 |
| დანდი იუნ. | 28 | 4 | 9 | 15 | 23:53 | 21 |

### პირველი დივიზიონი
გადადებული მატჩი: სენტ მირენი — ქუინი 2:2

### მეორე დივიზიონი
26-ე ტური: ბერვიკი — რეითი 1:1; ფორფარი — სტენჰაუზმური 3:3. დამბარტონი — ბრეჩინი გადაიდო

### მესამე დივიზიონი
26-ე ტური: ისტ ფაიფი — ისტ სტირლინგი 3:0; ელგინი — გრეტნა 2:2; მონტროუზი — ქუინზ პარკი 1:1. ალბიონი — პიტერჰედი გადაიდო


დანდი — აბერდინი. გიორგი ნემსაძე (მარცხნივ) მოედანზე საუკეთესო იყო

## ავსტრია
### მაქსბუნდესლიგა XXII ტური

კერნტენი — აუსტრია 1:3; გრაცერი — ბრეგენცი 4:1. რაპიდი — ადმირა ვაკერი და პაშინგი — რიდი გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აუსტრია | 22 | 15 | 4 | 3 | 46:15 | 49 |
| პაშინგი | 21 | 9 | 6 | 6 | 29:22 | 33 |
| შტურმი | 22 | 10 | 3 | 9 | 32:35 | 33 |
| რიდი | 21 | 8 | 6 | 7 | 30:24 | 30 |
| რაპიდი | 21 | 8 | 6 | 7 | 30:25 | 30 |
| გრაცერი | 22 | 7 | 8 | 7 | 28:27 | 29 |
| ზალცბურგი | 22 | 7 | 6 | 9 | 26:36 | 27 |
| კერნტენი | 22 | 6 | 5 | 11 | 26:35 | 23 |
| ბრეგენცი | 22 | 4 | 9 | 9 | 30:39 | 21 |
| ადმირა | 21 | 4 | 7 | 10 | 19:38 | 19 |

## შოტლანდია
### თასის მეოთხედფინალის წილისყრა

სტრანრარი — მოზერუელი; დანფერმლაინი ან ჰიბერნიანი — რეინჯერსი; ინვერნესი — სელტიკი; ფოლკირკი — დანდი

*მატჩები გაიმართება 22-23 მარტს*

## შვეიცარია
### თასის მერვედფინალი

ნატერი — სენტ გალენი 0:4; ბადენი — ლუცერნი 0:2; კრიენსი — ვილი 1:2დ.დ. (1:1); ლა შო-დე-ფონი — ქსამაქსი 0:2; ლუგანო — გრასჰოპერი 0:2; შაფჰაუზენი — თუნი 3:1დ.დ. (1:1); იანგ ბოისი — დელემონი 1:0; ივერდონი — ბაზელი 0:3



REUTERS

ლიონი — რენი. მასპინძელთა კოლექტიური გარჯა: ერიკ კარიერმა (№10) ფილიპ დელაი ბურთს განარიდა, სიდნეი გოვუმ კი აართვა

# სახედაჭმუჭნული კაცი

## საფრანგეთი

### I დივიზიონი. XXVIII ტური

**მონაკო 3:1 ოსერი**

1:0 პრსო (14), 2:0 ჟიული (49), 2:1 ჯ. სისე (55), 3:1 ნონდა (74)

**გენგამი 3:2 პსჟ**

0:1 რონალდინიო (21), 0:2 ჟ. ლერუა (55), 1:2 გიიომი (62), 2:2, 3:2 დროგბა (70, 90)

**მარსელი 2:0 ლილი**

1:0 ბაკაიოკო (13), 2:0 იოჰანსენი (80)

**ბასტია 1:1 ნიცა**

1:0 ფ. მორისი (45), 1:1 ჩერადი (77)

**ლანსი 4:0 მონპელიე**

1:0 სიბიერსკი (10), 2:0 ვერელი (20), 3:0, 4:0 დ. მორეირა (63, 66)

**ლიონი 4:1 რენი**

1:0 ჟუნინიო პერნამბუკანო (17), 1:1 დელიე (22), 2:1 ლუინდულა (44), 3:1 გოვუ (68), 4:1 ლუინდულა (75)

**ნანტი 1:0 აიაჩო**

1:0 ჟილე (70პ)

**სედანი 0:1 ბორდო**

0:1 ფეინდუნო (37)

**სოშო 1:0 ლე ავრი**

1:0 მეთიუ (90)

**ტრუა 1:0 სტრასბური**

1:0 ბენაშური (7)

ლუის ფერნანდესისა და სრულიად პარიზის ციებ-ცხელება გრძელდება. პსჟ მეთერთმეტე ადგილზე დაეშვა. კლუბის ბოსები კვლავაც მოთმინებით, მაგრამ ამრეზით უყურებენ მწვრთნელს. მისი გაშვება კი უნდათ, მაგრამ სეზონის ჩამთავრებას ელიან და მერე დაითხოვენ პოსტიდან. მანამდე პარიზული კლუბის ქომაგებს ალბათ თმები ბოლომდე შეევერცხლებათ.

პსჟ „გენგამს" ესტუმრა, გუნდს, რომელმაც ბოლო ექვსი თამაში წააგო. გენგამში საქმე ისე აეწყო, რომ მასპინძლები მეშვიდე მარცხსაც მიითვლიდნენ. სასჯელმოხდილმა რონალდინიომ ტაიმის შუაწელში ჩააბრაზილიურა და ანგარიში გახსნა. შესვენების შემდეგ მისივე მეცადინეობით ლერუამ სხვაობა ორამდე გაზარდა. აქ სტუმრებმა ქეიფი დასრულებულად ჩათვალეს, მაგრამ გენგამელები სწორედ მაშინ მოვიდნენ იშტაზე. ჯერ ორიოლ გიომმა თავით შეაგდო, რასაც დროგბას გამთანაბრებელი მოჰყვა. პსჟ-ს ქულის გადარჩენისთვის დასჭირდა ბრძოლა, თუმც ბოლო წუთზე ლეტიზიმ ისევ დიდიე დროგბას სუსტ დარტყმულს ვერაფერი მოუხერხა და მიჯრით ექვსი მარცხის კვალზე „გენგამმა" იმარჯვა. დაღრეჯილი ფერნანდესის სიფათი საშინელი სანახავი იყო.

გასულ ხუთშაბათს „ლივერპულთან" ნაჭიდავებმა „ოსერმა" „მონაკოს" საკადრისი წინააღმდეგობა ვერ შეჰკადრა. გი რუს ბიჭებს დაღლა ეტყობოდათ და მასპინძლებმა დაქანცული მეტოქე დებიუტშივე შეაჯანჯღარეს. დადო პარსომ თვრამეტიოდ მეტრიდან უზადოდ დაურტყა ფაბიუ კოლს და ტაიმიც ასე ცალგოლად მიილია. მეორე ნახევრის დასაწყისში ლუდოვიკ ჟიულიმ მეორედ ჩასცა მახვილი ოსერელებს, თუმც მარად საგოლედ მომართულმა ჯიბრილ სისემ მალე ერთი გაქვითა. ამის შემდეგ სტუმრებმა მატჩის ბედის სათავისოდ შებრუნება სცადეს, გოლი კი საკუთარ კარში მიიღეს. მონაკოელთა მეგოლემ შაბანი ნონდამ „ოსერის" ტანჯვა სეზონში თავისი მეცამეტე გოლით დაასრულა.

ჭირვეული ბალღივითაა ჩემპიონი „ლიონი". ხან მოიქუფრება და თამაშს ჩააგდებს, ხან გაილაღებს. ამჯერად ლიონელებს ვაჰიდ ჰალილჰოჩიჩის „რენი" შემოელახათ. სტუმრებს მთავარი მეკარე პეტერ ჩეხი არ ჰყავდათ, რომელიც მისმა მოადგილემ ერიკ დიურანმა შეცვალა და ოთხი გოლითაც დაასაჩუქრეს. საანგარიშოზე პირველად ჟუნინიომ ჩამოჰკრა. ბრაზილიელმა საჯარიმოს გარედან უძლიერესად დაჰკრა და იმ კუთხეში გაუტანა, რომელსაც მეკარე ვითომ იცავდა. ერთადერთი გოლი მასპინძელთა კარში გრეგორ კუპეს შემცვლელის შეცდომის გამო გავიდა. მერე კი პეგი ლუინდულამ და სიდნეი გოვუმ სხვაობა სამამდე გაზარდეს და „ლიონი" კვლავაც საჩემპიონო ბრძოლას დაუბრუნდა.

„ლანსმა" უიმედო „მონპელიე" ოთხი უპასუხო გოლით ხელდამშვენებული გაისტუმრა. უკვე მეათე წუთზე ანტუან სიბიერსკიმ დაახლოებით 25 მეტრიდან საგოლე დარტყმა შეასრულა, რასაც იქვე ტონი ვერელმა მეორე დაურთო და მასპინძლებმა პირველ ტაიმში ორი ცალი იკმარეს.

შესვენების შემდეგ ისედაც მისავათებულ „მონპელიეს" ფეხბურთელი გაუძევეს. კაცნაკლულ მეტოქესთან „ლანსმა" კიდევ ორჯერ იხეირა. დანიელ მორეირამ სამწუთიან მონაკვეთში დუბლი მიითვალა და მონპელიელთა გაცამტვერება იკისრა.

როგორც ჩანს, „ტრუა" დანებებას არ აპირებს, რადგან გასავარდნ ზონაში ფეხგარეულმა გუნდმა ზედიზედ ორი მატჩი მოიგო და ექვსი ქულით გამდიდრდა. ყმაწვილმა ბენ აშურმა შეხვედრის დასაწყისშივე გაიტანა. ეს ანგარიში ტრუელებმა თამაშის ბოლომდე შეინარჩუნეს და მეორე გამარჯვებით გაახარეს.

| 04.30 | 780 | ნიუ იორკი-ჰიუსტონი | 1,8 | 12,0 | 1,8 | 1,56 | 1 | 1,56 |
| 05.30 | 781 | სან ანტონიო-მაიამი | 1,07 | 12,0 | 5,6 | 1 | 1 | 3,81 |
| 07.00 | 782 | პორტლენდი-ატლანტა | 1,1 | 12,0 | 5,0 | 1 | 1 | 3,52 |
| 07.00 | 783 | საკრამენტო-დეტროიტი | 1,3 | 12,0 | 2,8 | 1,17 | 1 | 2,27 |
| 07.30 | 784 | ლეიკერსი-კლიპერსი | 1,1 | 12,0 | 4,4 | 1 | 1 | 3.21 |

**შემდეგ ეტაპზე გასვლა**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **27 თებერვალი** | | |
| 21.30 | 2701 | ბეშიქთაში-სლავია | 1.8 | 1,8 |
| 22.00 | 2702 | აეკ-მალაგა | 1,7 | 1,9 |
| 22.30 | 2703 | შტუტგარტი-სელტიკი | 2,9 | 1,25 |
| 23.00 | 2704 | დენიზლი-პორტუ | 99,0 | — |
| 23.30 | 2705 | ანდერლეხტი-პანათინაიკოსი | 6,0 | 1,05 |
| 23.45 | 2706 | ვისლა-ლაციო | 1,5 | 2,1 |
| 00.05 | 2707 | ლივერპული-ოსერი | 1,03 | 5,6 |
| 00.30 | 2708 | ბოავიშტა-ჰერტა | 2,2 | 1,5 |

**ტურში გატანილი გოლების რაოდენობა**

01.03 18.30 2601 გერმანია ბლ. (XXIII ტური)
25 ან ნაკლები – 1,9, 27 ან მეტი – 1,9
01.03 21.00 2603 იტალია "A" (XXIII ტური)
23 ან ნაკლები – 1,9, 25 ან მეტი – 1,9
01.03 22.00 2604 ესპანეთი Iდ. (XXIV ტური)
25 ან ნაკლები – 1,9, 27 ან მეტი – 1,9
28.02 23.30 2605 საფრანგეთი Iდ.(XXIX ტური)
22 ან ნაკლები – 1,9, 24 ან მეტი – 1,9
28.02 23.30 2607 ბელგია Iდ. (XXIV ტური)
26 ან ნაკლები – 1,9, 28 ან მეტი – 1,9
28.02 22.00 2608 თურქეთი (XXII ტური)
26 ან ნაკლები – 1,9, 28 ან მეტი – 1,9

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **25 თებერვალი** | | | | | | | | | |
| 21.00 | 2101 | ლოკომოტივი-მილანი | 6,0 | 10,0 | 20,0 | 7,5 | 4,6 | 3,8 | 20,0 | 10,0 | 2,8 |
| 23.45 | 2102 | დორტმუნდი-რეალი | 4,2 | 10,0 | 20,0 | 5,0 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 23.45 | 2103 | დეპორტივო-ბაზელი | 1,6 | 15,0 | 20,0 | 3,3 | 5,0 | 15,0 | 30,0 | 15.0 | 15,0 |
| 23.45 | 2104 | იუვენტუსი-მანჩესტერი | 3,1 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| | | **26 თებერვალი** | | | | | | | | | |
| 23.45 | 2105 | ინტერი-ბარსელონა | 2,9 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 23.45 | 2106 | ნიუკასლი-ლევერკუზ. | 1,7 | 15,0 | 30,0 | 3,3 | 4,8 | 12,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |
| 23.45 | 2107 | აიაქსი-არსენალი | 4,4 | 10,0 | 20,0 | 5,3 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,5 |
| 23.45 | 2108 | ვალენსია-რომა | 2,2 | 10,0 | 20,0 | 3,3 | 4,4 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| | | **27 თებერვალი** | | | | | | | | | |
| 21.30 | 2109 | ბეშიქთაში-სლავია | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 22.00 | 2110 | აეკ-მალაგა | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 22.30 | 2111 | შტუტგარტი-სელტიკი | 2,9 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 23.00 | 2112 | დენიზლი-პორტუ | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 23.30 | 2113 | ანდერლეხტი-პანათინ. | 2,9 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 23.45 | 2114 | ვისლა-ლაციო | 4,4 | 10,0 | 20,0 | 5.0 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| 00.05 | 2115 | ლივერპული-ოსერი | 2,3 | 10,0 | 20,0 | 3,3 | 4,4 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 00.30 | 2116 | ბოავიშტა-ჰერტა | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,2 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **I ტაიმის შედეგი** | | | | | | |
| | | **25 თებერვალი** | | | | | | |
| 21.00 | 2001 | ლოკომოტივი-მილანი | 4.4 | 2,1 | 2,35 | 1,42 | 1,53 | 1,1 |
| 23.45 | 2002 | დორტმუნდი-რეალი | 3,3 | 2,1 | 2,95 | 1,28 | 1,54 | 1,21 |
| 23.45 | 2003 | დეპორტივო-ბაზელი | 1,55 | 2.8 | 7.5 | 1 | 1.28 | 2.03 |
| 23.45 | 2004 | იუვენტუსი-მანჩესტერი | 2,45 | 2.05 | 4.2 | 1.11 | 1.54 | 1,37 |
| | | **26 თებერვალი** | | | | | | |
| 23.45 | 2005 | ინტერი-ბარსელონა | 2,4 | 2,1 | 4,2 | 1.12 | 1.52 | 1.4 |
| 23.45 | 2006 | ნიუკასლი-ლევერკუზენი | 1.65 | 2.6 | 6.5 | 1 | 1.31 | 1.85 |
| 23.45 | 2007 | აიაქსი-არსენალი | 3,4 | 2.1 | 2.8 | 1,29 | 1.53 | 1.19 |
| 23.45 | 2008 | ვალენსია-რომა | 2,0 | 2.15 | 6.0 | 1.03 | 1.5 | 1.58 |
| | | **27 თებერვალი** | | | | | | |
| 21.30 | 2009 | ბეშიქთაში-სლავია | 2,1 | 2.15 | 5,3 | 1.06 | 1,5 | 1.52 |
| 22.00 | 2010 | აეკ-მალაგა | 2,5 | 2,05 | 4,0 | 1,12 | 1.53 | 1.35 |
| 22.30 | 2011 | შტუტგარტი-სელტიკი | 2,4 | 2,05 | 4.4 | 1.1 | 1.55 | 1.39 |
| 23.00 | 2012 | დენიზლი-პორტუ | 2,7 | 2.1 | 3.5 | 1,18 | 1.52 | 1.31 |
| 23.30 | 2013 | ანდერლეხტი-პანათინაიკოსი | 2,35 | 2.1 | 4.4 | 1.1 | 1.53 | 1.42 |
| 23.45 | 2014 | ვისლა-ლაციო | 3.4 | 2,1 | 2,8 | 1.29 | 1.53 | 1.19 |
| 00.05 | 2015 | ლივერპული-ოსერი | 2.1 | 2,1 | 5.6 | 1,04 | 1.52 | 1.52 |
| 00.30 | 2016 | ბოავიშტა-ჰერტა | 2,8 | 2,1 | 3,4 | 1.19 | 1.53 | 1.29 |

**გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)**

| | | | კი | არა |
|---|---|---|---|---|
| | | **25 თებერვალი** | | |
| 21.00 | 2301 | ლოკომოტივი-მილანი | 1,75 | 1.85 |
| 23.45 | 2302 | დორტმუნდი-რეალი | 1,7 | 1.9 |
| 23.45 | 2303 | დეპორტივო-ბაზელი | 1,8 | 1.8 |
| 23.45 | 2304 | იუვენტუსი-მანჩესტერი | 1,7 | 1.9 |
| | | **26 თებერვალი** | | |
| 23.45 | 2305 | ინტერი-ბარსელონა | 1,65 | 1.95 |
| 23.45 | 2306 | ნიუკასლი-ლევერკუზენი | 1,7 | 1.9 |
| 23.45 | 2307 | აიაქსი-არსენალი | 1,7 | 1,9 |
| 23.45 | 2308 | ვალენსია-რომა | 1,75 | 1.85 |
| | | **27 თებერვალი** | | |
| 21.30 | 2309 | ბეშიქთაში-სლავია | 1,7 | 1,9 |
| 22.00 | 2310 | აეკ-მალაგა | 1,7 | 1,9 |
| 22.30 | 2311 | შტუტგარტი-სელტიკი | 1,7 | 1,9 |
| 23.00 | 2312 | დენიზლი-პორტუ | 1,65 | 1.95 |
| 23.30 | 2313 | ანდერლეხტი-პანათინაიკოსი | 1,7 | 1,9 |
| 23.45 | 2314 | ვისლა-ლაციო | 1,6 | 2.0 |
| 00.05 | 2315 | ლივერპული-ოსერი | 1,75 | 1,85 |
| 00.30 | 2316 | ბოავიშტა-ჰერტა | 1,7 | 1.9 |

**რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **25 თებერვალი** | | |
| 21.00 | 2201 | ლოკომოტივი-მილანი | 1,8 | 1,8 |
| 23.45 | 2202 | დორტმუნდი-რეალი | 1.85 | 1,75 |
| 23.45 | 2203 | დეპორტივო-ბაზელი | 2,0 | 1.6 |
| 23.45 | 2204 | იუვენტუსი-მანჩესტერი | 1,8 | 1.8 |
| | | **26 თებერვალი** | | |
| 23.45 | 2205 | ინტერი-ბარსელონა | 1.85 | 1.75 |
| 23.45 | 2206 | ნიუკასლი-ლევერკუზენი | 2.0 | 1.6 |
| 23.45 | 2207 | აიაქსი-არსენალი | 1.9 | 1.7 |
| 23.45 | 2208 | ვალენსია-რომა | 1,8 | 1.8 |
| | | **27 თებერვალი** | | |
| 21.30 | 2209 | ბეშიქთაში-სლავია | 1,8 | 1.8 |
| 22.00 | 2210 | აეკ-მალაგა | 1.8 | 1.8 |
| 22.30 | 2211 | შტუტგარტი-სელტიკი | 1.9 | 1,7 |
| 23.00 | 2212 | დენიზლი-პორტუ | 1.9 | 1.7 |
| 23.30 | 2213 | ანდერლეხტი-პანათინაიკოსი | 1,85 | 1.75 |
| 23.45 | 2214 | ვისლა-ლაციო | 1.9 | 1.7 |
| 00.05 | 2215 | ლივერპული-ოსერი | 1.8 | 1.8 |
| 00.30 | 2216 | ბოავიშტა-ჰერტა | 1.9 | 1.7 |

**რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს (მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **25 თებერვალი** | | |
| 21.00 | 2401 | ლოკომოტივი-მილანი | 2,3 | 1.65 |
| 23.45 | 2402 | დორტმუნდი-რეალი | 2.0 | 1,8 |
| 23.45 | 2403 | დეპორტივო-ბაზელი | 1,25 | 3.6 |
| 23.45 | 2404 | იუვენტუსი-მანჩესტერი | 1,75 | 2.1 |
| | | **26 თებერვალი** | | |
| 23.45 | 2405 | ინტერი-ბარსელონა | 1,7 | 2.2 |
| 23.45 | 2406 | ნიუკასლი-ლევერკუზენი | 1,3 | 3,4 |
| 23.45 | 2407 | აიაქსი-არსენალი | 2,0 | 1,8 |
| 23.45 | 2408 | ვალენსია-რომა | 1,5 | 2.6 |
| | | **27 თებერვალი** | | |
| 21.30 | 2409 | ბეშიქთაში-სლავია | 1,5 | 2,6 |
| 22.00 | 2410 | აეკ-მალაგა | 1,75 | 2.1 |
| 22.30 | 2411 | შტუტგარტი-სელტიკი | 1,7 | 2.2 |
| 23.00 | 2412 | დენიზლი-პორტუ | 1,8 | 2.0 |
| 23.30 | 2413 | ანდერლეხტი-პანათინაიკოსი | 1,7 | 2.2 |
| 23.45 | 2414 | ვისლა-ლაციო | 2,0 | 1.8 |
| 00.05 | 2415 | ლივერპული-ოსერი | 1,5 | 2.6 |
| 00.30 | 2416 | ბოავიშტა-ჰერტა | 1,85 | 1.95 |

**რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი**

| | | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|---|
| | | **25 თებერვალი** | | | |
| 21.00 | 2501 | ლოკომოტივი-მილანი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.45 | 2502 | დორტმუნდი-რეალი | 3,0 | 2,8 | 2.0 |
| 23.45 | 2503 | დეპორტივო-ბაზელი | 3,0 | 2.8 | 2.0 |
| 23.45 | 2504 | იუვენტუსი-მანჩესტერი | 3,0 | 2.8 | 2.0 |
| | | **26 თებერვალი** | | | |
| 23.45 | 2505 | ინტერი-ბარსელონა | 3.0 | 2,8 | 2,0 |
| 23.45 | 2506 | ნიუკასლი-ლევერკუზენი | 3.0 | 2,8 | 2.0 |
| 23.45 | 2507 | აიაქსი-არსენალი | 3.0 | 2,8 | 2,0 |
| 23.45 | 2508 | ვალენსია-რომა | 3.0 | 2,8 | 2,0 |
| | | **27 თებერვალი** | | | |
| 21.30 | 2509 | ბეშიქთაში-სლავია | 3,0 | 2,8 | 2.0 |
| 22.00 | 2510 | აეკ-მალაგა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 22.30 | 2511 | შტუტგარტი-სელტიკი | 3.0 | 2,8 | 2,0 |
| 23.00 | 2512 | დენიზლი-პორტუ | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.30 | 2513 | ანდერლეხტი-პანათინაიკოსი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 23.45 | 2514 | ვისლა-ლაციო | 3.0 | 2,8 | 2.0 |
| 00.05 | 2515 | ლივერპული-ოსერი | 3,0 | 2,8 | 2.0 |
| 00.30 | 2516 | ბოავიშტა-ჰერტა | 3,0 | 2,8 | 2,0 |

ევროპის ერთა თასი. მეორე ტური

# საქართველო 34:3 ესპანეთი

22 თებერვალი. თბილისი. «ეროვნული»

| საქართველო | ესპანეთი |
|---|---|
| ხეხელაშვილი, ურჯუკაშვილი (ელიზბარაშვილი), ზიბზიბაძე (გუნდიშვილი), ი. გიორგაძე, კაცაძე (გორგოძე), ჯიმშელაძე, კვირიკაშვილი; შველიძე (რატიანიძე), ა. გიორგაძე (ხინჩაგაშვილი), ნიკოლენკო, დიდებულიძე (მჭედლიშვილი), მათიაშვილი, ბოლღაშვილი, იაშვილი, ზედგინიძე (კაპ) | ველასკო, ნავა (ფეიხუ), ლუბსენსი (დიესი), ენსისო (კაპ), კასკარა (ფრეჩილია), კოვალენკო, ბელტრანი; ხ. სალასარი, მონრეალი (რიპოლი), ორტეგა (მელა), დე ლა მაცა, აბრილი (სოუტო), რ. სალასარი (კრიადო), მატა, ტუინიუ |
| **6 ლ: ნიკოლაენკო, ურჯუკაშვილი, ხეხელაშვილი, იაშვილი, გუნდიშვილი; 3 გ: ჯიმშელაძე; 1 ს: ჯიმშელაძე** | **1 ს: კასკარა** |

გაფრთხილება: შველიძე; მსაჯები: გარეს დოილი, პოლ იკინი, ალენ მაკდაუელი (ირლანდია)



ბადრი კოთოლაძის ფოტო

ბორჯღალოსანთა კაპიტანმა ილია ზედგინიძემ ესპანელი დამცველები გაითრია

# ესპანელებს ჰქონდათ შანსი: თოვლის ბაბუებთან

**ირაკლი ფირაშვილი**

ახლა უფრო გვევითლდება, ჩვენს თავს გამოვუტყდეთ, რომ პორტუგალიაში მარცხმა გვარიანად დაგვაფრთხო. საიდანაც გამოტყვრა მწვალებელი აქვთ და ბორჯღალოსანთა მიმართ ჩვენს ნდობას შეუჩნდა. ნუთუ აუტსაიდერ პორტუგალიასთან წაგება ჩვენი ბიჭების თამაშის ხარისხის ობიექტური მაჩვენებელი იყო? დღეს პორტუგალიასთან დავეცით, რა გველის ხვალ?

ინ გამარჯვება გველოდა. მადლობა ბორჯღალოსნებს, რომლებმაც ყველაფერი თავის ადგილზე დააყენეს. უფრო დიდი მადლობა ესპანელებს, რომლებიც დაგვეხმარნენ ქართული რაგბის ადგილის პოვნაში.

...ამ ესპანეთის მხილველის თასზე მოხვედრა უნდა? რა თავხედობაა...

პირველი ქულები მატჩის მეორე ტაიმის ხალდაც შუაში მოიპოვა ესპანელთა მარცხენა გარემარბმა ხაიმე ნავამ როგორც იქნა გაიტანა საჯარიმო. პირინელთა უკიდეგანო ამბიციების ამბავი რომ არ გვცოდნოდა, ვიფიქრებდით, ამათ შეუბით უნდა ამოთხუთქონ,

0-ზე რომ არ გაიყინნენ-თქო. „ეროვნულის" თოვლიან ტალახში ამოგანგლული ესპანელები, შესაძლოა, კიდევ ფიქრობდნენ რაიმე ხერხიანის შექმნაზე, თუნდაც ერთი ლელოს გატანაზე და იმ თოვლ-ჭყაპიდან ღირსეულად გამოსვლაზე, მაგრამ არაფერი გამოსდიოდათ. ბორჯღალოსნებს აკლდათ რამდენიმე წამყვანი მოთამაშე (ცაბაძე, ლაბაძე, ხამაშურიძე, ნადირაძე, აბუსერიძე), მაგრამ ქართული რაგბი მეორე კი არა მესამე შემადგენლობითაც, რომ დამდგარიყო ესპანელების პირისპირ, ალბათ მაშინაც გადასძლევდა ამ უფხო გუნდს.

ესპანელებს ეყოთ ტაქტი და თავიანთი უსუსურობა მოლიპული „ეროვნულისთვის" არ გადაებრალებიათ, ყოველ შემთხვევაში, ჩვენს გასაგონად არაფერი უთქვამთ, თორემ შინ ნასულებმა იქნებ უხეირო მოედნითაც იმართლონ თავი. სათამაშო პირობები მართლაც მძიმე იყო. იმ ღამეს ცამ პირი მოხსნა და თეთრად დაფარა მანამდე აქა-იქ მწვანე „ეროვნულის" მიწა. თოვლი იმდენი მოვიდა, რომ თამაშის წინ რის ვაი-ვაგლახით გამოხვეტილმა მოედნის გარშემო ბარე მეტრიანი თეთრი ნაცრისფერი ზღუდე აღმართა. ბორჯღალოსნებმა არაერთხელ ჩააყოფინეს თავი ესპანელ „ლომებს" ამ თოვლყინულში. მოედანზე კი, რომელიც ქართველებისთვისაც ისევე მოლიპული იყო, როგორც ესპანელებისთვის, ჩვენმა შერკინებამ, ძირითადი თუ ახალბედა მოთამაშეებით, ერთუულ კი არა ათეულობით მეტრზე ათრია მჭლე ესპანელი ფორვარდები.

მთელი 80 წუთის განმავლობაში ესპანელებს პრაქტიკულად ერთხელაც არ შეუქმნიათ ხალელიკე ხიფათი. ისინი თავად უშვებდნენ ლელოებს, აცლუბდნენ საჯარიმოებს, აქცევდნენ შერკინებას, იხევდნენ მოლში და აგებდნენ ღერეფნებს. მათ არ ჰქონიათ ამ თამაშის მოგების მისხალი შანსიც კი. ალბათ მაშინ დატოვებდნენ „ეროვნულს" გამარჯვებულები, თუკი მოედნიდან გამოხვეტილი თოვლისგან თოვლის ბაბუებს გააკეთებდით და ბორჯღალიან მაისურამოცმულებს ესპანელებს მეტოქეებად დაუყენებდით...

საინტერესოა, რამდენი ქულით წააგებს ჩვენთან 3:34 დამარცხებული ესპანეთი პორტუგალიაში?

# პორტუგალია მრგვალი ბურთით თამაშობს?!

**პორტუგალია 16:15 რუმინეთი**

22 თებერვალი. ლისაბონი „ნასიონალი"

პორტუგალია აღარ ხუმრობს. მაჩანჩალა ეძახე და, საქართველოს შემდეგ ერთა თასის მეორე ფავორიტიც, რუმინეთიც იმსხვერპლა და ახლა თვითონ ლიდერობს ცხრილს.

მომდევნო ორ მატჩს, ჩეხეთთან და ესპანეთთან, პორტუგალია შინ გამართავს. ბოლო ტურში „ლობოსები" რუსეთს სტუმრობენ. დიდი შანსია, ასეთი გახრიგით პორტუგალიამ ერთა თასი მოიგოს. მით უმეტეს, რუმინეთსა და საქართველოს თითო მარცხი უკვე აქვთ, რუსეთი კი ამათგან რომელიმესთან უეჭველად წაიფორხილებს.

ბორჯღალოსნებისა არ იყოს, რუმინელებიც ზურგით მიუკიდნენ ამ მატჩს. წესით და რიგით, შეხვედრა რუმინეთში უნდა გამართულიყო, მაგრამ საფრანგეთში შეკრებაზე მყოფმა კარპატელებმა პორტუგალიელებს შეუთვალეს, რადგან თქვენთან ახლოს ვართ, გვირჩევნია, ლისაბონში ჩამოვიდეთ და მანდ ვითამაშოთო. პორტუგალიელები, ცხადია, სიხარულით დათანხმდნენ, ერთი რომ, გვარიანი ფული ეზოგებოდათ, მეორეც შანსებიც ერთი-ორად ეზრდებოდათ. მერე ისიც იყო, რომ რუმინელთა ფრანგმა მწვრთნელმა ბერნარ შარეირმა ხუთი ახალბედა ათამაშა და რაც მოიგო, ყველამ ნახა.

ტაიმი რუმინეთმა 5:3 მოიგო, მაგრამ მეორე ნახევარში რუმინელთა ლელო-გარდასახვა-საჯარიმოს მასპინძლებმა ნუნუ გარვაოს ლელოთი, გონსალო მორეირუს გარდასახვა-საჯარიმოთი და მარტინ ტომეს არეკნით უპასუხეს და მათთვის ისტორიულ გამარჯვებასაც მიაღწიეს.

| ევროპის ერთა თასი 2003 | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუგალია | 2 | 2 | 0 | 0 | +5 | 4 |
| რუსეთი | 1 | 1 | 0 | 0 | +33 | 2 |
| საქართველო | 2 | 1 | 0 | 1 | +27 | 2 |
| რუმინეთი | 1 | 0 | 0 | 1 | -1 | 0 |
| ესპანეთი | 2 | 0 | 0 | 2 | -64 | 0 |
| ჩეხეთი | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |

**მესამე ტური**

8 მარტი

**რუსეთი — საქართველო**

**ესპანეთი — რუმინეთი**

9 მარტი

**პორტუგალია — ჩეხეთი**

## ექვსი ერი 2003

# სამი ერის ტური

## ვარდების განავარდება ჰემფრიზის ვუვ

ფრ...

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 1 მარტი | | | | | | |
| 17.25 | 247 | ბანიკი-სპარტა | 2,9 | 3,1 | 2,35 | 1,49 | 1,29 | 1,33 |
| | | 2 მარტი | | | | | | |
| 13.15 | 248 | ქოკორი-პ.კრალოვე | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| | 249 | ქოკორი-პ.კრალოვე 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,6 | | | |
| 17.30 | 250 | იაბლონეცი-ზლინი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 17.30 | 251 | ბლშანი-სიგმა | 1,85 | 3,2 | 4,0 | 1,17 | 1,26 | 1,77 |
| 17.30 | 252 | სინოტი-ლიბერეცი | 2,5 | 3,1 | 2,6 | 1,38 | 1,27 | 1,41 |
| 17.30 | 253 | ბუდეიოვიცე-ტეპლიცე | 2,6 | 3,1 | 2,5 | 1,41 | 1,27 | 1,38 |
| 19.30 | 254 | ბრნო-ბოჰემიანსი | 1,8 | 3,2 | 4,2 | 1,15 | 1,26 | 1,81 |
| | | 3 მარტი | | | | | | |
| 19.40 | 255 | სლავია-პრჟიბრამი | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 256 | სლავია-პრჟიბრამი 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | | |
| | | თურქეთი. XXII ტური | | | | | | |
| | | 28 თებერვალი | | | | | | |
| 22.00 | 257 | ფენერბაჰჩე-მალატია | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 258 | ფენერბაჰჩე-მალატია 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | | |
| | | 1 მარტი | | | | | | |
| 15.30 | 259 | ბურსა-ისთანბული | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 15.30 | 260 | ალთაი-გაზიანთეფი | 2,7 | 3,2 | 2,4 | 1,46 | 1,27 | 1,37 |
| 15.30 | 261 | გენჩლერბირლიგი-ტრაბზონი | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |

**იტალია:** ... **ირლანდი...** ... **რიზო; 2** ...

ირლანდ... ცხრილს. ... ბული სერ... ელებმა 6 ... იტალი... სკოლმა, რ... რველესი ... ლიდერმა ... ამი პირვე...

**უელსი: 3** ... **ინგლისი:** ... **უილკინს...**

ციურიხის სარეიტინგო ბიურო ინგლისელებს 29 ქულით გამარჯვებას უწინასწარმეტყველებდა. ინგლისელები ამხელა სხვაობით მოიგებდნენ კიდეც, რომ არა უელსელთა თავგამოდებით თამაში. არადა, მასპინძლები ლამის განახევრებული გუნდით თამაშობდნენ, ძირითადი მორაგბეები ტრავმირებულები ჰყავდათ.

ისე, მაინცდამაინც არც ინგლისელებს გამოუდვიათ თავი. „ვარდებმა" პირველივე ტაიმში მოიპოვეს სოლიდური უპირატესობა და მატჩის ბოლომდე ხელიდან აღარ გაუშვიათ.

შთამბეჭდავი გამარჯვების შემდეგ სტუმრებს ხასიათი მაინც წაუხდათ. ინგლისელებს დაუშავდათ ჯეელი ლიდერი ჯონი უილკინსონი, რომელიც ამ მატჩის საუკეთესო მოთამაშე იყო. ვარაუდობენ, რომ უილკინსონი ორი კვირით გამოაკლდება მისიანებს.

## საფრანგეთი 38:3 შოტლანდია

23 თებერვალი. პარიზი. „სტად დე ფრანს"

**საფრანგეთი: 4 ლ: პელუ, პოიტრენუ, ტრაილე, რუჟერი; 3 გ: გელესი; 4 ს: გელესი**
**შოტლანდია: 1 ს: პატერსონი**

მატჩის გმირი ფრანგთა ახალწვეული, 24 წლის ფრანკო გელესი გახდა. „აჟანის" დამრტყმელი წინა ტურში ინგლისთან ჩაფლავებულ ჟერალ მერსერონს ცვლიდა და ვინძლო ექვსი ერის ბოლომდე მერსერონს სათადარიგოთა სკამი აჩეხინოს. ფრანგთა მიერ გატანილი 4 ლელოდან გელესმა სამში დაიდო წილი, ამათგან ტრაილეს ლელო კი არსაიდან შექმნა. „გელესი შეუდარებელი იყო, მან და ფაბიენ გალტიემ შოტლანდიელებს თავგზა აუბნიეს. გელესის სახით საფრანგეთს მსოფლიოს დონის ვარსკვლავი ეზრდება" — საქებარ სიტყვებს არ იშურებდა ფრანგთა მწვრთნელი ბერნარ ლაპორტი.

| ექვსი ერი 2003 | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ირლანდია | 2 | 2 | 0 | 0 | +54 | 4 |
| ინგლისი | 2 | 2 | 0 | 0 | +25 | 4 |
| საფრანგეთი | 2 | 1 | 0 | 1 | +27 | 2 |
| იტალია | 2 | 1 | 0 | 1 | -16 | 2 |
| უელსი | 2 | 0 | 0 | 2 | -25 | 0 |
| შოტლანდია | 2 | 0 | 0 | 2 | -65 | 0 |

**მესამე ტური**

8 მარტი

**შოტლანდია — უელსი**

**ირლანდია — საფრანგეთი**

9 მარტი

**ინგლისი — იტალია**



ფრანკო გელესი

# მატჩის შემდეგ



**კლოდ სორელი** *საქართველოს ნაკრების მწვრთნელი:* დღევანდელი მატჩით კმაყოფილი ვარ. ბიჭებმა კარგად ითამაშეს, განსაკუთრებით ახალბედებმა. გამოვარჩევდი მერაბ კვირიკაშვილს, ზვიად მათიაშვილსა და ირაკლი გუნდიშვილს. გიორგი ელიზბარაშვილი დაცვაში კი შეცდა, მაგრამ იგი ძალიან პერსპექტიულია და მისგან ბევრს ველი. 8 მარტს რუსეთთან გასამართი მატჩისთვის საქართველოში მოვემზადებით. აქედანვე ვერ ვიტყვი, იქნება თუ არა ექსპერიმენტები, ეს იმაზეა დამოკიდებული, ვინ იქნება მწყობრში. რუსებთან დავკვმატებიან ლაბაძე, აბუსერიძე და სადირაძე, ხამაშურიძის საკითხი ჯერჯერობით გაურკვეველია.

**პატრიკ ფორი** *საქართველოს ნაკრების მწვრთნელის თანაშემწე:* ახალგაზრდების მეც კმაყოფილი ვარ. შეტევაში ცოტა გვიჭირდა გადაწყობა, სამაგიეროდ, დაცვაში ვიმოქმედეთ რიგიანად და ბურთიან მეტოქეს ორგანიზებულად ვაჩერებდით. პორტუგალიასთან მატჩში კი ამის გაკეთება გვიჭირდა.

**ალვარ ენსისო** *ესპანეთის ნაკრების კაპიტანი:* ქართველებთან თამაში ყოველთვის ჭირს. მით უმეტეს, ასეთ მოედანზე. დღეს ჩვენმა მეტოქემ ღირსეულად მოგვიგო, რაშიც მას გულშემატკივარიც დაეხმარა.



**პიერ პერესი** *ესპანეთის ნაკრების მწვრთნელი:* ქართველებთან შეხვედრამ ბევრი რამ დამანახა. უპირველეს ყოვლისა, რამდენიმე ჩემიანში დავინახე ბრძოლისა და გამარჯვების სურვილი. მეცოდინება, ვის უნდა ვენდო და ვის არა. საქართველო დღეს ძლიერი იყო და ღირსეულად გაიმარჯვა. ჩვენ არანაირი შანსი არ გვქონდა.

## საქართველოს ჩემპიონატი

# აზოტის ორმაგი ვირუსი: გრიპი და პერსონალურები


რეზო ჩხეიძე

ირაკლი პერტაია

**საკვირაო** თბილისურ მატჩებში ერთმანეთს დაახლოებით თანაბარძალიანი გუნდები ხვდებოდნენ და ბრძოლებიც, წესით, დაძაბული უნდა გამომდგარიყო. რა გითხრათ, დაძაბულობა იყო, მაგრამ... წამალივით მცირე.

ამ წყეულმა გრიპმა კალათბურთსაც დარია ხელი. კვირას ვერის ბაღში ნაბურთავები ოთხი გუნდიდან ორს, „აკადემიასა" და „აზოტს", ვირუსმა ლიდერები დაუსუსტა. აკადემიელებმა სამქულიანების ოსტატი ბესიკ ლეჟავა მოისაკლისეს თავისდარად სუსტ მეტოქესთან, სსუ-სთან მატჩში, ახალმომჯობინებულმა რუსთაველთა ყოჩმა რამაზ გოგობერიშვილმა კი ითამაშა (მეორე ტაიმში შევიდა მოედანზე), მაგრამ ვერაგი ვირუსისგან ისე იყო გათანგული, ვერაფერი ავნო დინამოელებს.

არადა, საქართველოს თასზე „აზოტმა" სულ ახლახან დაამარცხა „დინამო". თბილისელებმა მას მერე ორი მეფარე, ნაოპერაციევი იოვან სიროვინა და დისკვალიფიცირებული ტომას ვენსკუნასი მოისაკლისეს. ამის მიუხედავად, თბილისელებს რევანშის გარდა არაფრის გაგონება არ სურდათ.

დინამოელებს საამატჩოდ ვაჟა მხეიძე თავკაცობდა. მან შეგირდებს ყოფილი მათიანის, ირაკლი ჯაფარიძის გაუვნებლება პირველ საქმედ დაუსახა, კონკრეტულად კი მას დარაჯად კამერუნელი აჰმედ მუპე დაუყენა. ზანგს არად ულირდა შეტევა, ის ჯაფარიძეს საკუთარი გუნდის ფარქვეშეთში არ უშვებდა, თუმც აზოტელთა ცენტრი ლიფსო-სროლებით ხანგამოშვებით მაინც ლაშქრავდა დინამოელთა კალათს. ჯაფარიძეზე უკეთ ირჯებოდა თბილისელთა უკანახაზელი ირაკლი ხოშტარია, რომელიც ჩვეული სწრაფი გარღვევებით ბარაქიანად იხვეჭდა ქულებს და „დინამოს" საპირველმეოთხედო ლიდერობაც დაუბევა — 20:10.

დინამოელთა შესაჩერებლად რუსთაველები ხშირად ჯარიმას იყენებდნენ, რამაც მოგვიანებით გამოიღო უკუშედეგი, მატჩის დასკვნით ნაწილში „აზოტი" წამყვანი მოთამაშეების გარეშე დარჩა, თუმც სანამ მოედანს დატოვებდნენ, კოკოლიშვილმა, ბერუაშვილმა და ჯაფარიძემ მაქსიმუმი გაიღეს და დაწინაურებული „დინამო" პირველი ტაიმის მიწურულს ერთხანს ჩამორჩა, თუმც მხოლოდ რამდენიმე წამით.

რუსთაველთა გალიდერებაში ლომის წილი დაიდო ყოფილმა დინამოელმა არჩილ ქლენტმა, რომელიც კონტრშეტევებითა და შორი სროლებით „ჰკბენდა" ყოფილ თანაგუნდელებს.

დინამოელთა ლიდერობა ტაიმთშორის ოდენ ორ ქულას შეადგენდა და მოედანზე რამაზ გოგობერიშვილს თითქოს სიმწვავე-დაძაბულობა უნდა შეემატებინა მატჩისთვის, მაგრამ ყველაფერი პირიქით კი მოხდა. „აზოტის" მწვრთნელ ოთარ ხმელიძის მატჩამდელი განცხადებით, გოგობერიშვილს სიცხე ჰქონდა და მისი თამაში მატჩის ბოლოს თუ იყო შესაძლებელი. რამაზს მართლაც ეტყობოდა სისუსტე, ის თამაშში სათანადოდ ვერ ჩაერთო, რითაც თბილისელებმა მყის ისარგებლეს და ორქულიანი ლიდერობა თვრამეტქულიანად აქციეს.

ამხელა დეფიციტის აღმოფხვრა ისედაც არარეალური იყო და როცა საბოლომეოთხედო სადავო გდებისას რუსთაველმა ირაკლი ჯაფარიძემ მე-5 პერსონალური მიიღო, აზოტელთათვის ყველაფერი დასრულდა... რუსთაველებმა მაინც გამოავლინეს დიდი ჟინი, ჯაფარიძის, კოკოლიშვილისა და ბერუაშვილის გარეშეც მოახერხეს ბოლო მეოთხედის მოგება და განადგურებას გადაურჩნენ — 86:98.

სუსტების მატჩში კი სსუ-მ მესამე მეოთხედში გატეხა აკადემიელები და ცხრილში კონკურენტ „ქუთაისს" გაუსწრო.

23 თებერვალი. ვერის ბაღი

**სსუ 78:65 აკადემია**

20:13, 13:26, 24:12, 21:14

**სსუ:** კანკია (12), სორდია (9), ბარბაქაძე (2), ურიდია, აბულაძე (31); ჩიტაშვილი (2), ლუკავა, კვაჭაძე (19), მურჯიკნელი (1), ქვილითაია (2)

**აკადემია:** გამყრელიძე (10), საყვარელიძე (23), ჩხატარაშვილი (11), ვ. სანიკიძე (11), ჯანეზაშვილი (6); ბექაური (2), ათანელაშვილი (2)

**მსაჯები:** ზურაბ აბაშიძე, ხათუნა გაბედავა

**კომისარი:** თენგიზ ქიქოძე

**დინამო 98:86 აზოტი**

20:10, 20:28, 31:15, 27:33

**დინამო:** თორთლაძე (16), ხოშტარია (16), ბეჟანიშვილი (13), ჩუბინიძე, ოგანესიანი (8); აბრამიძე (10), ნაცვლიშვილი, მინაშვილი (23), მუპე (3), ჩხეიძე (2), ნინიაშვილი (7)

**აზოტი:** ა. ქლენტი (23), გაბისონია (8), არწივიძე (6), ბერუაშვილი (13), ჯაფარიძე (13); ტყეშელაშვილი (4), ჩაჩუა (4), მაჭარაძე (3), გოგობერიშვილი, კოკოლიშვილი (12)

**მსაჯები:** დავით ბერეკაშვილი, ზაზა მაჩალაძე

**კომისარი:** მურმან ქურიძე

23 თებერვალი. ბათუმი

**ბასკო 129:58 მაკაბი**

29:14, 33:16, 34:13, 33:15

**ბასკო:** დ. ბერიშვილი (20), წოწელია (14), ნიკოლაძე (14), ცინცაძე (22), შენგელია (12), როდუმტა (8), ბებიაშვილი (13), კუიდია (10), კეშელავა (16)

**მაკაბი:** ი. ბერიშვილი (10), ერგემლიძე (5), ბადურაშვილი (2), ნინოშვილი (5), ანდღულაძე (2), ვაშაკიძე (4), ფიცხელაური (4), კონჯარია (5), სუხიშვილი (17), ტატუნაშვილი (4)

**მსაჯები:** მაკა კუპატაძე, დავით მაჭავარიანი

**კომისარი:** როლანდ ხომერიკი

**პირველ წრეში** დაწყებული თსუ-ს წაუგებელი სერია გუშინ „დინამომ" დაასრულა. სახელმწიფო უნივერსიტეტელებმა აქამდე ტურნირის ყველა მონაწილე გუნდი მიჯრით მაიწვინეს და არც გუშინდელი მატჩი უნდა წაეგოთ, მაგრამ, ასე ვთქვათ, დინამოელთა ტაქტიკურად გამართულმა თამაშმა გელა წულაძის გუნდს წაგების გემო გაახსენა.

დებიუტში ვიცე-ჩემპიონები დაწინაურდნენ. ირაკლი ხოშტარიას კონტრშეტევებსა და არმენ ოგანესიანის ფარქვეშ ყოჩაღ თამაშს სტუდენტები ვერაფერს უპირისპირებდნენ. მაგრამ თსუ-მ მალე მოუნახა დინამოელებს სუსტი წერტილი — მოშიშვლებული პერიმეტრი. უკვე ვეტერანი, თუმც ძველებურად მიზანში ზუსტად მსროლელი მამუკა ტურაშვილი შანს ხელიდან არ უშვებდა და შორი დისტანციიდან თსუ-ს ქულებს იხვეჭდა.

ტურაშვილი ხასიათის მოთამაშეა, თუ სროლები წაუვიდა, ბოლომდე გაჰყვება იმტა და ყოჩაღი მეურვე რომ არ გამოუჩნდეს, მეტოქე მისგან კარგს არაფერს უნდა ელოდეს. ხოშტარია შეტევაზე უფრო ფიქრობდა, ახალგაზრდა გიორგი მარკოიშვილმა კი ვერ შეძლო ტურაშვილის შეჩერება. რაკი ზურგიდან იმედი მოეცათ, თსუ-ს მეფარეებიც ათამაშდნენ, საშუალო დისტანციასთან ერთად ფარქვეშიდანაც ხშირად ხეირობდნენ და მათი თსუ ნაღდაგ ლიდერობდა.

მწარე რეალობით იყო ნაკარნახევი მოედანზე დინამოელი რევაზ ჩხეიძის გამოჩენა. „ჩხიროს" პერსონალური დაცვა კარგად ეხერხება, ტურაშვილის გაუვნებლობაც მისი დამსახურებაა. ჩხეიძესთან ერთად დინამოელთა თავკაცმა, დისკვალიფიკაციამოხდილმა ლევან მოსეშვილმა მოედანზე ვახტანგ მინაშვილიც შეუშვა, რომელმაც აშკარად გაამყარა მისი გუნდის მიერ ფარქვეშეთში დათმობილი პოზიციები. ყველაფერმა ამან ის შედეგი გამოიღო, რომ „დინამომ" მესამე მეოთხედი 38:21 მოიგო და ბოლო ათწუთეულს წინ 15-ქულიანი ლიდერობა დაიბევა...

**სატურნირო ვითარება**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 19 | 16 | 3 | + 387 | 35 |
| სტუ-ჯეოსელი | 19 | 16 | 3 | + 442 | 35 |
| ბასკო | 19 | 14 | 5 | + 440 | 33 |
| თსუ | 18 | 13 | 5 | + 99 | 31 |
| აზოტი | 18 | 10 | 8 | + 43 | 28 |
| მაკაბი | 20 | 6 | 14 | - 47 | 26 |
| სსუ | 18 | 5 | 13 | - 333 | 23 |
| ქუთაისი | 19 | 4 | 15 | - 304 | 23 |
| აკადემია | 20 | 1 | 19 | - 297 | 21 |

24 თებერვალი. ვერის ბაღი

**აკადემია 71:96 სტუ**

12:26, 17:18, 22:22, 20:30

**აკადემია:** გამყრელიძე (8), ლეჟავა (6), ჩხატარაშვილი (16), ათანელაშვილი (10), ჯანეზაშვილი (4); ბექაური (21), გიორგობიანი (6)

**სტუ:** ტულუში (13), ლაფანაშვილი (11), დავითულიანი (10), ბ. ნოზაძე (3), მუშკუდიანი (8); გაგნიძე (19), ლოსაბერიძე (5), ტუჯანი (17), ახალკაცი (10)

**მსაჯები:** ზურაბ აბაშიძე, ლიკა ქაჯაია

**კომისარი:** როლანდ გელოვანი

**თსუ 92:99 დინამო**

27:21, 19:23, 21:38, 25:16

**თსუ:** მაისურაძე (6), ტურაშვილი (27), ბ. ბერიშვილი (6), ორმოცაძე (21), კილაძე (14); არსიაშვილი (4), ვეფხვაძე (5), ზ. სანიკიძე (3), მიქაძე (6), კორძაძე

**დინამო:** თორთლაძე (17), ხოშტარია (19), მარკოიშვილი, მუპე (2), ოგანესიანი (8); აბრამიძე (6), ბეჟანიშვილი (3), ჩუბინიძე (8), რ. ჩხეიძე (14), ნინიაშვილი (6), მინაშვილი (16)

**მსაჯები:** ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი

**კომისარი:** მურმან ქურიძე

24 თებერვალი. ბათუმი

**ქუთაისი 71:103 მაკაბი**

19:18, 22:23, 12:32, 18:30

**ქუთაისი:** კვიმსაძე (11), პირტახია (19), ბოლქვაძე (21), იმნაძე (6), ვ. მაისურაძე (3); დარახველიძე (3), შიელაძე (8)

**მაკაბი:** ი. ბერიშვილი (33), სუხიშვილი (22), ანდღულაძე (19), ნინოშვილი (10), კონჯარია (9); ვაშაკიძე (4), ფიცხელაური (4), ერგემლიძე (2)

**მსაჯები:** მაკა კუპატაძე, დავით მაჭავარიანი

**კომისარი:** როლანდ ხომერიკი

## NBA რეგულარული ჩემპიონატი



REUTERS ფოტოქრონიკა

ჯორდანი ორმოცი წლისაც შეუჩერებელია

# ორმოცის ჯორდანის 43

22 თებერვალი

**მაიამი 100:90 ჩიკაგო**

**მაიამი:** ბესტი (21), ჯონსი (23), რ. ბატლერი (8), ალენი (22), გრანტი (12 ქულა, 12 მოხსნა); მარქსი (6), ჯეიმსი (4), ჰაუსი (4), **სტეფანია** (13 წუთი, 0 ქულა, 3 მოხსნა)

**ჩიკაგო:** უილიამსი (3), როუზი (31), ჰასელი, მარშალი (6), ჩანდლერი (9 ქულა, 12 მოხსნა); კარი (26), კროუფორდი (9), ჰოიბერგი (4), ბაქსტერი (2), მეისონი

22 თებერვალი

**იუტა 99:89 დენვერი**

**იუტა:** სტოქტონი (11), ჩინი (15), ჰარპრინგი (14), მელოუნი (20 ქულა, 10 პასი, 7 მოხსნა), ოსტერტაგი (2); პადჯეტი (11), კირილენკო (9), ჯექსონი (9), ამიჩი (4), მასენბურგი (2), აროიო (2)

**დენვერი:** ჰარინგტონი (16), იარბრო (6), ბოუენი, ჰოვარდი (20 ქულა, 10 მოხსნა), ილარიო (4); ანდერსენი (15), უილიამსი (13), კემბი (8), ჰარვი (5), **ცქიტიშვილი** (12 წუთი, 2 ქულა, 1 მოხსნა, 1 პასი)

ქართველების გუნდებზე აუგი არ გვეთქმის. მათ რიგიანად იბურთავეს ამ უქმეებზე, „მაიამიმ" შინ „ჩიკაგო" დასცა, ხოლო „დენვერი" ღირსეულად დამარცხდა სოლტ ლეიკ სიტიში „იუტასთან". ჩვენ ის ვთქვათ, თავიანთი გუნდების სოლიდურ თამაშში რა წვლილი მიუძღვით ჩვენებურებს — დენვერელი ნიკა ცქიტიშვილის 12 წუთში 2 ქულა და მაიამელი ვოვა სტეფანიას 13 უქულო წუთი სულაც არაა საამაყო შედეგები გახუნებული ერისთვის, რომელსაც ამხელა ნბა-ში ორი ქართველის ყოლა დაეტრაბახება.

„ლეიკერსთან" 17-ქულიანი თამაშის შემდეგ ცქიტიშვილი გამალებით დასდევს ნბა-ში გამეფებულ გიჟურ სათამაშო რიტმს, მაგრამ ერთხელაც ვერ დაიჭირა. 213-სანტიმეტრიან წერწეტა ქართველს „დენვერში" გამოკვეთილი ფუნქცია აქვს, დაუნანებლად ესროლოს ბურთები და დააგროვოს რაც შეიძლება მეტი ქულა, ყოველ შემთხვევაში, ისწავლოს ქულების დაგროვება. მაგრამ საქმე მძიმედ მიიწევს წინ. ყოველ თამაშში „მოგროვებული" 2-3-4 ქულა ნერვების სფუძვლიანი გამოცდაა „დენვერის" მწვრთნელ ჯეფ ბზდელიკისთვის, რომელსაც ჯერ კიდევ სჯერა ყმაწვილი ქართველის უსაზღვრო ნიჭიერება.

შესაძლოა, ცქიტიშვილით არა, მაგრამ იმ დღეს ბზდელიკი მაინც კმაყოფილი დარჩა. „ნაგიტსის" ძირითადმა გამთამაშებელმა, ახალბედა ლორინზა ჰარინგტონმა, ნბა-ს ყველაზე ხანდაზმულ მოთამაშეს, 41 წლის ჯონ სტოქტონს მოუგო დუელი ქულებში — 16:11. ივარგა „ბოსტონიდან" ორიოდ დღის წინ გადმოყვანილმა და მეორე გამთამაშებლად გამწესებულმა შემონდ უილიამსმაც. დაბოლოს, როგორც იქნა, მოკეთდა მარად ტრავმიანი ვარსკვლავი, მეფარე მარკუს კემბი. ბზდელიკმა მის ახალმორჩენილ ფეხს 19-წუთიანი გამოცდა მოუწყო. ფეხმა გაუძლო იუტელებთან ჯაჯგურს, თავად კემბიმ კი 8-8 ქულა-მოხსნა გაუხერხა „დენვერს".

21 თებერვალი

**ორლანდო 110:96 ჩიკაგო**
**ვაშინგტონი 89:86 ნიუ ჯერსი**
**მინესოტა 103:96 დეტროიტი**
**ნიუ ორლეანი 125:123 მემფისი**
ძირითადი დრო 112:112
**ლეიკერსი 92:84 პორტლენდი**
**ტორონტო 92:89 ფინიქსი**
**კლივლენდი 99:119 ფილადელფია**
**ჰიუსტონი 85:100 დალასი**
**გოლდენ სტეიტი 111:107 ნიუ იორკი**
**სიეტლი 88:58 მილუოკი**

22 თებერვალი

**დეტროიტი 91:93 ნიუ ორლეანი**
**ჰიუსტონი 93:82 მემფისი**
**კლიპერსი 87:89 ატლანტა**
**სან ანტონიო 105:96 ინდიანა**
**პორტლენდი 90:93 მილუოკი**

23 თებერვალი

**ვაშინგტონი 101:106 დალასი**
ძირითადი დრო 90:90
**მინესოტა 99:97 ფინიქსი**
**გოლდენ სტეიტი 115:93 ატლანტა**
**ლეიკერსი 106:101 სიეტლი**
**ნიუ ჯერსი 105:113 ორლანდო**
**ფილადელფია 116:103 კლივლენდი**
**საკრამენტო 99:92 ნიუ იორკი**

მაიკლ ჯორდანი ლამის საბაბუო ასაკშიც განაგრძობს ჩვენს განცვიფრებას. 17 თებერვალს ის 40 წლის შესრულდა, ოთხ დღეში კი მან ისეთი რამ გააკეთა, რაც მანამდე არავის გაუკეთებია. მაიკლმა „ნიუ ჯერსის" 43 წუთში 43 ქულა ჩაუგდო და გახდა პირველი ნბა-ელი, ვისაც 40 წლისას 40 ან მეტი ქულა გაუკეთებია. „მე კიდევ 26 მატჩი დამრჩა სათამაშო, ამ სეზონის შემდეგ მივდივარ და მინდა, ყოველი მათგანი ტკბილად განვიცადო" — ამბობს ჯორდანი.

იმ 26 თამაშიდან დიადმა მაიკლმა ერთი კიდევ დააჭაშნიკა, ნიუჯერსული გმირობის შემდეგ 30 ქულა ჩაუგდო ლიგის ლიდერ „დალასს". საწყენად ამ გუნდთან ოვერტაიმში მარცხი თუ დაურჩებოდა ბებერ გენიოსს.

ჯორდანის გმირობებმა დაჩრდილა ამ უქმეების ყველა სხვა გამორჩეული ამბავი, მათ შორის ორლანდოელი ტრეისი მაკგრეიდის 52 და 46-ქულიანი გაბრწყინებები. 50 ქულა ჩაუგდო „მემფისს" ნიუორლეანელმა ჯამალ მაშბურნმა, ხოლო „ლეიკერსის" ვარსკვლავბიჭუნა კობი ბრაიანტმა ამ საუქმეებო ორი თამაშის შემდეგ ზედიზედ 40-ქულიანი მატჩების რაოდენობა ცხრამდე გაზარდა.

ირაკლი ფირცხვილი



REUTERS როტერდამიდან

# მაქს მირნიმ ლუკაშენკოს ულვაში აუპრიხა

**KROGER ST. JUDE**
მემფისი. ჰარდი
კაცები. საპრიზო 690 ათასი $

**მეოთხედფინალი**

**ბრაიან ვაალი** (აშშ) — **ირაკლი ლაბაძე** (საქართველო) 6:3, 4:6, 6:4; **ენდი როდიკი** (1, აშშ) — **რობი ჯინეპრი** (აშშ) 6:4, 6:4; **ვინსენტ სპადია** (აშშ) — **მარდი ფიში** (აშშ) 6:2, 4:6, 6:3; **ტეილორ დენტი** (აშშ) — **ვლადიმირ ვოლჩკოვი** (ბელარუსი) 7:6 (7:1), 6:2

**ნახევარფინალი**

**როდიკი** — ვაალი 7:5, 6:1; **დენტი** — სპადია 6:2, 6:4

**ფინალი**

**დენტი** — როდიკი 6:1, 6:4

ქალები. საპრიზო 170 ათასი $

**ნახევარფინალი**

**ლიზა რეიმონდი** (2, აშშ) — **იონ-ძეონ ჩო** (სამხრეთ კორეა) 6:3, 2:6, 6:3; **ამანდა კუცერი** (3, სამხრეთ აფრიკა) — **ლაურა გრენვილი** (აშშ) 6:4, 6:1

**ფინალი**

**რეიმონდი** — კუცერი 6:3, 6:2

გასაკვირი არაფერი მომხდარა, გულდასაწყვეტი კი ის არის, იქამდე მსოფლიოს 23-ე ჩოგნის, ჯეიმს ბლეიკის მძლეველმა ირაკლი ლაბაძემ სამეოთხედფინალო ჩოგნობა რომ წააგო ვინმე ბრაიან ვაალთან, რომლის ჩოგბურთელობაზე ვერაფერს მოგახსენებთ. ამგვარად ქართველის წლევანდელი სა-ATP-ო მონაგარი ორი მოგება და ოთხი მარცხია.

ქართველისა და ამერიკელის გამოვარჩიეთ, თორემ მემფისის ტურნირის ლაბაძის გამოკლებით არაფერი დაჰკლებია. აქ ფინალში ტეილორ დენტი და ენდი როდიკი გავიდნენ. დენტმა მემფისამდე წლეულს სამ ტურნირში ეცადა ბედი და სამივეგან პირველსავე წრეში დამარცხებულიყო, ენდი როდიკი კი ამ შეჯიბრის შარშანდელი მოგებით და ახლაც პირველ ნომრად განთესილი გახლდათ.

მაჯამორჩენილი როდიკისთვის ეს პირველი ტურნირი იყო ავსტრალიის ღია პირველობის მერე და ალბათ უთამაშებლობის გამო მოხდა, ვერაფერი რომ დაუპირისპირა მეტოქის აგრესიულ სტილს.

პირველი სეტი სულ 23 წუთს გაგრძელდა და როდიკმა დენტის ჩაწოდებებზე მხოლოდ ორჯერ მოახერხა ქულების მოგება, ამათგან ერთი შემთხვევაში დენტის ორმაგი შეცდომის წყალობით. მეორე სეტშიც დიდი არაფერი შეცვლილა და 21 წლის დენტმა კარიერაში მეორე ჯილდო მოიგო.

**ABN AMRO WORLD TENNIS TOURNAMENT**
როტერდამი. ჰარდი
საპრიზო 800 ათასი $

**მეოთხედფინალი**

**რაემონ შიუტლერი** (ჰოლანდია) — **ხუან კარლოს ფერერო** (1, ესპანეთი) 1:2 ფერერომ შეწყვიტა; **როჯერ ფედერერი** (2, შვეიცარია) — **სხენგ შალკენი** (ჰოლანდია) 6:2, 6:4; **სებასტიან გროჟანი** (6, საფრანგეთი) — **ნიკოლა ესკუდე** (საფრანგეთი) 5:7, 7:6 (7:3), 4:4 ესკუდემ შეწყვიტა; **მაქს მირნი** (ბელარუსი) — **ევგენი კაფელნიკოვი** (რუსეთი) 7:6 (7:5), 7:6 (7:4)

**ნახევარფინალი**

**მირნი** — ფედერერი 5:7, 6:3, 6:4; **შიუტლერი** — გროჟანი 6:3, 6:3

**ფინალი**

**მირნი** — შიუტლერი 7:6 (7:3), 6:4

მაქს მირნი შეიქნა პირველი ბელარუსი, ვინაც კენტად მოიგო სა-ATP-ო ტურნირი, თორემ მასვე სამჯერ უმარჯვია დიდი სლემის შეჯიბრებებში ოღონდ მეწყვილესთან ერთად.

ახმახი ბელარუსის (რომელსაც 4 სანტიმეტრი უკლია ორმეტრიანობამდე) საქმე ეგებ სხვაგვარადაც წასულიყო, ჯერ კიდევ მეოთხედფინალში ხუან კარლოს ფერეროს პირველივე სეტში რომ არ შეეწყვიტა თამაში რაემონ შიუტლერთან, თორემ ვინძლო მირნი ფინალშიც პირველ ნომრად განთესილ ესპანელს დაეჯახებოდა. მაგრამ ახლა, აბა, რაღა აზრი აქვს ვარიანტების გათვლას.

ნაფინალევს მირნიმ ქება-დიდება უძღვნა თავისი ქვეყნის პრეზიდენტ ალექსანდრ ლუკაშენკოს და ძველსაბჭოურად ილაპარაკა მის უდიდეს ღვაწლზე ბელარუსული სპორტის განვითარებასა და წინსვლაში. ამერიკელთა რეპორტიორები ეგებ ვერც ჩასწვდნენ ამ დითირამბების არსს, რაკი მირნი ხეირიან ჩოგბურთელად ამერიკულმა ნიკ ბოლეტიერის ჩოგბურთის აკადემიამ აღზარდა, ჩვენთვის კი ყველაფერი გასაგებია — ბელარუსში მშვიდად ცხოვრება თუ გინდა, ლუკაშენკო უნდა აქო და მერე რა, რომ პრეზიდენტი უფრო ჰოკეის ქომაგია, ვიდრე ჩოგბურთისა.

**CÓPA AT&T**
ბუენოს აირესი. თიხა
საპრიზო 380 ათასი $

**მეოთხედფინალი**

**კარლოს მოია** (1, ესპანეთი) — **ლუის ორნა** (პერუ) 6:7 (4:7), 6:3, 7:5; **გილერმო კორია** (8, არგენტინა) — **დავიდ ნალბანდიანი** (2, არგენტინა) 3:6, 6:3, 7:6 (7:5); **გასტონ გაუდიო** (4, არგენტინა) — **ხუან იგნასიო ჩელა** (5, არგენტინა) 6:3, 6:4; **გუსტავო კუერტენი** (6, ბრაზილია) — **ფელიქს მანტილია** (ესპანეთი) 6:2, 6:7 (5:7), 6:1

**ნახევარფინალი**

**მოია** — კუერტენი 7:6 (10:8), 6:1; **კორია** — გაუდიო 6:3, 1:6, 6:3

**ფინალი**

**მოია** — კორია 6:3, 4:6, 6:4

ესპანელმა კარლოს მოიამ ბუენოს აირესის თიხნარზე ფინალში სამ სეტში დასცა დავიდ ნალბანდიანისა და გასტონ გაუდიოს გავარდნის მერე იქაურთა ბოლო ჯილად დარჩენილი გილერმო კორია. ეს გამარჯვება მოიასთვის წლეულს პირველი იყო, კარიერაში კი, რაც რვა წელია გრძელდება, მეთორმეტე.

ფინალში 6 ათასი თანამემამულის ღრიალით გამხნევებული კორია პირველი შეჯიბრის მოგებას ეშურებოდა მას მერე, რაც 2001 წლის დეკემბერში ნანდროლოინით მამაძალლობისთვის 7 თვით ჩამოართვეს ჩოგანი.

პირველი სეტი ესპანელმა იოლად მოიგო, ხოლო მეორეში ნახსენებ 6 ათას კაცს მხიარულება დაეტყო, გამორჩეულად კი მეხუთე გეიმში, როცა გარდატეხა თვალსაჩინო შეიქნა. და როცა მეორე სეტი კორიას გამარჯვებით დასრულდა, ცოტა ვინმეს თუ შეეპარებოდა ეჭვი ძველი ოცნების კვლავაც აუხდენლობაში — ამ ტურნირის წინა ორ ფინალშიც არგენტინელები, ხოსე აკასუსო და აგუსტინ კალერი გავიდნენ და დამარცხდნენ.

მაგრამ ზედიზედ მესამე არგენტინული ოცნებაც წისა ორივეთ ჩაიფერფლა, რასაც კორიას ტრავმამაც შეუწყო ხელი. მესამე სეტში შევნიშნე, მეტოქე მარჯვენა ფეხით კოჭლობდა და ეს ამბავი საჩემოდ გამოვიყენეო, თქვა მერე მზერამახვილმა მოიამ.

არგენტინულ ოცნებას კი ასრულება ეგებ ალარასდროს ეწეროს, რადგან შეჯიბრების მომწყობები მის გაუქმებაზე ფიქრობენ. აქ ერთ კვირაში 50 ათასი ბილეთი კი გაიყიდა, მაგრამ საერთოარგენტინული კრიზისიდან გამომდინარე, სპონსორთა მიზიდვა ჭირს და მარტო ბილეთების გაყიდვით რას გამორჩებიან.

**თეიმურაზ უზაძოვი**

**DUBAI DUTY FREE WOMEN'S OPEN**
ჰარდი. საპრიზო 585 ათასი $

**ფინალი**

**ჟუსტინ ენენ-არდენი** (1, ბელგია) — **მონიკა სელეში** (4, აშშ) 4:6, 7:6 (7:4), 7:5





REUTERS მემფისიდან

წამიც კი არა და მაიკ ტაისონი რკინის მუშტს აძგერებს კლიფორდ ეტიენს

# 49 წამი, რომელმაც ერთი ნაციხარი შექრა

## მაიკ ტაისონი კლიფორდ ეტიენს ამარცხებს

**მემფისის** „პირამიდის" დარბაზში შაბათ ღამის მთავარი სანახაობა მხოლოდ 49 წამს გაგრძელდა:

მაიკ ტაისონმა შემხვედრი მარჯვენით დასცა კლიფორდ ეტიენი, რომელიც ხალიჩას განერთხო, პირიდან კაპა გამოიღო და მერელა დახუჭა თვალები.

ნოკაუტი დათვალეს თუ არა, ტაისონი თავად მიეჭრა დამარცხებულს, წამოაყენა და მმობა გამოუხცადა, მერე კი ლოცვად დაემხო და ალაჰი ადიდა.

ასეთი გამოდგა ტაისონის მორიგი გამოჩენა რინგზე და წამსვე ყველა ალაპარაკდა ლენოქს ლუისთან მისი მომავალი შერკინების თაობაზე.

ტაისონ — ეტიენი გამართვამდე ხუთი დღით ადრე ჩაშლის პირას იდგა: მაიკმა ლოყა-ღაწვი მოისვირინგა, თითქოს სისხლი მოეწამლა, მერე ვითომ გრიპი შეეყარა, კუჭი აეშალა, ბოლოს კი თქვა, ზურგი მტკივა, რადგან სიმძიმეებს ვექაჩებოდიო. ტაისონის აჭრილობას ეტიენმა ფხუკით უპასუხა, სულაც არ მინდა მაგასთან ჩხუბიო, მაგრამ ბოლოს ყველაფერი მოგვარდა და ორთაბრძოლაც დაინიშნა.

ორი ნაციხრის (ეტიენს ათი აქვს გატარებული მისჯილი ორმოციდან და კრივი (ციხეზე უსწავლია) შეხვედრა ხანმოკლე, მაგრამ თვალსასეირო გამოდგა. ტაისონი შეტევის მოყვარეა და ასეთია თავზეხელაღებით ცნობილი ეტიენიც, შავ მარტორქად წოდებული. ის ღია ბრძოლას ელტვის ხოლმე და ამ ღია ბრძოლაში ყბა კინაღამ მოსტეხა ერთი კვირის უვარჯიშებელმა ტაისონმა.

„პირამიდში" მისულ ზოგიერთ მაყურებელს ბრძოლის მალე მომთავრებამ რისხვა მორია და ვილაცეებმა ეტიენზე წაიწიეს კიდეც. თავად წაგებულს კი უხასიათობა არ ეტყობოდა: „ერთი მოხვდა, კაი დარტყმული იყო, ახლა არა მიშავს, მაიკს ვუთხარი, რომ თუ ივარჯიშებს, კვლავაც ჩემპიონი იქნება".

ტაისონმა კი თქვა, რომ ლონივრად არა, მაგრამ ზუსტად მოარტყა დამარცხებულს, რომელმაც 900 ათასი დოლარი ჩაიდო ჯიბეში.

„არ ვიცი, ვიკრივებ თუ არა კიდევ. მგონია, რომ შარშანდელზე უკეთ ვარ. ამ ბრძოლისთვის მზად არ ვიყავი და ჩხუბი არ მინდოდა. მაგრამ ვითარება იყო ასეთი. კლიფორდს ფული სჭირდებოდა, მე ფული მჭირდებოდა, გამოვედით და ვიჩხუბეთ. მე მხოლოდ ჩხუბით ვშოულობ ფულს" — თქვა ტაისონმა, რომელიც ყოველ ნაბიჯზე ცდილობდა თავისი კეთილგანწყობის დამტკიცებას.

ტაისონის ნატანჯმა მწვრთნელმა ფრედი როუჩმა განაცხადა, რომ ჯერჯერობით არ ურჩევდა თავის შეგირდს ლენოქს ლუისთან შერკინებას, ჯობს მოემზადოს, ორი-სამი ვინმე კიდევ გააბურთაოს და უკვე ფორმაში იქნებაო.

თუმცაო, ამოიოხრა როუჩმა, ამ საქმეში იმხელა ფულია, მე ვინ მომისმენსო.

ტაისონი და ლუისი კი ერთხელ უკვე შეხვედრიან ერთმანეთს, შარშან ზაფხულს, სწორედ მემფისის „პირამიდში", სამყაროს ყველაზე ძვირ ბრძოლაში, როცა ტაისონი მერვე რაუნდში წაიქცა.

რკინის მაიკის ნამდვილი ძალა კი ამ შაბათის შემდეგაც უცნობია. უფრო სწორად, ცნობილია, რომ ტაისონი საშუალო მოკრივეა და ვარჯიშიც დიდად არ ეხალისება. მაგრამ ის ტაისონია და თუ თავი გადადო, მეტად საშიშარიც შეიძლება გახდეს.

**ალბერტ ხაჩატურიშვილი**



# სამი ჰამბურგერი გერმანიიდან

**მსოფლიოს** მრავალი ქალაქის ტატამზე ერთი მეორის მიყოლებით ეწყობა ათენის ოლიმპიური თამაშების სალიცენზიო საერთაშორისო ტურნირები. ათი ევროპული საკვალიფიკაციო ასპარეზობიდან სამი (მოსკოვის, პარიზის, ჰამბურგის) „სუპერ A" კატეგორიისაა და კვირას მესამეც გასრულდა.

ამ უქმეებზე ჰამბურგში, მსოფლიოს თასზე ქართველმა ძიუდოისტებმა სამივე ხარისხის თითო მედალი მოიპოვეს, რაც პარიზულთან შედარებით (ორი ბრინჯაო) გაცილებით წონიანი ნადავლია. შთამბეჭდავად იჩემპიონა დავით მარგოშვილმა. მან ექვსიდან ხუთ ბრძოლაში წმინდად გაიმარჯვა, რუს ისლამ მაციევს კი ორჯერ აჯობა, ფინალამდეც და ფინალშიც. ასე რომ, მარგოშვილს წლევანდელი ორი პირველი და ერთიც მესამე ადგილით სალიცენზიო ქულები საკმაოდ დაუგროვდა.

ამგვარი ქულები ყველაზე მრავლად დაუგროვდა ნესტორ ხერგიანს (60), რომელსაც ჰამბურგში ერთი ნაბიჯიღა დააკლდა, მოსკოვისა და თბილისის ტურნირების მსგავსად ოქროს მედალი მოუპოვებინა. ოქროსთვის გადამწყვეტ შეხვედრაში, სამწუხაროდ, ნესტორი ავსტრიელ ლუდვიგ პაიშნერთან დამარცხდა.

ჩვენებიდან ყველაზე უმცროსმა (20 წლის), მაგრამ ტანად ყველაზე დიდმა (205სმ) და წონიანმა (140კგ) ზვიად ხანჯალიაშვილმა, რომელმაც თბილისის ტურნირზე გაიმარჯვა, ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

ჩვენმა ძიუდოისტებმა ვაჟთა გუნდურ პირველობაში მედლების რაოდენობით მე-4 ადგილი დაიკავეს.

**ავთანდილ ჭყვიშვილი**



## რეგულარული ჩემპიონატი

21 თებერვალი

**კაროლინა 2:2 ტამპა** *1:1 0:1 1:0 0:0*
**აილენდერსი 4:1 კოლორადო** *1:0 1:1 2:0*
**ბუფალო 1:4 ლოსანჯელესი** *0:2 1:1 0:1*
**ნიუ ჯერსი 3:2 ბოსტონი** *1:0 0:2 2:0*
**ანაჰაიმი 2:6 რეინჯერსი** *1:1 0:1 1:4*
**სან ხოსე 6:0 კოლუმბუსი** *1:0 4:0 1:0*

22 თებერვალი

**პიტსბურგი 2:1 სენტ ლუისი** *0:0 1:1 0:0 1:0*
**ვაშინგტონი 1:5 დეტროიტი** *0:2 0:1 1:2*
**ოტავა 4:0 ნეშვილი** *0:0 1:0 3:0*
**ფილადელფია 2:4 ფლორიდა** *0:1 1:0 1:3*
**მონრეალი 3:5 ტორონტო** *0:0 3:2 0:3*
**ედმონტონი 2:3 ვანკუვერი** *0:1 2:1 0:0 0:1*

23 თებერვალი

**აილენდერსი 4:4 ბოსტონი** *3:2 1:1 0:1 0:0*
**კაროლინა 0:4 ანაჰაიმი** *0:1 0:1 0:2*
**პიტსბურგი 3:4 ნიუ ჯერსი** *0:0 1:2 2:2*
**ტამპა 1:4 ბუფალო** *0:2 0:0 1:2*
**ჩიკაგო 0:3 დალასი** *0:1* 0:1 0:1
**ფინიქსი 2:4 კალგარი** *0:1 1:2 1:1*
**ტორონტო 2:5 ნეშვილი** *0:2 0:2 2:1*
**ედმონტონი 3:3 ატლანტა** *1:0 2:1 0:2 0:0*
**კოლორადო 4:1 რეინჯერსი** *2:1 2:0 0:0*
**მინესოტა 3:1 სენტ ლუისი** *2:0 0:1 1:0*
**ვანკუვერი 7:2 კოლუმბუსი** *3:0 1:1 3:1*


**სარბიელი**
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
**ქართული ფეხბურთის რედაქცია:** დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
**უცხოური ფეხბურთის რედაქცია:** გია ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კახა ხუციშვილი

**ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი:** ირაკლი ფირაშვილი
**ინფორმაციის რედაქცია:** გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
**კორესპონდენტი გერმანიაში** ვანო ოქროპირიძე
**ფოტორეპორტიორები:** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
**სტილისტები:** ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
**კომპიუტერული ცენტრი:** ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი ღვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კაჭარავა(?), მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე

**რედაქციის მისამართი:**
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge


ეროვნული ბიბლიოთეკა